ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 6 დეკემბერი 2000 №235 (1257) | ფასი 50 თეთრი


## ლიდსი არავის ელაციება

**C ჯგუფი**

| | |
|---|---|
| არსენალი | 2 |
| ბაიერნი | 2 |
| ლიონი | 3 |
| სპარტაკი | 0 |

**D ჯგუფი**

| | |
|---|---|
| ლაციო | 0 |
| ლიდსი | 1 |
| რეალი | 4 |
| ანდერლეხტი | 1 |

დაძაბული დღე იყო: „ჰაიბერიზე" ლონდონელები 2:0-ს იგებდნენ, მაგრამ გერმანელებმა ქულის გამოგლეჯა მაინც შეძლეს;

სენსაციური დღე იყო: ჭაბუკი ალან სმიტის გოლით „ლიდსმა" ათასი ჯურის ვარსკვლავებით დახუნძლული „ლაციო" რომში დაამარცხა;

შესანიშნავი დღე იყო: ქართველებს რუსეთში წასასვლელად ვიზა დასჭირდათ, ფრანგები კი რუსთა სახალხო გუნდის საჯარიმოში ყოველგვარი ნებართვის გარეშე დაიარებოდნენ და აკი სამი გოლი მიართვეს კიდეც. ახლა „სპარტაკს" ლიგის მეოთხედფინალის ვიზის მისაღებად დიდი ჯაფა დაადგება.

იხილეთ მეორე გვერდი




19 წლის ალან სმიტმა ლამის მამისტოლა ანჯელო პერუცის გაუტანა და „ლიდსს" ყველას გასაკვირი გამარჯვება მოუტანა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

## თასი ბზისა, ყველაფერი რკინიგზისა

საქართველოს ახალი ჩემპიონი ჰყავს! ბილისის „ლოკომოტივი 1" თასს არ ასჯერდა და გუშინ, ეროვნულზე მართაც დრამატულ მატჩში სტუ-„ყოჩების" ძლევით საქართველოს პირველი გუნდის წოდებას და ახალ, ჩემპიონისთვის განკუთვნილ „ბზის თასს" დაეპატრონა.

იხილეთ მეთხუთმეტე გვერდი



საქართველოს ახალი ჩემპიონი — თბილისის „ლოკომოტივი 1"

ბაჩანა ქაითმაზიშვილის ფოტოები



„ბზის თასი" პირველმა ლოკომოტიველთა კაპიტანმა კახა ალანიამ აღმართა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გუშინ ჩემპიონთა ლიგა. მეორე ეტაპი მეორე ტური

### C ჯგუფი

**არსენალი 2:2 ბაიერნი**

1:0 ანრი (3), 2:0 კანუ (55), 2:1 ტარნატი (56), 2:2 შოლი (66)
არსენალი: მანინგერი, ლუზინი (ლორენი 81), კიოუნი, ეშლი კოული, ადამსი, ვიეირა, გრიმანდი, პირესი (ვილტორდი 76), ლიუნგბერგი, კანუ, ანრი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
ბაიერნი: კანი, ლინკე, სფორცა, ტარნატი, სანიოლი (პაულო სერჯიო 46), კუფური, შოლი (ციკლერი 82), იერემისი, ეფენბერგი, სალიჰამიჯიჩი, ელბერი
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
მსაჯი: სტეფანო ბრასკი (იტალია)
35 318 მაყურებელი

**ლიონი 3:0 სპარტაკი**

1:0 მარლე (2), 2:0, 3:0 ანდერსონი (31, 41)
ლიონი: კუპე, დელანდრე, ედმილსონი, მიულერი, ბრეშე, ვიოლო, ლინარესი, ლეგლი, დორასო (მალბრანკი 81), ს. ანდერსონი (ბაკი 72), მარლე (ვერელი 89)
მწვრთნელი: ჟაკ სანტინი
სპარტაკი: ფილიმონოვი, კოვტუნი, პარფიონოვი, ბუშმანოვი (კალინიჩენკო 46), ჩუისე, ბეზროდნი, ბულატოვი, ტიტოვი, ბარანოვი, მარკაო, რობსონი (შჩეგოლევი 46)
მწვრთნელი: ოლეგ რომანცევი
მსაჯი: ხოსე ანტონიო ფერნანდეს მარინი (ესპანეთი)
36 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ლიონი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:1 | 3 |
| სპარტაკი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| არსენალი | 2 | 0 | 1 | 1 | 3:6 | 1 |

### D ჯგუფი

**ლაციო 0:1 ლიდსი**

0:1 სმიტი (80)
ლაციო: პერუცი, პანკარო, ნესტა, ფერნანდეს კოუტო, ფავალი, ნედვედი, ლომბარდო (გოტარდი 83), სიმეონე, ვერონი (რავანელი 71), სალასი, კრესპო
მწვრთნელი: სვენ გორან ერიკსონი
ლიდსი: რობინსონი, კელი, რადებე, ვუდგეიტი, მატეო, დაკური, ბოიერი, უილკოქსი (კიუელი 76), ბაკე, ვიდუკა, სმიტი
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
მსაჯი: კლოდ კოლომბო (საფრანგეთი)
45 000 მაყურებელი

**რეალი 4:1 ანდერლეხტი**

1:0 მორიენტესი (12), 2:0 ფიგუ (23პ), 3:0 ელგერა (44), 4:0 რობერტო კარლოსი (73), 4:1 სტოიკა (89)
რეალი: კასილიასი, ჯერემი, კარანკა, იერო (ფლავიო კონსეისაო 67), რობერტო კარლოსი, მაკმანამანი, მაკელელე (სელადესი 78), ელგერა, ფიგუ, რაული (სავიო 55), მორიენტესი
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
ანდერლეხტი: დე ვილდე, კრასონი, დე ბოეკი, დოლი, დევედერი, ვან დიემენი, ვანდერეიკე (სტოიკა 58), ჰასი (ილიჩი 63), გოორი, კოლერი, რაძინსკი
მწვრთნელი: ემე ანტუნესი
მსაჯი: ჰიუ დალასი (შოტლანდია)
55 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:1 | 6 |
| ლიდსი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | 3 |
| ანდერლეხტი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:4 | 3 |
| ლაციო | 2 | 0 | 0 | 2 | 0:2 | 0 |






ლაციო — ლიდსი 0:1. ინგლისელ ალან სმიტს იტალიელთა მაისურა მოურგია და ხარობს, დამარცხებული შვედი სვენ გორან ერიქსონი კი ირლანდიელ დევიდ ოლირის გარჯას უქებს




ლიონი — სპარტაკი 3:0. სონი ანდერსონის (ზემო ფოტოზე) ორი და სტივ მარლეს გოლებით ფრანგებმა რუსები იმსხვერპლეს



რეალი — ანდერლეხტი 4:1. რაულის შეჩერება ბელგიელმა გლენ დე ბოეკმა ვერ შეძლო






არსენალი — ბაიერნი 2:2. ვისია, ვისია... ჟილ გრიმანდის, პატრიკ ვიეირასი თუ მიუნხენელი იენს იერემისის (№16)?

## ინგლისი

**პირველი დივიზიონი**
**კრისტალ პალასი 3:1 უიმბლდონი**

## შოტლანდია

**სენტ მირენი 1:1 დანდი იუნაიტედი**
0:1 ნავედა (35), 1:1 რენფარმი (71)

# მარტივი კომენტარი

## ფედერაციამ, შპრალონი პართო

ვერ გადავიდა ლონდონის „არსენალში" ლოკომოტიველი ზურაბ ხიზანიშვილი. ჩაიშალა ტრანსფერი. გული აიყარეს ინგლისელებმა ქართველ ფეხბურთელზე და არა გვგონია, ამიერიდან „არსენალმა" „ლოკომოტივთან", გნებავთ სხვა ქართულ კლუბთანაც, საქმე დაიჭიროს.

— ამდენი ითქვა და დაიწერა, თავისი პოზიციები დააფიქსირეს ფეხბურთელმა, მწვრთნელმა, კლუბის თავკაცებმა და ჟურნალისტებმა, მაგრამ ჩვენ მაინც ვერ გავიგეთ, რატომ ჩაიშალა ტრანსფერი — აინტერესებთ ქომაგებს.

ბევრი რამ ვერც ჩვენ გავარკვიეთ, ზურაბ ხიზანიშვილი რაღაცას კი მიხვდა, თუმც ბოლომდე არც მან იცის, რამ და ვინ დააბრკოლა.

„ვინ ჩაშალა ტრანსფერი — კიდევ ერთხელ ვკითხულობთ და რაკი კლუბისა და ფეხბურთელის პასუხები ერთმანეთს არ ემთხვევა, ალავერდს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან გადავდივართ".

*„სარბიელი", 30 ნოემბერი*

„სხვათა შორის, კლუბმა ფეხბურთელი რომ არ შეაცდინოს, ამის სადარაჯოზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია უნდა იდგეს. მას, თუ არ ვცდებით, იურიდიული სამსახურიც გააჩნია. ჰოდა, იმედია, ფედერაციის იურისტები კიდევ ერთხელ ჩახედავენ მათ სეიფებში არსებულ ამ კონტრაქტს (ან კიდევ ბევრ ამისთანას) და თავიანთ კომპეტენტურ აზრს, სხვასთან ერთად „სარბიელსაც" გაუზიარებენ.

*„სარბიელი", 1 დეკემბერი*

აქამდე ჩუმად მყოფი ფეხბურთის ფედერაცია ამის შემდეგ განზე არ დარჩენილა. იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელის (ლევან გორხელაშვილი) კომენტარს უახლოეს დღეებში შემოგთავაზებთ, მანამდე კი გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ ფეხბურთის ფედერაციის პოზიცია გაგვიზიარა:

— ფეხბურთის ფედერაციისთვის საკმარისია, კლუბს (ამ შემთხვევაში „ლოკომოტივი") ფეხბურთელი (ზურაბ ხიზანიშვილი) განაცხადში წესების სრული დაცვით ჰყავდეს შეყვანილი. „ლოკომოტივის" განაცხადში ვერანაირ დარღვევას ვერ იპოვით და ხიზანიშვილი კანონიერად თამაშობს ეროვნულ ჩემპიონატში. კლუბსა და ფეხბურთელს შორის არსებულ ხელშეკრულებას ფეხბურთის ფედერაცია არ აკონტროლებს. ეს მათი პირადი საქმეა.

***— როგორც ვიცით, ფეხბურთის ფედერაციაში კლუბებსა და მოთამაშეებს შორის არსებული ხელშეკრულებების თითქმის ყველა ასლი ინახება...***

— ეს იმიტომ, რომ ურთიერთშორის უთანხმოებებისა და საჩივრების შემთხვევაში ფეხბურთის ფედარაციის შესაბამის კომპეტენტურ კომისიას თავისუფლად მუშაობის საშუალება ჰქონდეს.

ადრეც ხშირად გვქონია მსგავსი შემთხვევები. გაიხსენეთ აშვეთიას, ანჩაბაძის, კიკნაძის და სხვათა საქმეები. ფედერაციას სადავო საკითხები მუდამ ფეხბურთელის სასარგებლოდ გადაუწყვეტია. ფეხბურთელმა უნდა ითამაშოს.

***— „ლოკომოტივისა" და ზურაბ ხიზანაშვილის შემთხვევაში ფედერაცია ვის მხარეს დაიჭერს?***

— შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ მგონია, რომ მათ ერთმანეთთან სადავო არაფერი აქვთ. ყოველ შემთხვევაში, ჩვენთან საჩივრით არც ერთი გამოჩენილა.

***— ამ ხნის განმავლობაში და ასეთი აურზაურის შემდეგ არ შეიძლებოდა ფეხბურთის ფედერაცია „ლოკომოტივსა" და ხიზანიშვილს შორის არსებულ ხელშეკრულებას არ გასცნობოდა...***

— მოკლედ და კონკრეტულად გიპასუხებთ: ხელშეკრულებაში ორივე მხარეს გარკვეული შეცდომები აქვს დაშვებული.

ერთი სიტყვით, თურმე მოჩივანი არავინაა და ფეხბურთის ფედერაციამაც თავისი პოზიცია დააფიქსირა — ჩვენთან ალავერდს ტყუილად გადმოდიხართ, კანონის მიხედვით ვმოქმედებთო.

**მამუკა ქვანტალიანი**

# საქართველოს თასი

### მეოთხედფინალის პირველი მატჩები. 6 დეკემბერი



შარშანდელი ნახევარფინალი „სამგურალი" — „ლოკომოტივი" 1:0. მაშინ მამუკა აფციაურის (მარჯვნივ) გოლით ფინალში წყალტუბროელები გავიდნენ

# ფოცხვერიამ და მერანმა გადაწყვიტეს

**ჩამოვიდა** ფეხბურთელი საქართველოში, იფიქრა, ყველა პრობლემა უკან მოვიტოვე, აქ მაინც ვითამაშებო. ყველა სიხარულით შეხვდა, ყველამ მხარი დაუჭირა...

საქართველოს ნაკრების ყოფილი მოთამაშე, ამჟამად თბილისის „მერანის" ფეხბურთელი მიხეილ ფოცხვერია ისევ არ თამაშობს. ადრინდელმა ტრავმამ თავი შეახსენა, თბილისშიც შეაწუხა მტკივანმა მუხლმა.

კარგა ხანია მას აქეთ, რაც ფოცხვერიამ მუხლის ოპერაცია გაიკეთა. მაშინ ჯერ კიდევ უკრაინული „შახტარის" ფეხბურთელი იყო. მთლად უნაკლო ვერ გამოდგა მაშინდელი ოპერაცია, რაღაც შეეშალათ კიეველ ექიმებს.

გადაბმულად სამი თვე არ უთამაშია ჩვენებურს. ივარჯიშებდა, ფორმაში შევიდოდა და მუხლიც უმტყუნებდა-ხოლმე.

თბილისში ჩამოსულს თავიდან თითქოს ყველაფერი იღბლიანად აეწყო, ნელ-ნელა, თამაშიდან თამაშამდე უმატებდა ფოცხვერიაც, მაგრამ „კოლხეთთან" პრინციპულ მატჩში ავჭალელთა ფორვარდი მოედანზე დაეცა. ისევ მუხლმა უმტყუნა.

იფიქრეს, „მერანის" თავკაცებმა და ფოცხვერიამ, მსგავსი, ალბათ, კიდევ განმეორდებაო და უკრაინელ დასტაქართა შეცდომის გამოსწორება გადაწყვიტეს.

მიხეილ ფოცხვერია კვირის ბოლოს ოპერაციას გაიკეთებს. ნუ გგონიათ, რომ ამისთვის კლუბის თავკაცებს მისი უცხოეთში გაგზავნა დასჭირდებათ. აქვეა დიღმის მასივში სპეციალისტი ვაჟა გაფრინდაშვილი და იგი ფეხბურთელს ერთ თვეში ფეხზე მყარად დააყენებს.

**დათო დანელია**

# შანსი ყველასთვის

**ქართული** ფეხბურთის საუკუნეს 10 დეკემბერი გაასრულებს. იმ დღეს თასის ნახევარფინალისტები გამოვლინდებიან. მანამდე კი, დღეს, მეოთხედფინალის პირველი მატჩებია.

საშემოდგომო სეზონის ბოლო მატჩები მაინც ვისურვოთ მშვიდობიანი და დალაგებული. რა სჯობს გამართული ფეხბურთის ცქერას. როცა ქომაგი გულმხურვალედ, დაუღალავად გულშემატკივრობს თავის გუნდს, შეუმცდარია მსაჯი, ხოლო ფეხბურთელი ბოლომდე მებრძოლი, მაგრამ ამასთანავე კორექტული. რაც მთავარია, არ უნდა იყოს ჩოჩქოლი და აყალმაყალი. ასეთი რამეები უკვე ყველას მობეზრდა.

ვერ გეტყვით, რა მოხდება დღეს, მაგრამ დაძაბულობა წუთით არ განელდება. ხოლო თუ ზემოთ ჩამოთვლილი საფეხბურთო ელემენტებიდან სტადიონებზე თითქმის ვერც ერთი იხილეთ, მაინცდამაინც გული ნუ დაგწყდებათ. ეროვნული ფეხბურთი ჯერაც ათი წლისაა.

დღეს ოთხი წყვილი იბრძოლებს და, თქვენ წარმოიდგინეთ, ნახევარფინალში გასვლის შანსი ყველა მათგანს გააჩნია. უდანაკარგო მხოლოდ ორია — „ლოკომოტივი" უძლიერესი შემადგენლობით ეწვევა წყალტუბოს. რა ელირსა „დილას", არც ერთი გორელი ფეხბურთელი არ არის დისკვალიფიცირებული.

დანარჩენებს თითო ფეხბურთელი გამოაკლდებათ, თანაც რიგიანი. „მერანი" როსტიაშვილს, „ტორპედოს" ჯანაშიას, „დინამო" გადელიას, „კოლხეთი" ტორჩინავას, „ვიტ ჯორჯია" დოლიძეს, ხოლო „სამგურალი" დარსაძეს მოისაკლისებს. ვნახოთ, ვისი დანაკლისია უფრო ფასეული.

რაც შეეხება სარბიელისეულ მოკრძალებულ პროგნოზს, იგი ასეთია: წყალტუბოში, ალბათ, შემოდგომის ჩემპიონი გაიმარჯვებს. გორში „დილა" არ წააგებს. „კოლხეთის" წაგებაც არარეალური ჩანს, ეროვნულზე კი გაუჭირდება „ვიტ ჯორჯიას".

მეტსაც ვერაფერს მოგახსენებთ, ოღონდ მხოლოდ ხვალამდე.

**დათო დანელია**

# დავაგროვოთ, მერე იყოს...

**წესით** და რიგით, დღეს სადისციპლინო კომიტეტის სხდომა უნდა გამართულიყო. ჰქონდათ კიდეც გასარჩევ-გადასაწყვეტი დისციპლინარებს. მოგეხსენებათ, პირველი ლიგის მეჩვიდმეტე ტურის ზუგდიდურ მატჩს გვარიანი არეულობა მოჰყვა. სიკვდილს ძლივს გადაურჩა „ზუგდიდი" — „შუქურას" შეხვედრის არბიტრი ალექსანდრე მეშკოვი. უბედური შავოსანი პირველად მასპინძელი კლუბის პრეზიდენტმა გელა ბუკიამ გაიმეტა, მერე კი მისი საქციელით წაქეზებულმა ბრბომ ლამის ჩაქოლა იმ მატჩის მომსახურე მსაჯები. ამგვარი ინციდენტები მსუყე ლუკმაა სადისციპლინო კომიტეტისთვის და უმეტესწილად მკაცრი სანქციებიც მოსდევს ხოლმე.

„ზუგდიდი" — „შუქურას" მატჩი 28 ნოემბერს იყო, მაგრამ თავგაბეზრებულმა დისციპლინარებმა, რომლებიც წესისამებრ ამგვარ შემთხვევებს დაუყოვნებლივ ეხმაურებიან ხოლმე, როგორც ჩანს, დასვენება გადაწყვიტეს და ტრადიციული ოთხშაბათის სხდომა დღეს აღარ ჩატარდება. ჩემპიონატი დამთავრდა, 10 დეკემბერს სათასო მატჩებიც მორჩება დ ბარემ ყველა დარღვევა ამის შემდეგ გავარჩიოთო, სთხოვეს კომიტეტის წევრებმა სფფ-ის ხელმძღვანელებს და თანხმობაც მიიღეს.

ასე რომ, სადისციპლინო კომიტეტის, ალბათ, შემაჯერებელი სხდომა მოგვიანებით გაიმართება, სავარაუდო თარიღად 13 დეკემბერი დასახელდა.

**ბაატა ქვანტალიანი**


რესტორანი მზიანი ღამე





განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული ხარისხით
დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე

* პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
* გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მიგიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

კუტუზოვის ქუჩა №3
(ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული)
მობრძანდით, გვენდეთ: კმაყოფილი დარჩებით


თბილისი. „ეროვნული". 6 დეკემბერი. 14 საათი

**დინამო — ვიტ ჯორჯია**

მსაჯები: ა. შალამბერიძე, გ. კაკაჩიაშვილი, ნ. რუსიაშვილი, პ. დოგრაშვილი (ყველა ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: კ. ყრუაშვილი
დისკვალიფიცირებულნი: გადელია (დინამო), დოლიძე (ვიტ ჯორჯია)

წყალტუბო. „26 მაისი". 6 დეკემბერი. 14 საათი

**სამგურალი — ლოკომოტივი**

მსაჯები: ა. ორდინიძე, მ. ელიკაშვილი, ზ. დოლიძე, ლ. ფანიაშვილი (ყველა თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია
დისკვალიფიცირებულნი: დარსაძე (სამგურალი)

ფოთი. „ფაზისი". 6 დეკემბერი. 14 საათი

**კოლხეთი — ტორპედო**

მსაჯები: დ. სანაია, ა. სამხარაძე (ორივე სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); კ. მესხი (ზუგდიდი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო
დისკვალიფიცირებულნი: ტორჩინავა (კოლხეთი), ჯანაშია (ტორპედო)

გორი. „ცენტრალური". 6 დეკემბერი. 14 საათი

**დილა — მერანი**

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ა. კრიჭაშვილი (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. დურსუნიში
დისკვალიფიცირებული: როსტიაშვილი (მერანი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს 12 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
მეორე წრე
17 ტური
მიმოხილვა

# მერე გაზაფხული მოვ

12 250-მდე გულშემატკივარმა მოიცალა ეროვნული ჩემპიონატის საუკუნის ბოლო ტურის სანახავად. დიდი რამეც... 13 გოლი ნახეს, 24-მა ყვითელმა ბარათმა მათ თვალწინ გაიფრიალა. დამწუხრებული და მოგებით გახარებული გუნდები იხილეს, ზოგიერთმა მსაჯებს სართულებიანი გინებაც შეაწია და მორჩა... დარწმუნებული ვარ, იმ 12 250-დან უმრავლესს და კიდევ ასი ათასობით ქართველ გულშემატკივარს უკმარისობის გრძნობა მიჰყვება ახალ საუკუნეში.

ფაქტია, საუკუნის ბოლოს გვაქვს იმაზე უარესი, გაცილებით უარესი მდგომარეობა ფეხბურთში, რაც თუნდაც მეოთხედი საუკუნის წინ იყო. იქნებ არც ვართ ამაზე მეტის ღირსი? რა კეთდება დღეს ჩვენში ფეხბურთისთვის? დამშეული კლუბები, გაქცევაზე გაფაციცებული ფეხბურთელები, ფეხბურთისათვის მოუცლელი სახელმწიფო, სახეცვლილი და გავერანებული სტადიონები და კიდევ ათასი უბედურება... ფიქრობ, ამ ყველაფერზე და იქნებ იმითაც უნდა დავკმაყოფილდეთ, რომ ჩვენში არსებობს სამი საფეხბურთო ლიგა, გვაქვს უმაღლესი თორმეტგუნდა ჩემპიონატი. ტარდება თასის გათამაშება, თამაშობენ გუნდები, შეძლებისდაგვარად იბრძვიან. სატურნირო ცხრილი ციფრებით ივსება, ზოგი წინ არის, ზოგიც — უკან... და რა ვუყოთ, თუ ბურთაობა ვერ არის მთლად ფეხბურთის საკადრისი, რომ ხშირად მატჩის განმავლობაში ხეირიანი 3-4 პასიც არ კეთდება, რომ ზოგ გუნდს ფეხბურთის თამაში საჯარიმოში ბურთის ჩაგდება და მოედანზე სიარული ჰგონია, ზოგსაც ფონს გასვლა მსაჯების ცემა-გინებით უცდია. რა ვუყოთ, ასეთია დღეს ჩვენი ფეხბურთი... მალე კი ახალი საუკუნე შემოაბიჯებს. მერე გაზაფხულიც მოვა.

თითქოს ჩვეულებრივი იყო XII ეროვნული ჩემპიონატის XVII ტური. მასპინძელმაც მოიგო (მხოლოდ „ტორპედომ"), სტუმრებმაც გაიხარეს (სამ მატჩში) და ორი შეხვედრა ფრედ დასრულდა. თითქოს ტური ლოგიკურად ჩამთავრდა, მაგრამ ერთი შეხვედრით ჩანს ასე.

სამ დეკემბრამდე ბევრისგან მსმენია, საშემოდგომო ეტაპი ორმოცი ორმოცზე ჩამთავრდებაო, ანუ ამის მთქმელნი (გამოგიტყდებით, მეც მათ შორის ვიყავი) იმას გულისხმობდნენ, რომ „ლოკომოტივს" უშუალო კონკურენტთან მატჩამდე 40 ქულა ჰქონდა, „დინამოს" — 37 და ათგზის ჩემპიონის გამარჯვების შემთხვევაში ორივე გუნდი 40-40 ქულას დააგროვებდა, პირველ-მეორეობას გაინაწილებდა და ჩემპიონატსაც ინტრიგას შემატებდა. პრინციპში ასე რომ მომხდარიყო, სულაც არ იქნებოდა მოულოდნელი. XVI ტურში „ლოკომოტივი" ერთობ მძიმედ გაისარჯა და გაჭირვებით მოუგო „სიონს", „დინამომ" კი ალმავლობით ითამაშა ზღვისპირეთში და ბეჭებზე გააკრა „ბათუმი".

ბოლო ტურში ლიდერთა დაპირისპირებას 5 000-მდე ქომაგი დაესწრო „ეროვნულზე", მაგრამ სად იყო პირველ ნახევარში ლიდერთა პაექრობა. ორივე გუნდი ფხიზლობდა დაცვაში, შეტევაზე გადასვლას ვერავინ რისკავდა, ასეთ დროს კი რაც ხდება თავადაც კარგად მოგეხსენებათ — მოსაწყენი ბურთაობა ძირითადად მოედნის ცენტრალურ ნაწილში მიმდინარეობდა და არც ისაა ძნელი მისახვედრი, თუ რას განიცდიდა ამ დროს ამის მნახველი. მეორე ტაიმში მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა, გუნდები ამოძრავდნენ, მეტადრე კი „დინამო" და სწორედ აქ გამოჩნდა რევაზ ძოძუაშვილის სამწვრთნელო ცოდნა-გამოცდილება. მან მზაკვრული ხლართები დაუგო მოწინააღმდეგეს, ერთბაშად ორი ახალი თავდამსხმელი შეიყვანა მოედანზე, მალე ამათ მესამეც დაუმატა და პარამონოვ — გონჩაროვ — ხუროძის სამეულმა გასაკეთებელი გააკეთა — მეტოქე შოკში ჩააგდო და მატჩის დამთავრებამდე 13 წუთით ადრე „დინამოს" სიქაგაცლილი დაცვა საბოლოოდ გატეხა. გამარჯვების გოლი დავით ჭიჭვეიშვილმა გაიტანა და რკინიგზელებმა ოთხი ქულით მოიტოვეს უახლოესი მდევარი, საშემოდგომო ეტაპი კი პირველ ადგილზე ჩაამთავრეს.

ჩემპიონატის შთამბეჭდავად დამწყები და ბოლო დროს გვარიანად წაფორხილებული „ტორპედო" ქუთაისში „დილას" მასპინძლობდა. ამ ორ გუნდს შორის სხვაობაზე კი სრულად მეტყველებს მატჩისეული სტატისტიკა. თავად განსაჯეთ, „დილამ" ვერც ერთხელ ვერ ჩამოაწოდა კუთხური, ვერც ერთხელ დაარტყა კარში, მეტიც, გორელებს კარისკენ დარტყმის მაჩვენებელიც ნული აქვთ და თქვენ წარმოიდგინეთ, ოფსაიდშიც კი არ დარჩენილა ვაჟა ხაჩირაშვილის გუნდი. მოკლედ „დილამ" ქუთაისში სრული კაპიტულაცია გამოუცხადა მეტოქეს. ბუნებრივია, გოლიც ვერ გაიტანა, თავად 5 გაუშვა და საუკუნეც მეათე ადგილზე, მხოლოდ 15 ქულით ჩაამთავრა. ეს კი იმის მომასწავებელია, რომ შესაძლოა გაისად ჯერაც არნახული შეემთხვეთ ქართლელებს — გავარდნენ უმაღლესი ლიგიდან, მაგრამ იქამდე ჯერ დიდი დროა და უეჭველია, „დილას" მესვეურები, რომლებიც არაფერს იშურებენ გუნდის საკეთილდღეოდ, რაიმეს მოიფიქრებენ და სირცხვილს თავიდან აიშორებენ. „ტორპედო" კი, მიუხედავად იმისა, რომ დიდი ანგარიშით გაიმარჯვა, აშკარად ვერაა ჩვეულ ფორმაში და იქნებ სულზეც მოუსწრო ქუთათურებს შესვენებამ ეროვნულ ჩემპიონატში.



დინამოელი დავით დათვაძის მაკრატელათი დარტყმულს ლოკომოტიველი გიორგი ბალაშვილი (№2) ელობებ

ფრიად უჩვეულო გოლი გავიდა მცხეთის „არმაზზე". თსუ — „მერანის" შეხვედრაში ფავორიტებად ავჭალელები ითვლებოდნენ, მაგრამ ისიც საფიქრალი იყო, რომ მწვრთნელშეცვლილი სტუდენტები როგორღაც ნავსს გატეხდნენ. თსუ-ს ხომ 29 ოქტომბრის შემდეგ არ ჰქონდა მოგებული ეროვნულ ჩემპინატში და თასის გათამაშებაშიც გვარიანად შერცხვა პირველიგელ „სამგურალთან". „მერანთან" შეხვედრაში კი მოტივაციისთვის ისიც კმაროდა, რომ ბოლო დროს დატრიალებული მოვლენების გათვალისწინებით მერაბ კოჭლაშვილის გუნდი ლიგიდან გავარდნის საფრთხის წინაშე იდგა. მაგრამ „მერანმა" იმარჯვა, თანაც უპრობლემოდ, ძალების დაზოგვით შეძლო ამის გაკეთება. როსტიაშვილის გოლი კი მართლაც, თვალსასეირო გამოდგა. მერანელმა პირდაპირ კუთხურიდან ჩასვა ბურთი კარში. თვითმხილველნი ამბობენ, ისეთი გოლი იყო, ბასლერსაც თვალებს დააჭყეტინებდაო, მაგრამ ერთი კია, გოლის გატანაში ქარიც წახმარებია ავჭალელ ფეხბურთელს. მსაჯთა კოჰორტის და „მერანის" „სიამტკბილობისა" ვისაც მოეხსენება, იმათ საყურადღებოდ ვიტყვით, რომ სტუმართა თავკაც დავით ჯიშკარიანს ნამატჩევს საგანგებოდ აღუნიშნავს მსაჯების ნაყოფიერი გარჯა, პირველად მოხდა, „მერანის" მატჩში ობიექტურად რომ იმსაჯეს შავოსნებმაო, უთქვამს ჯიშკარიანს. ისე საშემოდგომო მონაგრით უდავოდ კმაყოფილნი უნდა იყვნენ ავჭალელები. რვამატჩიანი მოუგებელი სერიის შემდეგ „მერანმა" ზედიზედ სამ მატჩში იმარჯვა და სატურნირო ცხრილში მეექვსე ადგილზე მყოფი სამი ქულით უსწრებს უშუალო კონკურენტ „ბათუმს".

განსაკუთრებით არ გაუმართლა თორმეტიათასხუთასი მაყურებლიდან ათასხუთასს. დახლოებით ამდენმა ქომაგმა დააფასა „გორდა" — „იბერიას" მატჩი და მწარედაც მოტყუვდა. გარდა იმისა, რომ მათმა გუნდმა აუტსაიდერის ძლევა ვერ შეძლო, იმდენად ინერტულად და ულაზათოდ გაისარჯა, რომ მოედანზე თითქმის არაფერი იყო საცქერი. დიდად თავი არც სამტრედიელებს გამოუდიათ და რომ არა სიცივე, სულაც ჩათვლემდა „ფოლადი". „გორდაზე" კი ის შეიძლება ითქვას, რომ „იბერიას" დონორია წლეულს. წყალწაღებული სამტრედიული გუნდის მცირედ სიცოცხლისუნარიანობაზე სწორედ ის ორადორი ქულა მეტყველებს, რომელიც რუსთაველებთან პაექრობაში მიუპოვებიათ XII ეროვნულ ჩემპიონატში სოსო ფრუიძის შეგირდებს.

რუსთავში ვერმოგებით მასპინძლებმა პრაქტიკულად დაკარგეს ექვსეულში მოხვედრის შანსი. სხვათაგან განსხვავებით, „გორდას" არასახარბიელო კალენდარი აქვს დარჩენილი და იმაზე ფიქრი უფრო მართებს, როგორმე ადგილი შეინარჩუნოს რჩეულთა შორის. საამისოდ ზრუნვა შესაძლოა არც დასჭირდეს სამტრედიულ გუნდს. სოსო ფრუიძის თქმით, „იბერიას" მომავალი ერთობ ბუნდოვანია და არც ის არის გამორიცხული, საერთოდ დაიშალოს გუნდი.

„სიონი" — „კოლხეთის" მატჩს კი ლამის მსხვერპლი მოჰყვა. ბევრის არცთუ უსაფუძვლო აზრით, 44-ე წუთზე კოლხმა ელდარ გვასალიამ გადამწყვეტი დარტყმის წინ ხელი წაახმარა ბურთს, მერე კი ანგარიშიც გახსნა. შეხვედრის არბიტრსა და თანამსაჯს არაფერი შეუნიშნავთ, სამაგიეროდ სიტუაციაში უმალ გაერკვა „სიონის" ფანთა მამამთავარი ალა და გულზე იტაცა ხელი. ბოლნისელ კოლორიტს მკვდრისფერი დაედო და უგონოდ დაეცა. დამქაშები მას მისცვივდნენ, „სიონის" ფეხბურთელები — შავოსნებს და ატყდა ერთი ვაი-უშველებელი, ტაიმის დამთავრებასაც არ დაადგა საშველი. „სიონისგან" განსხვავებით, ალასთვის ყველაფერი კარგად დასრულდა — მოასულიერეს ფანთა თავკაცი, მაგრამ სასიკეთო მეორე ტაიმშიც არაფერი ელოდა. „სიონმა" მეორე გოლი გაუშვა, მერე მესამე, მეოთხე და საშინლად შერცხვა შინაურ სარბიელზე. „კოლხეთმა" გაიმარჯვა და სასწაული უნდა მოხდეს, სამეორეეტაპოდ ექვსეულს რომ ვერ უწიოს. „სიონმა" კი უმოწყალოდ ფლანგა ქულები, არადა ბოლნისელებს 28 თებერვლიდან 22 მარტამდე პირველი ეტაპის დარჩენილ მატჩებში ისეთი ხელსაყრელი კალენდარი აქვთ, ბოლო სამ საშ
შეხვედრაში ორ ქულას რომ არ
ჯერებულიყვნენ, ვინ იცის, სამომავ
იქნებ მოწინავე ექვსეულშიც შესუ
ყვნენ. საამისო შანსი, რაღა თქმა უ
კვლავაც აქვთ ქვემო ქართლელებს, 
გრამ რეალურად თუ ვიმსჯელებთ,
მხოლოდ თეორიულია.

და ბოლოს, ტურის ყველაზე თვ
სასეირო მატჩზეც ვთქვათ. ტალა
ნი, მაგრამ ლაზათიანი ბურთაობა ყ
ლა ბათუმში. სამი წელია, „ბათ
„ვიტ ჯორჯია" ვერ დაუმარცხებია,
და საკვირაო მატჩში ახლოს იყ
მიზანთან ზღვისპირელები და მეტი
რადღება რომ გამოეჩინათ. ნავსსაც
ტეხდნენ, მაგრამ...

პირველ ნახევარში მასპინძლები ა
რა უპირატესობას ფლობდნენ. ამ
მუჯირის, ღლონტისა და მჟავან
ძალისხმევით ლაღად უტევდნენ ას
ბალაძის შეგირდები, არაერთი საგო
მომენტიც შექმნეს, მაგრამ გოლა
საქმე ვერ მიიყვანეს. მეორე ნახევა
„ბათუმის" შტურმით დაიწყო, თ
„ვიტელები" მედგრად იდგნენ. მერ
თბილისელმა დოლიძემ ტალახში ი
ნი ისრიალა, ვიდრე ბურთიანად საჯ
მოში შესულ აფხაზავას ფეხს არ
დააწყდა. მატჩის არბიტრმა ლევან
ნიაშვილმა უყოყმანოდ მიუთითა თე
მეტმეტრიანი ნიშნულისკენ და შავ
ისგან ბოძებული შანსი აუღელვებ
გამოიყენა ამირან მუჯირმა. გოლმა
რთნელშეცვლილი „ვიტ ჯორჯია"
რძნობლად გამოაფხიზლა და სტუ
ბმა იმდენი მოახერხეს, ბურთი მ
ქის საჯარიმოს სიახლოვეს გადა
ნეს. საპასუხო გოლი ვეტერინარ
კუთხურის შემდეგ შეაგდეს. საჯარ
ში ყველას თენგიზ კობიაშვილმა და
რო და მეკარე ბედიაშვილმა თვალ
გააყოლა კარში შემავალ ბურთს.
ათასამდე ქომაგს ამის მერეც არ მ
ყენია, დარჩენილ დროში მოგება ო
გუნდს ძალუძდა, ჯერ გოჩაშვილს
ძლო ბათუმიდან სამი ქულის წა
ბოლოს კი მეკარესთან პირისპირ გ
ლი ღლონტის დარტყმულ ბურთს
ის ხაზზე ვიტელმა მცველმა მიუს

დღეს და ათ დეკემბერს საქართ
ოს თასის მეოთხედფინალური მა
ბი გაიმართება, მერე კი ისედაც მთ
მარე ქართული ფეხბურთი ზამთ
ძილს მიეცემა. ახალი საუკუნეც და
ბა. მერე გაზაფხულიც მოვა და
ახმაურდება საფეხბურთო მოედ
შეიცვლება რაიმე? გვქონდეს იმე

**ბაატა კვანტალიან**



რკინიგზელი ბორის გონჩაროვი დინამოელ თემურ გადელიას (№11) და მიხეილ მაზიაშვილს მარტოკა შებმია

[illegible] ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს უმაღლესი ლიგა 12 ჩემპიონატი მეორე წრე

# 17 ტური

სტატისტიკა

## ჩემპიონატის სტატისტიკა

| | |
|---|---|
| ტური | 17 |
| მატჩი | 101 |
| გოლი | 242 |
| გოლი საშუალოდ მატჩში | 2,40 |
| მასპინძელთა მოგება | 50 (49%) |
| ფრეები | 20 (20%) |
| სტუმართა მოგება | 31 (31%) |
| საერთო დასწრება | 164 550 |
| საშუალო დასწრება მატჩზე | 1 629 |
| საუკეთესო დასწრება ტურზე | XIII, XV: 12 000 |
| მწირი დასწრება ტურზე | VII: 50 |

| დაჯარიმდა | | სემ |
|---|---|---|
| მასპინძელი | 105 | 17,50 |
| სტუმარი | 96 | 16,00 |
| სულ | 201 | 33,50 |
| **კუთხური** | | **სემ** |
| მასპინძელი | 35 | 5,83 |
| სტუმარი | 19 | 3,17 |
| სულ | 54 | 9,00 |
| **კარისკენ დარტყმა** | | **სემ** |
| მასპინძელი | 37 | 6,17 |
| სტუმარი | 19 | 3,16 |
| სულ | 56 | 9,33 |
| **კარში დარტყმა** | | **სემ** |
| მასპინძელი | 33 | 5,50 |
| სტუმარი | 25 | 4,17 |
| სულ | 58 | 9,67 |
| **თამაშგარე** | | **სემ** |
| მასპინძელი | 22 | 3,67 |
| სტუმარი | 21 | 3,50 |
| სულ | 43 | 7,17 |

სემ - საშუალოდ ერთ მატჩში

### დინამო 0:1 ლოკომოტივი

| | | |
|---|---|---|
| 23 | დაჯარიმდა | 16 |
| 4 | კუთხური | 1 |
| 6 | კარისკენ დარტყმა | 5 |
| 7 | კარში დარტყმა | 3 |
| 0 | თამაშგარე | 4 |

### ტორპედო 5:0 დილა

| | | |
|---|---|---|
| 14 | დაჯარიმდა | 10 |
| 11 | კუთხური | 0 |
| 8 | კარისკენ დარტყმა | 0 |
| 8 | კარში დარტყმა | 0 |
| 6 | თამაშგარე | 0 |

### სიონი 0:4 კოლხეთი

| | | |
|---|---|---|
| 19 | დაჯარიმდა | 24 |
| 7 | კუთხური | 6 |
| 6 | კარისკენ დარტყმა | 3 |
| 6 | კარში დარტყმა | 9 |
| 6 | თამაშგარე | 7 |

### ბათუმი 1:1 ვიტ ჯორჯია

| | | |
|---|---|---|
| 18 | დაჯარიმდა | 17 |
| 5 | კუთხური | 2 |
| 9 | კარისკენ დარტყმა | 3 |
| 4 | კარში დარტყმა | 2 |
| 3 | თამაშგარე | 0 |

### თსუ 0:1 მერანი

| | | |
|---|---|---|
| 11 | დაჯარიმდა | 9 |
| 3 | კუთხური | 8 |
| 3 | კარისკენ დარტყმა | 6 |
| 1 | კარში დარტყმა | 7 |
| 3 | თამაშგარე | 7 |

### გორდა 0:0 იბერია

| | | |
|---|---|---|
| 20 | დაჯარიმდა | 20 |
| 5 | კუთხური | 2 |
| 5 | კარისკენ დარტყმა | 2 |
| 7 | კარში დარტყმა | 4 |
| 4 | თამაშგარე | 3 |

## ბომბარდირები

| | |
|---|---|
| 10 - ზირაქიშვილი | დინამო |
| 9 - დ. გოდერძიშვილი | მერანი |
| იონანიძე | ტორპედო |
| გადელია | დინამო |
| 7 - გ. ვ. მიქაძე | დინამო |
| რუსია | ლოკომოტივი |
| ჭუჭუნაშვა | თსუ |
| ა. მუჯირი | ბათუმი |
| 6 - გ. შენგელია | ლოკომოტივი |
| აფხაზავა | ბათუმი |
| მელქაძე | ვიტ ჯორჯია |



დავით ჭიჭველიშვილი ჯერ ზაზა ზამთარაძეს (№5) გასცდა, მერე გიორგი შაშიაშვილსაც აუარა გვერდი და ისე გაიტანა



ლოკომოტიველები დავით ჭიჭველიშვილს გამარჯვების გოლს ულოცავენ

თბილისი
3 დეკემბერი
14 საათი
ორთაჭალა
5 000 (ტევადობა 70 900)

### დინამო 0:1 ლოკომოტივი

0:1 ჭიჭველიშვილი (77)
**დინამო:** გრიშიკაშვილი, ქემოკლიძე, ვაშაკიძე, ა. სახვაძე, შაშიაშვილი, ზამთარაძე (გ. ვ. მიქაძე 83), დათებაძე (მაზიაშვილი 71), სიჭინავა, გადელია, ზირაქიშვილი, ჯინჭარაძე
სათადარიგონი: ბათიაშვილი; კანდელაკი, ბურდული, კ. გოგოლაძე, რუხაძე
**ლოკომოტივი:** ლომაია, ბალაშვილი, ლევან სილაგაძე, აბრამიძე, თოდუა, გილაური, კვარაცხელია, ჭიჭველიშვილი, გოგიჩაიშვილი (გოშჩაროვი 59), გ. შენგელია (ხურიძე 70), რუსია (ბარამოვი 59)
სათადარიგონი: ასლანიძე; დავითაშვილი, დ. არჩვაძე, გაგუა
**გაფრთხილება:** ქემოკლიძე (30), გილაური (58), გადელია (79), ბალაშვილი (84), ხურიძე (90)
**მსაჯები:** მ. მალაღურაძე; მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი), ბ. ბრეგვაძე (ჭიათურა); ა. შალამბერიძე (ქუთაისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. მილჩენკო

ქუთაისი
3 დეკემბერი
14 საათი
ტორპედო
1 500 (ტევადობა 19 432)

### ტორპედო 5:0 დილა

1:0 გაბიდაური (42), 2:0 იონანიძე (43), 3:0 გაბიდაური (53), 4:0, 5:0 ჯანაშია (67, 85პ)
**ტორპედო:** ზოიძე, ახვლედიანი (მ. ბობოხიძე 60), თურმანიძე (თავბერიძე 73), ხვადაგიანი, ზ. არჩვაძე, გაბიდაური, კ. კვეტენაძე (შალამბერიძე 27), ძამსაშვილი, ასათიანი, იონანიძე, ჯანაშია
სათადარიგონი: ქანთურია; მახვილაძე, შვერილაძე, ვაჩიბერაძე
**დილა:** თ. ილურიძე, აკოფიანი (მ. ბურნაძე 81), გრიგალაშვილი, გაგნიძე, ლ. გორჩაშვილი, საყვარელიძე, ლომიძე, რევაზიშვილი, ფეხუაშვილი, ხორგუაშვილი (ხოხობაშვილი 68), ევლოშვილი (ნაჩირაშვილი 87)
სათადარიგონი: სოლოღაშვილი; ა. ხმალაძე, ტუღუში, ციცქიშვილი
**გაფრთხილება:** ფეხუაშვილი (77), ძამსაშვილი (78), ჯანაშია (80)
**მსაჯები:** ა. კრიჭაშვილი; ზ. დოლიძე, მ. ურუშაძე; ზ. ჯვარიძე (ყველა თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** გ. ძამუკაშვილი

ბოლნისი
3 დეკემბერი
14 საათი
თემურ სტეფანია
1 000 (ტევადობა 3 000)

### სიონი 0:4 კოლხეთი

0:1 ე. გვასალია (44), 0:2 გოგიაშვილი (62), 0:3 ე. გვასალია (71), 0:4 ქანთურიძე (83)
**სიონი:** ვოლკოვი, კ. გოდერძიშვილი, ძაპინძლაშვილი, ირემაშვილი, მინდიაშვილი, მ. გოგოლაძე (ასიანი 52), გამცემლიძე (დიმიტრიშვილი 46), სოლოღაშვილი, მოსეშვილი, წიქვიძე (მ. სამხარაძე 68), კ. მეტრეველი
სათადარიგონი: დალაქიშვილი; დ. ჯაფარიძე, დემურიშვილი
**კოლხეთი:** მ. გვასალია, ტორჩინავა, ქურთელია, პაპავა, ქანთურიძე, ხუჭუა (მეგრულიძე 74), ე. გვასალია, კვირკველია, ახალკაცი, გოგიაშვილი, ლილანიძე
სათადარიგონი: ჩემია; აკობია, გ. ჩიტაია, კრასოვსკი, მაღლაკელიძე, ფანჩულიძე
**გაფრთხილება:** ირემაშვილი (29), ძაპინძლაშვილი (37), გოგიაშვილი (47), მოსეშვილი (42), ტორჩინავა (59), ე. გვასალია (67)
**მსაჯები:** პ. დოგრაშვილი; გ. კიკაჩეიშვილი, ნ. რუსიშვილი; კ. გაბრიაძე (ყველა ქუთაისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ი. მჭედლიშვილი

ბათუმი
3 დეკემბერი
14 საათი
დინამო
3 000 (ტევადობა 18 000)

### ბათუმი 1:1 ვიტ ჯორჯია

1:0 ა. მუჯირი (68პ), 1:1 კობიაშვილი (83)
**ბათუმი:** ბედიაშვილი, გველესიანი, მინდაძე, პაპიძე, მჟავანაძე, გელა ქორიძე, ლომინაძე, დარჩიძე, ფუტკარაძე, აფხაზავა (ბეჟანიძე 87), ა. მუჯირი
სათადარიგონი: ჯაში; ქაცარავა, ცინარიძე, თედორაძე, სახარულიძე, სიამაშვილი
**ვიტ ჯორჯია:** მერლანი, საჯაია, ქანთარიძე, კობიაშვილი, ჯ. მუჯირი (დოლიძე 46), დილმელაშვილი, ლ. ნოზაძე, დეკანოსიძე (ვ. გოჩაშვილი 38), გიორგი ქორიძე, ფიფიანი (სულთანიშვილი 73), ლ. მელქაძე
სათადარიგონი: სტურუა; ინწკირველი, გვაზავა, თავაძე
**გაფრთხილება:** დოლიძე (67), მელქაძე (68), ა. მუჯირი (78)
**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი; ი. შალამბერიძე, ვ. ჩოჩიშვილი (ყველა თბილისი); ზ. ანიაშვილი (გორი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** გ. ფირცხალავა

მცხეთა
3 დეკემბერი
14 საათი
არმაზი
250 (ტევადობა 3 000)

### თსუ 0:1 მერანი

0:1 როსტიაშვილი (27)
**თსუ:** მამარდაშვილი, ზვ. ლაბაძე, ხარებავა, არეშიძე, გოცირიძე, ადამია (ბოკერია 76), ჭუჭუნავა, ახალაძე, მესხი (ვადაჭკორია 18, ბ. ნოზაძე 46), ერაძე, კვიციანი
სათადარიგო: მორჩილაძე
**მერანი:** დევაძე, ბაჟელიძე (თოლორდავა 87), გუჯაბიძე, ცქიფურიშვილი, დევიძე, კობესაშვილი, ბოლქვაძე (კოშკაძე 76), დ. გოდერძიშვილი, როსტიაშვილი (კაკუბავა 60), ჭინჭარაული, მინაშვილი
სათადარიგონი: ნაჭყებია; გ. ილურიძე, მუხინი, სილაგავა
**გაფრთხილება:** არეშიძე (12), ახალაძე (32), როსტიაშვილი (32), ბოკერია (88), მინაშვილი (89)
**მსაჯები:** ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); მ. მაისურაძე (თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ნ. კაკულია

რუსთავი
3 დეკემბერი
14 საათი
ფოლადი
1 500 (ტევადობა 10 700)

### გორდა 0:0 იბერია

**გორდა:** ნიკურაძე, გაბელაია, ა. ბურნაძე, ბექაური, ლაშა სილაგაძე, ზ. ლაბაძე (მიშველიძე 46), მელაძე, კიტეიშვილი (მ. სახვაძე 77), ჯელაძე, ივერიანი (ლ. კაპანაძე 61), ალადაშვილი
სათადარიგონი: გონგაძე; ბერიძე, მჭედლიძე, წიკლაური
**იბერია:** ვარდანიძე, გ. ნოზაძე, მიქელთაძე, გიორგაძე, ლ. ხმალაძე, ონიანი, ყურაშვილი, ზ. მეტრეველი (ჩიმაკაძე 90), გიგიაძე, ბიწაძე, მუმლაძე
სათადარიგონი: ჩომახიძე; ქოლაძე
**გაფრთხილება:** ბურნაძე (36), ყურაშვილი (42)
**მსაჯები:** კ. მესხი (ზუგდიდი); გ. ცირდავა (გულრიფში), ა. სამხარაძე; დ. სანაია (ორივე სოხუმი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** გ. გვანცელაძე

## სიმბოლური ნაკრები

| | |
|---|---|
| გიორგი გაბიდაური | ტორპედო |
| ილდარ გვასალია | კოლხეთი |
| ამირან მუჯირი | ბათუმი |
| დავით ჭიჭველიშვილი | ლოკომოტივი |
| მალხაზ ასათიანი | ტორპედო |
| ვლადიმერ გოჩაშვილი | ვიტ ჯორჯია |
| ზვიად პაპიძე | ბათუმი |
| ვალერი ტორჩინავა | კოლხეთი |
| თენგიზ კობიაშვილი | ვიტ ჯორჯია |
| ავქსენტი გილაური | ლოკომოტივი |
| გიორგი ლომაია | ლოკომოტივი |

გუნდი: ლოკომოტივი

მწვრთნელი: რევაზ ძოძუაშვილი

## უმაღლესი ლიგა

| № გუნდები | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ლოკომოტივი | 17 | 14 | 1 | 2 | 32:7 | 25 | 43 | 8 | 7 | 0 | 1 | 19:3 | 16 | 21 | 9 | 7 | 1 | 1 | 13:4 | 9 | 22 |
| 2 ტორპედო | 17 | 12 | 3 | 2 | 28:6 | 22 | 39 | 9 | 6 | 2 | 1 | 15:4 | 11 | 20 | 8 | 6 | 1 | 1 | 13:2 | 11 | 19 |
| 3 დინამო | 17 | 12 | 1 | 4 | 43:17 | 26 | 37 | 9 | 7 | 0 | 2 | 28:7 | 21 | 21 | 8 | 5 | 1 | 2 | 15:10 | 5 | 16 |
| 4 ვიტ ჯორჯია | 17 | 9 | 5 | 3 | 26:12 | 14 | 32 | 8 | 6 | 0 | 2 | 11:2 | 9 | 18 | 9 | 3 | 5 | 1 | 15:10 | 5 | 14 |
| 5 კოლხეთი | 17 | 8 | 3 | 6 | 19:14 | 5 | 27 | 8 | 5 | 2 | 1 | 8:4 | 4 | 17 | 9 | 3 | 1 | 5 | 11:10 | 1 | 10 |
| 6 მერანი | 17 | 6 | 6 | 5 | 17:17 | 0 | 24 | 8 | 4 | 4 | 0 | 10:4 | 6 | 16 | 9 | 2 | 2 | 5 | 7:13 | -6 | 8 |
| 7 ბათუმი | 17 | 6 | 3 | 8 | 22:24 | -2 | 21 | 9 | 5 | 1 | 3 | 17:12 | 5 | 16 | 8 | 1 | 2 | 5 | 5:12 | -7 | 5 |
| 8 სიონი | 17 | 4 | 4 | 9 | 12:27 | -15 | 16 | 9 | 2 | 3 | 4 | 8:12 | -4 | 9 | 8 | 2 | 1 | 5 | 4:15 | -11 | 7 |
| 9 გორდა | 17 | 3 | 7 | 7 | 13:22 | -9 | 16 | 9 | 3 | 4 | 2 | 11:7 | 4 | 13 | 8 | 0 | 3 | 5 | 2:15 | -13 | 3 |
| 10 დილა | 17 | 4 | 3 | 10 | 13:32 | -19 | 15 | 8 | 3 | 2 | 3 | 11:12 | -1 | 11 | 9 | 1 | 1 | 7 | 2:20 | -18 | 4 |
| 11 თსუ | 17 | 4 | 2 | 11 | 17:32 | -15 | 14 | 9 | 2 | 1 | 6 | 7:15 | -8 | 7 | 8 | 2 | 1 | 5 | 10:17 | -7 | 7 |
| 12 იბერია | 17 | 0 | 2 | 15 | 3:35 | -32 | 2 | 8 | 0 | 1 | 7 | 1:17 | -16 | 1 | 9 | 0 | 1 | 8 | 2:18 | -16 | 1 |

# ქართველები მადაზე მოვიდნენ

## ჯამარაულმა და ყაველაშვილმა ციურიხი საუკეთესო რვაში დატოვეს

ასეთი რამ იშვიათად ხდება. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ მსგავს ფუფუნებას გადაჩვეული ვართ. გასულ უქმეებზე ჩვენებურთა გუნდებმა ერთობ იყოჩაღეს, ქართველებმა კი ჯამში 10 გოლი გაიტანეს.

მიმოხილვა შვეიცარიული ამბებით დავიწყოთ. ჯამარაულ — ყაველაშვილის „ციურიხმა“ ამათივე გოლებით შინ „ბაზელს“ 2:0 მოუგო და საუკეთესო რვა გუნდს შორის დაიმკვიდრა ადგილი. ეს ნიშნავს, რომ შარშანდელისგან განსხვავებით, „ციურიხს“ უმაღლეს დივიზიონში თამაში განაღდებული აქვს და ახლა, ეგებ საპრიზო ადგილებისთვისაც იბრძოლოს. ადრე ვწერდით, „ციურიხის“ ბედი ჯამარაულის მდგომარეობა-განწყობაზეა დამოკიდებულიო და ეს ვარაუდი ყოველ ტურში მტკიცდება. აი, წინა თამაშში ბოლოადგილოსან „ქსამაქსს“ ნაწვევ „ციურიხს“ დისკვალიფიცირებული ჯამარაული აკლდა და მეტად პრინციპული შეხვედრა 1:3 წააგო. ახლა გოჩა მინდორს დაუბრუნდა და ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. ჯერ მიხეილ ყაველაშვილმა გაიტანა მისივე წაქცევისთვის დანიშნული პენალტი, მერე კი ჯამარაულმა მორიგი წარმოდგენა ჩაატარა, ჩინებული დრიბლინგი შეასრულა და მეორე შეაგდო.

ჯერ, ცხადია, ადრეა, მაგრამ ახლანდელი მდგომარეობით, ვფიქრობთ, გოჩა საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელობის ერთ-ერთი რეალური კანდიდატია.

ლევან ხომერიკმა „არაუს“ ვერ უშველა. „გრასჰოპერთან“ 1:3 წააგეს და ბოლო ოთხეულში ჩარჩნენ, რომლებსაც ოთხ მოწინავე ქვედალიგელთან ერთად დივიზიონში ადგილის შენარჩუნებისთვის მოუწევთ ბრძოლა.

თავი ისახელეს ჩვენმა „გერმანელებმაც“. ბოლო მატჩებში „ბაიერნთან“ ფრეს და „კაიზერსლაუტერნთან“ მოგებას ამ შაბათს „ფრაიბურგმა“ ლიდერ „ჰერტასთან“ ფრეც დაამატა, თანაც ანგარიში 0:2 შემდეგ გაათანაბრა. გადამწყვეტი ლევან კობიაშვილის პენალტი გამოდგა, რომელიც მან 73-ე წუთზე გაიტანა. ალექსანდრე იაშვილი მინდორზე მეორე ტაიმში გამოჩნდა და თავისიანებს გათანაბრებაში დიდად დაეხმარა. ეს ამბავი ორმაგად სასიხარულოა, რადგან „იაშკა“ ბოლო დროს ძირითად შემადგენლობაში ვეღარ ხვდებოდა და ცხადია, ახლა საკუთარ ძალებში დარწმუნება სჭირდება. იაშვილმა წინა ოთხშაბათსაც ითამაშა „ლევერკუზენთან“ თასის მერვედფინალურ მატჩში. ის შეხვედრა „ფრაიბურგმა“ ბერტი ფოგთსის გუნდს 3:2 მოუგო. სამივე ქართველმა შეუცვლელად დატოვა მინდორი, ხოლო კობიაშვილმა ერთი გოლი იქაც პენალტით შეაგდო.

წაუგებელ სერიას განაგრძობს „კიოლნიც“. ამჯერად, ლიგის დებიუტანტებმა „მიუნხენი“ გაანადგურეს 4:0. ერთი და თანაც ლამაზი გოლი არჩილ არველაძემაც გაიტანა. საოცარ ამბებს სჩადის ევალდ ლინენის გუნდი. უკვე ზედიზედ მეთოთხმეტე ტურია მინდვრიდან გამარჯვებული გადის, თანაც ამ ოთხ მატჩში 15 ბურთი გაიტანა...

სასიამოვნოა, რომ „კიოლნის“ ალზევება ტრავმამოშუშებული არჩილის დაბრუნებას დაემთხვა. ახლა „კიოლნი“ ლიდერ „ჰერტას“ ოდენ ოთხი ქულით ჩამორჩება.

წინა მიმოხილვაში „კიოლნი“ ჩემპიონთა ლიგა უნებლიედ დავაკავშირეთ და ვინ იცის, ეგებ ენამაც გვიყივლა...

არჩილის ტყუპისცალი შოთა კი ბოლო დღეებში ორჯერ გამოირჩა. „აიაქსმა“ ჰოლანდიის ჩემპიონატში ორი მატჩი დიდი ანგარიშით მოიგო, შოთამ კი ორივეში თითო გოლი გაიტანა. საინტერესოა, რომ ჩემპიონთა ლიგიდან ახლახან გავარდნილ „ჰერენვენთან“, მწვრთნელმა კო ადრიანსემ არველაძე და ბერძენი მახლასი მთელი შეხვედრა შეუცვლელად ათამაშა. იშვიათი შემთხვევაა, მაგრამ ვიმედოვნებთ არა შემთხვევითი. ადრე შემადგენლობაში უპირატესად ბერძენს ათამაშებდნენ, შოთა კი მის მაგიერ შეჰყავდათ ხოლმე, მაგრამ ეტყობა ქართველს ტრავმა აღარ აწუხებს და ეგებ მალე სამი წლის წინანდელიც გაიხსენოს, როცა ნიდერლანდული ლიგის საუკეთესო მეგოლეთა სიას მეთაურობდა.

სასიამოვნო ამბავი მოხდა ინგლისურ პრემიერლიგაშიც. მართალია, უქინქლაძეოდ, მაგრამ „დერბიმ“ სტუმრად სამეულის „იფსვიჩს“ მოუგო და კიდევ ორი საფეხურით, მე-17 ადგილზე აცოცდა. ამათ თუ ასე გააგრძელეს, ლიგაში ნაღდად დარჩებიან.

კობა წიტაიშვილის რიშონის ლეციონის „ირონიმ“ ისრაელის ჩემპიონატის მე-15 ტურში აუტსაიდერ „ცაფრირიმს“ უმასპინძლა და 3:0 მოუგო. ორი ბურთი ქართველმა მიითვალა, ერთიც ვინმე უდი ქაბუდიმ. ახლა კობას 5 გატანილი ბურთი მოუგროვდა. ბომბარდირთა სიას კი 9-9 გოლით ჰაიფას მაკაბელი რაფი კოენი და ფეთახ თიკვას ჰაპოელელი მოტი კაკონი ლიდერობენ.

ისრაელის ჩემპიონატში 12 გუნდი თამაშობს. სამწრიანი ტურნირის შემდეგ პლეი ოფები დაიწყება, 1-6 ადგილებზე გასულები საპრიზო ადგილებს გაითამაშებენ, ხოლო 7-12 ადგილოსნები ორ ისეთს გამოავლენენ, ვისაც უმაღლესი ლიგის დატოვება მოუწევს. „ირონი“ ახლა მეცხრე ადგილზეა და პირველ ექვსეულში მოხვედრის ჯერ კიდევ კარგი შანსი აქვს. ამიტომ, „ცაფრირიმთან“ გამარჯვებამ წიტაიშვილსა და მის მეგობრებს მეტად საჭირო სამი ქულა მოუტანა. ებრაელი ჟურნალისტები აღნიშნავენ, რომ ამ ტურში ერთობ მოულოდნელი ანგარიშები დაფიქსირებულა. მხოლოდ „ირონი“ — „ცაფრირიმის“ მატჩი დამთავრებულა ლოგიკურად. მაგრამ, თურმე, ადგილობრივ ბუქმეიკერებს ეს თამაში პროგრამაში არ შეუტანიათ და დიდადაც უხეირიათ.

რუსეთში ჩემპიონატის შედეგებს აჯამებენ. საფეხბურთო კავშირმა 33 საუკეთესოს ჩამონათვალი გამოაქვეყნა, რომელშიც ვერცერთი ქართველი ვერ მოხვდა. შარშან ამ სიაში ზაზა ჯანაშია და გიორგი დემეტრაძე შეიყვანეს.

„ალანიას“ მწვრთნელმა ალექსანდრ ავერიანოვმა კი თავისი ფეხბურთელები შეაფასა. მისი თქმით, მამუკა წერეთელმა დანიაში ყოფნის დროს ფორმა დაკარგა, მერე ამას ტრავმაც დაემატა და სეზონი, ფაქტობრივად, ჩაუვარდა. ხოლო მიხეილ აშვეთიამ მხოლოდ ჩემპიონატის ბოლოს დაიწყო ისეთი ფეხბურთის თამაში, როგორსაც მისგან ელოდნენ.

აზერბაიჯანში თასის მერვედფინალური მატჩები გაიმართა. კილასონიების „თურანმა“ სტუმრად „უმიდს“ 2:0 მოუგო. ვარლამ კილასონიას არ უთამაშია, გიამ კი ერთი გოლი გაიტანა.

„შამქირს“ დუბაიდან დაუბრუნდა აზერბაიჯანის ნაკრების ფეხბურთელი ბადრი კვარაცხელია. ბადრის არაბულ კლუბთან კონტრაქტი არ გაუფორმებია და წონამომატებულსაც კი „შამქირის“ შეტევების გაძღოლა უთავია, თუმცა შამქირელებმა სათასო მატჩი „ნეფთჩისთან“ 0:2 წააგეს.

**სოლომონ ბულისკერიანი**

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **გერმანია** | | | | | | | | |
| ბუნდესლიგა | | | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | ს | ჰერტა 2:2 | 45 | შეცვლაზე ითამაშა | 12 | 2 | 13 |
| ლევან კობიაშვილი | ფრაიბურგი | ს | ჰერტა 2:2 | 90 | 1გოლი პენალტით,გააფრთხილეს | 15 | 2 | 13 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | ს | ჰერტა 2:2 | 0 | სათადარიგო | 11 | 0 | 13 |
| არჩილ არველაძე | კიოლნი | შ | მიუნხენი 4:0 | 90 | 1გოლი, 1 საგოლე პასი | 11 | 2 | 6 |
| მეორე ბუნდესლიგა | | | | | | | | |
| მიხეილ საჯაია | როიტლინგენი | ს | ოსნაბრიუკი 2:0 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა | 2 | 0 | 3 |
| თასის მერვედფინალი | | | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | შ | ლევერკუზენი 3:2 | 90 | | 2 | 2 | |
| ლევან კობიაშვილი | ფრაიბურგი | შ | ლევერკუზენი 3:2 | 90 | 1გოლი პენალტით | 3 | 1 | |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | შ | ლევერკუზენი 3:2 | 90 | | 2 | 0 | |
| **ინგლისი** | | | | | | | | |
| პრემიერლიგა | | | | | | | | |
| გიორგი ქინქლაძე | დერბი | ს | იფსვიჩი 1:0 | 0 | | 11 | 1 | 17 |
| რატი ალექსიძე | ჩელსი | შ | სიტი 2:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 14 |
| პირველი დივიზიონი | | | | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ვულვზი | შ | ბარნსლი 2:0 | 0 | ტრავმირებულია | 11 | 3 | 14 |
| ლიგის თასის მერვედფინალი | | | | | | | | |
| გიორგი ქინქლაძე | დერბი | ს | ფულემი 2:3 | 0 | | 2 | 0 | |
| **შოტლანდია** | | | | | | | | |
| პრემიერლიგა | | | | | | | | |
| გიორგი ნემსაძე | დანდი | შ | სენტ ჯონსტონი 1:1 | 90 | | 16 | 1 | 7 |
| **ჰოლანდია** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | აიაქსი | შ | ვალვაიკი 3:0 | 28 | შეცვლაზე ითამაშა, 1 გოლი | 9 | 4 | 4 |
| | აიაქსი | შ | ჰერენვენი 6:2 | 90 | 1 გოლი | 10 | 5 | 4 |
| გოგა გახოკიძე | პსვ ეინდჰოვენი | ს | როდა 2:1 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა | 0 | 0 | 2 |
| **ბელგია** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| გელა შეყილაძე | ლიერსი | შ | ბეერსხოტი 1:1 | 90 | | 11 | 1 | 8 |
| ლაშა ჯაკობია | აალსტი | ს | შარლერუა 0:0 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 15 |
| **შვეიცარია** | | | | | | | | |
| უმაღლესი დივიზიონი | | | | | | | | |
| გოჩა ჯამარაული | ციურიხი | შ | ბაზელი 2:0 | 90 | 1 გოლი | 19 | 8 | 8 |
| მიხეილ ყაველაშვილი | ციურიხი | შ | ბაზელი 2:0 | 79 | შეცვალეს, 1 გოლი პენალტით | 18 | 8 | 8 |
| ლევან ხომერიკი | არაუ | შ | გრასჰოპერი 1:3 | 90 | | 19 | 6 | 9 |
| **ისრაელი** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| კობა წიტაიშვილი | ი. რიშონი | შ | ცაფრირიმი 3:0 | 90 | 2 გოლი | 10 | 5 | 9 |
| **საბერძნეთი** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| ლევან ქებაძე | იანინა | შ | პანაჰაიკი 1:1 | 0 | | 7 | 0 | 12 |

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში



შოთა არველაძემ ბოლო ორ მატჩში ორჯერ გატანა



გოჩა ჯამარაულმა (მარჯვნივ) შვეიცარიის ჩემპიონატში მერვე გოლი გაიტანა, ხოლო მისი „ციურიხი“ რვა საუკეთესო გუნდს შორის მოხვდა

# ტერი ვენეიბლზის გზა: სინატრადან მიდლსბრომდე

„მიდლსბრომ“ ბოლო რვა შეხვედრიდან შვიდი წააგო და ცვლილებების აუცილებლობის წინაშე დადგა. ცვლილებები, მოგეხსენებათ, უპირველესად ახალი მწვრთნელის მოყვანას ნიშნავს.

როგორც კი ინგლისში მწვრთნელის ვაკანსია გამოჩნდება, უმალ ახსენებენ ტერი ვენეიბლზს. ამ კაცმა ავსტრალიის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ გაიყვანა, „პორტსმუთის“ თავმჯდომარეობიდან წასვლა მოუხდა, ვერაფერი მოუხერხა „კრისტალ პალასს“, მაგრამ მისი სახელი მუდამ უპირველეს კანდიდატთა შორის მოიხსენიება. ასე იყო ახლახან, როცა ინგლისი ნაკრების ახალ მწვრთნელს ეძებდა და, როგორც ამბობენ, ვენეიბლზმა მხოლოდ ფეხბურთის ასოციაციასთან ცუდი დამოკიდებულების გამო ვერ გაიმარჯვა. ახლა მას „მიდლსბროს“ ჭაობიდან ამოთრევა მოუწევს.


REUTERS

ტერი ვენეიბლზი და „მიდლსბროს“ თავმჯდომარე სტივ გიბსონი

ვენეიბლზი და კლუბის თავმჯდომარე სტივ გიბსონი მთელი გასული კვირა ათანხმებდნენ კონტრაქტის პირობებს. ფაქტობრივად, საკამათო ერთადერთი საკითხი გახლდათ — როდემდე დარჩებოდა მწვრთნელი კლუბში. თავმჯდომარე მინიმუმ 18 თვით ეპატიჟებოდა, ის კი უარზე იყო და თავისი გაიტანა — „მიდლსბროს“ მხოლოდ სეზონის ბოლომდე გაწვრთნის. ვენეიბლზი ამბობს: „თავისთავად, გრძელვადიანი კონტრაქტის წინააღმდეგი არა ვარ. უბრალოდ, ტელევიზიასთან, რომელთანაც ახლაც ვთანამშრომლობ, გარკვეული ვალდებულებები მაკავშირებს. ამიტომ „მიდლსბროში“ ექვსი თვით მუშაობას დავთანხმდი“.

ვენეიბლზის ხანმოკლე კონტრაქტი და ის ფაქტი, რომ მისი წინამორბედი ბრაიან რობსონი კლუბში რჩება და მენეჯერად იმუშავებს, გვაფიქრებინებს, რომ წვრთნის პროცესს ისინი ერთად უხელმძღვანელებენ. ვენეიბლზს და რობსონს ამის გამოცდილება აქვთ — თავის დროზე ნაკრებშიც ერთად მუშაობდნენ და გეხსომებათ, არცთუ ურიგოდ. ევრო 96-ზე ისინი ბრწყინვალე თამაშით მივიდნენ ნახევარფინალამდე (განსაკუთრებით დასამახსოვრებული გამოდგა ჰოლანდიასთან 4:1) და იქ მხოლოდ პენალტებით წააგეს მომავალ ჩემპიონ გერმანიასთან.

„გიბსონს შევუთანხმდი, რომ გუნდს ბრაიანთან ერთად მოვამზადებ — თქვა პრესკონფერენციაზე ვენეიბლზმა — გუნდის სრულყოფილად შესასწავლად ოთხიდან ექვს კვირამდე დამჭირდება, დრო კი არ ითმენს, ამიტომ ბრაიანის დახმარების გარეშე ვერაფერს გავხდები. ამასთანავე, სატრანსფერო პოლიტიკაში ჩარევას არ ვაპირებ, ახალი ფეხბურთელების მოყვანაზე იმან უნდა იფიქროს, ვინც კლუბში დიდი ხნით იმუშავებს და რობსონი სწორედ ასეთია. ვფიქრობ, ის კვლავ დაბრუნდება „მიდლსბროს“ მწვრთნელად“.

რა ხდება, ბრაიან რობსონს ექვსი თვით მასწავლებელი დაუნიშნეს? სტივ გიბსონის სიტყვებიდან ასე გამოდის: „ბრაიანთან განშორებას არ ვაპირებთ. მისი მომავალი დიდი ხნითაა კლუბთან დაკავშირებული. ახლა მას საშუალება ეძლევა, ვენეიბლზთან მხარდამხარ მუშაობით დიდი გამოცდილება მიიღოს“.

კმაყოფილია რობსონიც: „ვენეიბლზის მოწვევა საუკეთესო გადაწყვეტილება იყო. მართალია, ის ცოტა ხნით მოვიდა, მაგრამ ესეც ძალიან კარგია. მისი რეპუტაცია გვაძლევს იმედს, რომ კლუბის საქმეები მალე გამოსწორდება და პირადად ჩემი სურვილი და მიზანიც ესაა. მან ისიც მითხრა, რომ ყოველი თამაშის წინ შემადგენლობის შერჩევისას ჩემს აზრსაც გაითვალისწინებს“.

როცა ბრაიან რობსონი ტერი ვენეიბლზს ავტორიტეტულ პიროვნებას უწოდებს, მის საფეხბურთო მოღვაწეობას გულისხმობს, აი, ბიზნესმენობისა კი რა მოგახსენოთ. 1998 ბრიტანეთის უზენაესმა სასამართლომ მას 7 წლით აუკრძალა ბიზნესში ხელმძღვანელ პოსტზე მუშაობა. ვენეიბლზი ათასგვარ ფინანსურ ოპერაციებს ატარებდა და სასამართლოს გადაწყვეტილებით თუ ვიმსჯელებთ, საეჭვო რეპუტაციითაც სარგებლობდა. როგორც ინგლისელები ამბობენ, ბიზნესმა მას ბევრი ფული და უფრო ბევრი უსიამოვნება მოუტანა.

17 წლის იყო ტერი ვენეიბლზი, როცა გენიალური იდეა მოუვიდა (ყოველ შემთხვევაში, თვითონ ასე ეგონა), ქალის ქუდებს პარიკები მიაკერა და გაყიდვა დაიწყო. ინგლისელ მანდილოსნებს ამგვარი ნოუ-ჰაუ ჭკუაში არ დაუჯდათ და საქმე ჩაიფუშა. მერე სამკერვალო ბიზნესი წამოიწყო... ვენეიბლზის მაშინდელი პარტნიორი იგონებს: „ჩვენი შეკერილი ტანსაცმელი ჩვენს გარდა არავის ეცვა.“

ჭრა-კერვიდან რომ არაფერი გამოვიდა, ვენეიბლზმა დეიმონ რანიონთან ერთად რომანების წერა დაიწყო. აქ გაუმართლა. მისი წიგნები საკმაოდ კარგად იყიდებოდა, უფრო კი დეტექტიური მოთხრობები, რომელთა მუდმივი გმირი კერძო დეტექტივი ჯეიმს ჰაზელი გახლდათ. ამასთანავე, 70-იანი წლების დასაწყისში ლონდონელი მელომანები კარგად იცნობდნენ ლირიკული სიმღერების შემსრულებელ ტერი ვენეიბლზს, რომელიც ჯო ლოსის ორკესტრთან ერთად მღეროდა. მოგვიანებით, „ბარსელონაში“ მუშაობისას, ესპანეთის ტელევიზია ხშირად უჩვენებდა კლიპს, რომელშიც ეს ჩვენი ცნობილი მწვრთნელი ფრენკ სინატრას ჰიტს „MY WAY“ (ჩემი გზა) მღეროდა.

**გიორგი დარჯანია**

## ტერი ვენეიბლზი



დაიბადა 1943 წლის 6 იანვარს დეგენჰემში, ინგლისი
1958: დაიწყო თამაში „ჩელსის“ საფეხბურთო სკოლაში
1960: კლუბთან გააფორმა პროფესიული კონტრაქტი. სულ ჩაატარა 202 მატჩი და გაიტანა 26 გოლი
1963: „ჩელსი“ გადავიდა პირველ დივიზიონში (ახლანდელი პრემიერლიგა)
1965: ინგლისის ნაკრებში ითამაშა ბელგიისა და ჰოლანდიის წინააღმდეგ — გახდა ერთადერთი ფეხბურთელი, რომელსაც უთამაშია ინგლისის მოსწავლეთა, იუნიორთა, მოყვარულთა, ახალგაზრდულ და ეროვნულ ნაკრებებში. იმავე წელს მოიგო ლიგის თასი
1966: 80 ათას გირვანქად გაიყიდა „ტოტენჰემ ჰოთსპურში“. 115 მატჩში გაიტანა 19 გოლი
1974: გადავიდა მესამედივიზიონელ „კრისტალ პალასში“, სადაც 14 მატჩის შემდეგ დაინიშნა მწვრთნელ მალკოლმ ელისონის თანაშემწედ
1976: გახდა „კრისტალ პალასის“ მწვრთნელი
1977: „კრისტალ პალასი“ გადავიდა მეორე დივიზიონში
1979: „კრისტალ პალასი“ ალზევდა პირველ დივიზიონში
1980: დაინიშნა მეორედივიზიონელ „ქუინზ პარკ რეინჯერსის“ მწვრთნელად
1982: „ქუინზ პარკმა“ პირველად გაალწია ასოციაციის თასის ფინალში, სადაც გადათამაშებაში „ტოტენჰემთან“ წააგო
1983: „ქუინზ პარკი“ გახდა მეორე დივიზიონის ჩემპიონი
1984: სამუშაოდ გადავიდა „ბარსელონაში“
1985: „ბარსელონა“ თერთმეტწლიანი ლოდინის შემდეგ გახდა ესპანეთის ჩემპიონი
1986: ჩემპიონთა თასის ფინალში „ბარსელონამ“ პენალტებით წააგო „სტიაუასთან“
1987: დაინიშნა „ტოტენჰემის“ მწვრთნელად
1991: „ტოტენჰემმა“ მერვედ მოიგო ასოციაციის თასი. სურდა კლუბის შეძენა და მისი თავმჯდომარეობა, მაგრამ ახლანდელ მეპატრონე ალან შუგართან დამარცხდა
1993: შუგარმა თანამდებობიდან მოხსნა, რისთვისაც სასამართლოში იჩივლა და პროცესი მოიგო, თუმცა ხელახალ მოსმენაზე დამარცხდა.
1994: დანიშნეს ინგლისის ნაკრების მწვრთნელად
1996: ინგლისის ნაკრებმა წააგო ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში, რის მერეც გადადგა. დანიშნეს ავსტრალიის ნაკრების თავკაცად. ამასთანავე გახდა „პორტსმუთის“ თავმჯდომარე
1997: ავსტრალია ვერ მოხვდა მსოფლიოს ჩემპიონატზე და გადადგა
1998: წავიდა „პორტსმუთიდან“ და მეორედ გახდა „კრისტალ პალასის“ მწვრთნელი
1999: დატოვა „კრისტალ პალასი“. მუშაობდა ტელევიზიასა და რადიოში საფეხბურთო მიმომხილველად
2000: 4 დეკემბერს დაინიშნა „მიდლსბროს“ მწვრთნელად

## ფეხბურთის რუ[illegible]



**ინგლისელ** ფორვარდ ალან შირერს გუშინ მუხლის ოპერაცია უნდა გაეკეთებინა. ექიმების ცნობით, იგი დაახლოებით ორ კვირას ვერ ითამაშებს. „მცირეოდენი ქირურგიული ჩარევა მჭირდება“ — განაცხადა 30 წლის შირერმა, რომელსაც „ნიუკასლ იუნაიტედში“ ბობი რობსონის მწვრთნელად დანიშვნის შემდეგ, 14 თვეა, კლუბის ერთი თამაშიც არ გამოუტოვებია.

**იტალიის ჩემპიონატის ლიდერ „რომას“ „ბარიდან“ ანტონიო კასანოს გადაბირება განუზრახავს, თუმც კონკურენტიც ჰყავს „იუვენტუსის“ სახით. ერთ-ერთ სააგენტოს სავარაუდო სატრანსფერო თანხაც შეუტყვია და იუწყება, ახალგაზრდა ფეხბურთელის სანაცვლოდ რომაული კლუბი 18 მილიონ დოლარს იხდისო. ისიც ვთქვათ, რომ კასანოს შეძენის სურვილი ადრე „პარმამ“ და „მილანმაც“ გამოთქვეს.**

**ჰოლანდიელი** მცველი რობერტ მოლენაარი „ბრედფორდმა“ „ლიდსისგან“ 500 ათას გირვანქად შეიძინა. ეს ფეხბურთელი იორკშირულ კლუბში 1996 წელს „ვოლენდამიდან“ 1 მილიონ გირვანქად ჩაირიცხა, თუმცა შემდეგ მუხლის ტრავმა მიიღო და თითქმის ორი სეზონი გამოტოვა. „რობერტი გამოცდილი მოთამაშეა და განსაკუთრებით ძლიერად თავით თამაშობს. მისი გადაბირება სხვა კლუბებსაც სურდათ. მოხარული ვარ, რომ საბოლოოდ ჩვენთან გადმოვიდა“ — განაცხადა „ბრედფორდის“ მწვრთნელმა ჯიმ ჯეფერისმა. თავად 31 წლის მოლენაარმა კი თქვა: „ლიდსიდან“ წასვლა მართლაც არასასიამოვნოა, თუმცა გუნდში რიო ფერდინანდის ჩარიცხვის შემდეგ იქ ჩემი ადგილი აღარ იყო. ვიმედოვნებ, რომ ახალ გუნდს მალე შევეგუები“.

**იაპონელი ფორვარდი აკინორი ნიშიზავა სეზონის ბოლომდე განათხოვრებით „ესპანიოლში“ ჩაირიცხა. აზიის ჩემპიონმა სამედიცინო შემოწმება უკვე გაიარა და კატალონიურ კლუბში 15 დეკემბრის შემდეგ ითამაშებს, როცა ესპანეთში სატრანსფერო სეზონი გაიხსნება. „აკინორი ევროპულ ფეხბურთს რაც შეიძლება მალე უნდა შეეგუოს. მჯერა, ის ამას შეძლებს და ჩვენს გუნდში თავს გამოიჩენს“ — აღნიშნა კატალონიური კლუბის მწვრთნელმა ფრანსისკო ჰავიერ ფლორესმა. ნიშიზავა „სერეზო ოსაკას“ ღირსებას იცავდა ჯეი-ლიგაში, სადაც წლეულს 15 გოლი გაიტანა, აზიის თასის საუკეთესო მეგოლეთა შორის კი მეორე იყო.**

**ჰოლანდიელი** არი ჰაანი ორშაბათიდან ვენის „აუსტრიის“ სპორტული დირექტორია. წარსულში უბადლო ნახევარმცველმა და „ფეიენოორდის“ ყოფილმა თავკაცმა გუნდში ფრიდლ კონსილია შეცვალა. ეს უკანასკნელი „აუსტრიას“ კანადელ მფლობელ ფრანკ სტრონახთან უთანხმოების გამო გაათავისუფლეს. აღსანიშნავია, რომ ჰაანი ორი კვირის წინ „ომონიას“ მწვრთნელად დაინიშნა, თუმცა ავსტრიიდან მოწვევის გამო კვიპროსი დატოვა.

**ბრაზილიელმა ზე ელიასმა ათთვიანი დისკვალიფიკაციის გამო უეფაში აპელაცია შეიტანა და შეწყალებას მიაღწია — სასჯელი შეუმცირეს. „ოლიმპიაკოსის“ მოთამაშე უეფამ 7 ნოემბერს „ლიონის“ წინააღმდეგ ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში მსაჯთან შელაპარაკებისა და მისი ფიზიკური შეურაცხყოფის გამო დასაჯა. უეფას ახალი გადაწყვეტილებით, ზე ელიასის დისკვალიფიკაცია 31 მაისამდე გაგრძელდება, თუმცა თავდაპირველი ვერდიქტით მას სექტემბრამდე არ უნდა ეთამაშა.**

**ჩეხური** „სპარტას“ ფორვარდ ტომაშ როსიცკის მიუნხენის „ბაიერნში“ იწვევენ, თუმცა 20 წლის ფეხბურთელმა წინადადება „ინტერიდან“, „ლაციოდან“ და „სტრასბურიდანაც“ მიიღო. როსიცკი ორი სეზონია, პრაღული გუნდის ძირითად შემადგენლობაში თამაშობს. იგი ჩეხეთის ნაკრებშიც მიიწვიეს. იუწყებიან, რომ გერმანიის ჩემპიონები მის სანაცვლოდ 13 მილიონ გირვანქას იხდიან.

**ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრების ყოფილი თავკაცი ბრაიან ჰამილტონი ინგლისის პირველდივიზიონური „ნორვიჩის“ მწვრთნელის პოსტიდან გადადგა. იგი გუნდში რვა თვის წინ მივიდა. ახლა „ნორვიჩი“ კრიზისშია, ხუთი თამაში ზედიზედ წააგო და ცხრილის ფსკერისკენ ჩაინაცვლა. კლუბის დროებით ხელმძღვანელად ჰამილტონის ყოფილი ასისტენტი ნაიჯელ უორტინგტონი დაინიშნა.**

**ხორვატმა** იგორ ბისკანმა უახლოეს მომავალში შესაძლოა, „ლივერპულთან“ გააფორმოს კონტრაქტი. თუ ასე მოხდა, მერსისაიდელები ზაგრების „დინამოს“ 5,5 მილიონ გირვანქას გადაუხდიან. ხორვატული კლუბის წარმომადგენელი აცხადებს: „ბისკანი გუნდში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ფეხბურთელია და თუ „ლივერპულში“ გადავიდა, ერთობ დაგვაკლდება, თუმცა მისი კარიერისთვის ნამდვილად ასე აჯობებს“. ჟერარ ულიე, პრემიერლიგელთა თავკაცი კი ამბობს: „კარგი იქნება, თუ ბისკანის ხელში ჩაგდება დროულად შევძელით, რადგან მას ბევრ სხვა კლუბში ეპატიჟებიან“.

**ჰოლანდიელი უინსტონ ბოგარდი შეიძლება „ჩელსიდან“ წავიდეს. იგი ამჟამად რამდენიმე ესპანურ კლუბთან აწარმოებს მოლაპარაკებას. მცველი ლონდონურ კლუბში „ბარსელონადან“ რამდენიმე თვის წინ ჩაირიცხა, როცა „ჩელსის“ ყოფილმა მწვრთნელმა ჯანლუკა ვიალიმ შეიძინა, მაგრამ იტალიელი მოხსნეს, კლაუდიო რანიერის სქემას კი ბოგარდი ვეღარ ერგება: მას მერე სასტარტო შემადგენლობაში მხოლოდ ოთხჯერ გამოჩნდა.**

**ფინელმა** ნახევარმცველმა იანი კუოპილამ გლაზგოს „რეინჯერსთან“ ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. 20 წლის ფეხბურთელი ფინეთის ქვედალიგელ „მინოუს ტერვარიტში“ თამაშობდა. „რეინჯერსში“ გადასვლა ჩემთვის საოცნებოა. მოუთმენლად ველი ახალ გუნდში სადებიუტო მატჩის ჩატარებას“ — განაცხადა კუოპილამ.

**იტალიის 21-წლამდელთა ნაკრების ფორვარდმა ანდრეა პირლომ, შესაძლოა, კარიერა „უდინეზეში“ გააგრძელოს. უდინური კლუბი მილანის „ინტერთან“ მოლაპარაკებებს აწარმოებს და თუ საბოლოოდ არ იყიდა ფეხბურთელი, ალბათ, სეზონის ბოლომდე მაინც ინათხოვრებს. პირლომ შარშანდელი სეზონიც განათხოვრებულმა „რეჯინაში“ გაატარა, ზაფხულში კი იტალიის ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთად ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. ახლა პირლო კვლავ „ინტერშია“, თუმცა ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება.**

**ჩეხი** ნახევარმცველი ტომაშ უჟფალუში „ჰამბურგმა“ „სიგმადან“ 1,6 მილიონ დოლარად შეიძინა: ქვეყნის 21-წლამდელთა ნაკრების მოთამაშემ ბუნდესლიგურ კლუბთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. „ტომაშის გადმობირება კარგა ხანია, გვსურდა. ის ახალგაზრდა და ძალიან ნიჭიერია. თან, თამაში როგორც ნახევარდაცვაში, ასევე დაცვაშიც შეუძლია“ — განაცხადა „ჰამბურგის“ მენეჯერმა ჰოლგერ ჰირონიმუსმა.

**იტალიურ გაზეთ „ტუტოსპორტის“ ცნობით, კლარენს ზეედორფის შეძენა „ნიუკასლს“ სურს. იქვე ნათქვამია, რომ კლუბის ხელმძღვანელობასთან უთანხმოების გამო „აიაქსის“, „სამპდორიისა“ და მადრიდის „რეალის“ ყოფილი ნახევარმცველი ალბათ „ინტერსაც“ მალე დატოვებს. მილანური კლუბის პრეს-ატაშე ამას უარყოფს: „არასწორი ინფორმაციაა. კლუბის ხელმძღვანელებს სურთ, რომ ზეედორფი „სან სიროზე“ დარჩეს და ალბათ ასეც მოხდება“. იტალიაში იმაზეც ალაპარაკდნენ, „ინტერს“ „ვერდერის“ 21 წლის თავდამსხმელის კლაუდიო პიზაროს შეძენა სურსო. პერუელმა ფეხბურთელმა, რომელსაც ბრემენულ კლუბთან ორწლიანი კონტრაქტი აკავშირებს, დაადასტურა, რომ მის აგენტს მილანიდან უკვე დაუკავშირდნენ.**

# არის მეოთხე

**სეზონის** დაწყებიდან პრიმერადივიზიონის მეოთხე გუნდმა შეცვალა მწვრთნელი: ადრე „სარაგოსამ“ ხუან მანუელ ლილო გაუშვა და ლუის კოსტა მოიყვანა, „ნუმანსიამ“ ფრანსისკო ერერა მარიანო გარსია რემონით შეცვალა, „სოსიედადმა“ ხავიერ კლემენტე საფრანგეთში გაისტუმრა და თავი პერიკო ალონსოს ჩააბარა, ამ ორშაბათს კი „რასინგმა“ ანდონი გიოკოეჩეა დაითხოვა.

გათამაშების ცხრილს თუ ჩავხედავთ, მწვრთნელის მოხსნის მიზეზი ნათელი გახდება — სანტანდერელები ბოლოსწინა ადგილზე არიან, მხოლოდ ერთი ქულით უსწრებენ მაჩანჩალა „ოსასუნას“ და შვიდი გასვლითი თამაშიდან ერთიც ვერ მოუგიათ.

კლუბის პრეზიდენტ მიგელ ანხელ დიასს მოთმინების ფიალა „რაიო ვალეკანოსთან“ 1:4 განადგურების მერე აევსო და მკაცრი გადაწყვეტილებაც მიიღო.

გოიკოეჩეა აღშფოთდა, ვერ გამიგია, რატომ მომხსესო: „პრეზიდენტს ტელეფონით ვესაუბრე და მოხსნის მიზეზები ვკითხე. მან მითხრა, რომ ჩემი მუშაობით კმაყოფილია, გუნდშიც ძალიან მეგობრული განწყობაა და მხოლოდ ბოლოსწინა ადგილის გამო გახდა იძულებული მოვეხსენი. ეს უსამართლობაა. სეზონის წინ ორი საუკეთესო ფეხბურთელი სალვა ბალესტა და პედრო მუნიტისი გამიყიდეს, სამაგიეროდ არავინ მოუყვანიათ და უკვირთ, რატომ ვაგებთო. ასეთ პირობებში ვერცერთი მწვრთნელი ვერ შეძლებს შედეგის ჩვენებას“.

რაც შეეხება გოიკოეჩეას მემკვიდრეს, იგი „ვალიადოლიდის“ ყოფილი მწვრთნელი გრეგორიო მანსანო იქნება. მომდევნო ტურში „რასინგი“ „ალავესს“ მასპინძლობს.

# ბრაზილიაში მექციანოების მეორე წრე დაიწყო

**გასულ** კვირაში ბრაზილიელ კონგრესმენთა მიერ ნაკრების ყოფილი მწვრთნელის ვანდერლეი ლუქსემბურგოს დაკითხვის თაობაზე ვწერდით. გავიხსენოთ, რომ ლუქსემბურგოს ოცდაათ საბანკო ანგარიშზე რამდენიმე მილიონი დოლარი აღმოუჩინეს, რომლებიც საშემოსავლო დეკლარაციაში შეტანილი არ ჰქონდა. ყოფილი მწვრთნელი განმარტავს, რომ მან ეს ფული მანქანებით ვაჭრობით იშოვა და დეკლარაციაში შეტანა უბრალოდ დაავიწყდა. კომისიის წევრები ასეთმა განმარტებამ არ დააკმაყოფილა. ისინი ეჭვობენ, რომ ლუქსემბურგოს მილიონები სატრანსფერო მაქინაციებით აქვს ნაშოვნი, მაგრამ მაშინ დიდად არ ჩაძიებიან.

საქმის ამგვარმა მსვლელობამ ლუქსემბურგოს შვება მოჰგვარა და დაკითხვის შემდეგ კონგრესმენები მადლობით აავსო, რა კარგი ხალხი ყოფილხართო, მაგრამ როგორც ირკვევა, აჩქარდა.

გუშინ კომისიის წარმომადგენელმა ივონ ბელემმა განაცხადა, რომ ყოფილ მწვრთნელს ასე იოლად არ გაუშვებენ და 12 დეკემბერს მეორე დაკითხვაზე იბარებენ. ბელემისავე თქმით, მეორე დღეს, 13 დეკემბერს, კომისია ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის, რიკარდო ტეიშეირას გამოძახებასაც აპირებს. შეგახსენებთ, რომ უკვე დაჰკითხეს ფიფას ყოფილი პრეზიდენტი, ტეიშეირას სიმამრი ჟოაო აველანჟი, ნაკრების ყოფილი მწვრთნელი მარიო ზაგალო და 1998 წელს ნაკრების ექიმი ლიდიო ტოლედო.

ლუქსემბურგოს ხელმეორე და ტეიშეირას პირველი დაკითხვების შემდეგ რიგში დგანან პელე და რონალდო.

# იანკერმა ფოგთს ძალიან ცუდი სიტყვა აკადრა

**შაბათს** მიუნხენის „ოლიმპიაშტადიონზე“ „ბაიერნი“ — „ლევერკუზენის“ მატჩის მე-5 წუთი იდგა, კარსტენ იანკერი სტუმართა მეკარე ადამ მატიშეკის პირისპირ რომ გავიდა და ანგარიში გახსნა. გატანილმა გოლმა თავდამსხმელი უზომოდ გაახარა. იგი გამოიქცა და დიდი ხმით დაიყვირა — „ფოგთს, შე უკანალო“. იანკერი ამ დროს „ლევერკუზენის“ თავკაც ბერტი ფოგთისკენ იყურებოდა.

თამაშის დასრულებისთანავე იანკერი ფოგთსთან მივიდა და: „ბოდიში მოვუხადე, ვუთხარი, რომ ვნანობდი მომხდარის გამო. ამით ინციდენტს ამოწურულად ვთვლი“ — უთხრა მოგვიანებით ფეხბურთელმა ჟურნალისტებს.

რატომ, რისთვის დასჭირდა იანკერს ამ სიტყვების თქმა, აღარ განუმარტავს. თუმცა თავდამსხმელს „ბაიერნის“ ვიცე-პრეზიდენტი კარლ-ჰაინც რუმენიგე გამოექომაგა: „ფეხბურთი ემოციური თამაშია. თანაც ამ მატჩს უდიდესი დატვირთვა ჰქონდა. ფეხბურთელები საბრძოლველად იყვნენ განწყობილნი. ცუდია, ეს რომ მოხდა, მაგრამ კარსტენი ძალიან აღგზნებული იყო. შეიძლებოდა, იმას ნებისმიერი მისამართით ეთქვა ეს სიტყვები. უბრალოდ, იმ დროს თვალში ფოგთსი მოხვდა და...“

ამის გამო მატჩის არბიტრ ჰელმუტ კრუგს სრული უფლება ჰქონდა, ფეხბურთელი გაეძევებინა. ბუნდესლიგის რეგლამენტით თურმე ასეც უნდა მოქცეულიყო, მაგრამ მსაჯმა თავი შეიკავა და იანკერის ნათქვამს წაუყრუა.

ეგონათ, „ბაიერნის“ თავდამსხმელს კლუბი მაინც დასჯიდა, მაგრამ ვარაუდი არ გამართლდა. „იანკერმა ფოგთსს მოუბოდიშა. მწვრთნელმა ბოდიში მიიღო, ჰოდა, რა საჭიროა, ჩვენი ჩარევა? — აქეთ ჰკითხა მასმედიელებს ოტმარ ჰიცფელდმა, მიუნხენელთა თავკაცმა და დასძინა — თუ ფულად ჯარიმაზე საუბრობთ, მაშინ მისი გადახდა თავად ფოგთსმა უნდა მოითხოვოს, ამის უფლება მხოლოდ მას აქვს.“

ფიგთსი კი დუმილს ამჯობინებს. ეტყობა, მან იანკერის ბოდიში მართლაც მიიღო და ეს ამბავი დაავიწყდა კიდეც.

„იანკერს მწვრთნელის შეურაცხყოფა ხახვივით შერჩა, ნუთუ, ეს სწორია?“ — აინტერესებს გერმანულ „ბილდს“.

# უკმაყოფილონი

**„ბარსელონას“** მწვრთნელ ლორენს სერა ფერერს ორი შეგირდი — ივან დელა პენია და დანი გარსია აუჯანყდა, ძირითად შემადგენლობაში რად არ გვაყენებო.

დანი ამბობს: „მწვრთნელისგან მხარდაჭერას ვერ ვგრძნობ. თამაშიც სულ უფრო და უფრო ნაკლებად მიწევს. „ბარსელონადან“ წასვლა აქამდე არასდროს მიფიქრია, თუმც თუ ეს გაუგებრობა კვლავ გაგრძელდა, ალბათ, კლუბის გამოცვლა მომიწევს.“

იგივე აზრისაა ივან დელა პენია, რომელიც „ბარსელონამ“ „ლაციოდან“ გადაიბირა. მაშინ თავხოტორა ესპანელის „კამპ ნოუზე“ დაბრუნებამ კატალონიელები ერთობ გაახარა, მაგრამ სერა ფერერი მას არ ათამაშებს. „თითქოს ყველაფერი კარგად დაიწყო, მაგრამ შემდეგ ძირითადი შემადგენლობიდან ამოვვარდი. ვერ გამიგია, რატომ. ყველაფერი უცბად მოხდა, არავის არაფერი აუხსნია“ — განაცხადა დელა პენიამ.

ესპანური პრესა კი უკვე სერა ფერერის გადადგომაზე საუბრობს. ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნა და პრიმერადივიზიონში კატალონიელთათვის არცთუ შესაფერი მდგომარეობა ეგებ საკმარისი საბაბი გამოდგეს იმისათვის, რომ „ბარსელონას“ ქომაგებმა „კამპ ნოუზე“ თეთრი ცხვირსახოცები ააფრიალონ, რაც, მოგეხსენებათ, ცუდის მანიშნებელია. თუმც ცოტა ხნის წინ პრეზიდენტმა ხუან გასპარმა განაცხადა, მწვრთნელს ვენდობი და მის გადაყენებას არ ვაპირებო.



# მორჩა, დარჩა!

**„მილანის“** ბრაზილიელმა ნახევარმცველმა ლეონარდომ გამოაცხადა, რომ „სან სიროზე“ დარჩენას კონტრაქტის დასრულებამდე, ანუ ივნისამდე აპირებს. ამით მისივე ადრე ნათქვამი უარყო, ახალი წლიდან, იტალიაში სატრანსფერო სეზონის გახსნისთანავე, მილანიდან წავალო.

ლეონარდოს ძაკერონი იშვიათად ათამაშებს. ერთ-ერთი ასეთი გამონაკლისი მწვრთნელმა „ატალანტას“ წინააღმდეგ სათასო შეხვედრაში დაუშვა და ბრაზილიელმაც ბერგამოელებს ორი გოლი გაუტანა. ალბათ, ამიტომაც იყო, რომ სერია A-ს შეხვედრა „უდინეზესთან“ ლეონარდომ სასტარტოში დაიწყო. „სათასო მატჩი „ატალანტასთან“ კარგად ჩავატარე და ამან სიტუაცია მთლიანად შეცვალა. ისევ „მილანში“ დარჩენა ჯობია. ყველა გულშემატკივარს და თანაგუნდელს, ვისგანაც მხარდაჭერას ვგრძნობდი, ახლა მადლობას ვუხდი“ — თქვა ლეონარდომ.

ფეხბურთელის გუნდიდან გაშვება „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტ ადრიანო გალიანის არ სურდა და ამ გადაწყვეტილებას იგი კარგა ხანს ჯიუტად არ უჭერდა მხარს. გალიანი შემდგომ იტყვის: „სასიხარულოა, რომ ლეონარდო კვლავ ჩვენთან დარჩება. მას გუნდის სხვა ფეხბურთელებთან ან ხელმძღვანელობასთან უთანხმოება არ ჰქონია, უბრალოდ, ალბათ, იგრძნო, რომ კლუბში ისეთივე წამყვანი ფუნქცია აღარ ეკისრებოდა, როგორიც ადრე. ეს ჩემთვის გასაგებია. ჩვენ ხომ იმ ფეხბურთელზე ვლაპარაკობთ, რომელსაც ბრაზილიის ნაკრებისთვის უკაპიტნია.“

იმას, რომ მისი „მილანში“ დარჩენა გალიანის დამსახურებაა, თავად ლეონარდოც აღნიშნავს: „ვიცე-პრეზიდენტის შეხედულებას და აზრს ყოველთვის პატივს ვცემდი, მასაც ასეთივე დამოკიდებულება აქვს ფეხბურთელების მიმართ. ცოტა ხნის წინ მითხრა, რომ ძალიან არ სურდა ჩემი გუნდიდან გაშვება, მაგრამ ისიც თქვა, თუ საბოლოოდ გადაწყვიტე, არ დაგიშლიო. თავიდან მეგონა, რომ გუნდის გამოცვლა

**ნიკა ზუზლაძე**

| უეფას თასი. მეთექვსმეტედფინალი<br>საპასუხო მატჩები. 5 დეკემბერი |
|---|
| მიუნხენ 1860 (გერმანია) 0:2 პარმა (იტალია) (2:2) |
| 0:1 ამოროზო (74პ), 0:2 სერჟიუ კონსეისაუ (86) |
| მიუნხენ 1860: მ. ჰოფმანი, ელერსი, ზელიჩი, კურცი, ჩერნი (ვინკლერი 80), მიუკლანდი, შტრანცლ… ტაისი, ჰესლერი, მაქსი (ბაიერლე 84), აგოსტინო |
| პარმა: ბუფონი, ტურამი, ტორიზი, კანავარო, ფუზერი (აპია 90), ბოგოსიანი, ლამუში, ფალსინ… (ჟუნიორი 57), მიკუ, სერჟიუ კონსეისაუ, ამოროზო (ბენარივო 79) |
| გაძევება: მიუკლანდი (73), კანავარო (78) |
| მსაჯი: ლესლი ირვინი (ჩრდ. ირლანდია) |
| 18 000 მაყურებელი |
| შტუტგარტი (გერმანია) 2:1 ფეიენოორდი (ჰოლანდია) (2:2) |
| 1:0 მაისნერი (29), 1:1 პაუვე (71), 2:1 ბალაკოვი (90პ) |
| შტუტგარტი: ჰილდებრანდი, მაისნერი, ბორდონი, ბლანკი, სოლდო, კუფი, პინტუ (ზაიცი 88), ლისტ… ბალაკოვი, გერბერი (კარნელი 72), დანდი (განია 75) |
| ფეიენოორდი: დუდეკი, ემერტონი, დე ჰაანი, ვან გობელი (ვან ვონდერენი 80), ტინინიო, იოკემსენ… (კორნეევი 46), ბოსველტი, პაუვე, კალუ, ტომასონი (სომალია 80), ლეონარდო |
| მსაჯი: გრაციანო ჩეზარი (იტალია) |
| 18 000 მაყურებელი |

## დღეს ჩემპიონთა ლიგის მეორე ტური

**A ჯგუფი**

პანათინაიკოსი — ვალენსია

შტურმი — მანჩესტერ იუნაიტედი

**B ჯგუფი**

დეპორტივო — მილანი

გალათასარაი — პარი სენ ჟერმ…

**კარგ გუნებაზეა** „დეპორტივოს“ მწვრთნელი ხავიერ ირურეტა: „ესპანიოლთან“ შესუსტებული შემადგენლობა გაიყვანა. მაინც მოიგო, პრიმერადივიზიონში პირველ ადგილზე გადაინაცვლა და „მილანთან“ მატჩის წინ ყველა ფეხბურთელი ჯანმრთელი და დასვენებული ჰყავს. მართალია, ხოსე მოლინა ცოტათი ფეხს იტკიებდა, რის გამოც შაბათს ბარსელონაში ვერ ითამაშა, მაგრამ უკვე მომჯობინდა და ესაც რომ არა, კამერუნელი მეკარე ჟაკ სონგოს გამოცდილება ირურეტას დამშვიდების საშუალებას აძლევს.

თუმცა მწვრთნელი ერთ პრობლემას მაინც ვერ ასცდა — ყველა კარგ ფორმაშია, მინდორზე გასაყვანად კი თერთმეტი მათგანი უნდა შეარჩიოს. აი, თუნდაც როი მაკაი. ჰოლანდიელი კარგა ხანს დაშავებული იყო, ახლახან მომჯობინდა და მშვენივრად ათამაშდა — „ესპანიოლს“ გოლიც გაუტანა. მაგრამ მაკაი „მილანის“ წინააღმდეგ ვერ ითამაშებს, რაკიღა სასტარტო შემადგენლობაში დიეგო ტრისტანს და ურუგვაელ ვალტერ პანდიანის აქვთ დაჯავშნული ადგილები. ვერც ერთს ვერ ამოაგდებ — დიეგო ტრისტანი კლუბის საუკეთესო ბომბარდირია, ამ სეზონში უკვე ექვსი გოლი გაუტანია, ხოლო პანდიანიმ ბრწყინვალედ ითამაშა ლიგის წინა ტურში „პარი სენ ჟერმენთან“.

„დეპორტივო“ ერთადერთი გუნდია ლიგაში, რომელსაც თამაში არ წაუგია და, ცხადია, „მილანის“ დამარცხებასაც აპირებს. „არ მესმის, რატომ უნდა გვეშინოდეს იტალიელების — ამბობს პანდიანი — ეს მათ უნდა ეშინოდეთ ჩვენი, რადგან საუკეთესო ფორმაში ვართ და პირველივე წუთიდან გოლის გატანას შევეცდებით“.

ლაკორუნიელთა კაპიტანი მაურო სილვაც იმედიანადაა: „რაღაც განსაკუთრებულის გაკეთება არ გვჭირდება, უბრალოდ, ჩვეულად უნდა ვითამაშოთ“.

თუმც სილვა მაინც თავს იზღვევს … მეტოქის დაუფასებლობაც არ ივარგ… ხომ იცით იტალიელების ამბავი, ჩინ… ბულად იცავენ თავს და მოწინააღმ… გის შეცდომას ელოდებიანო.

და რა ხდება ამ დროს „მილანში“… ტრავმა მოიშუშა და გუნდს დაუბრუნ… ალესანდრო კოსტაკურტა, თუმცა დე… ტრიო ალბერტინი ჯერაც დაშავებულ… და „მილანს“ ვერაფრით დაეხმარ… ასევე დაშავებულია არგენტინელი მც… ლი ხოსე შამოტი, რის გამოც დაც… მარჯვენა ფლანგს ბრაზილიელი რო… ჟუნიორი გააკონტროლებს.

ბრაზილიელის ფლანგზე ნახევარმ… ცვაში დანიელი თომას ჰელვეგი ითამ… შებს, ცენტრში — ჯენარო გატუზო … მასიმო ამბროზინი. ლეონარდოს ზ… ნიმირ ბობანისთვის მოუწევს ადგი… დათმობა, ხოლო ვინ გაუწევს პარტ… ორობას ანდრეი შევჩენკოს, ალბერ… ძაკერონის ვერ გადაუწყვეტია — მწ… რთნელმა ესპანელ ხოსე მარისა და გ… რმანელ ოლივერ ბირჰოფს შორის უნ… გააკეთოს არჩევანი. სასტარტო შემა… გენლობაში მოხვედრის მეტი შანსი გ… რმანელს აქვს, რადგან ამ ბოლო დრ… ძაკერონი ხშირად აკრიტიკებს ხო… მარის.

ამასობაში კი მადრიდის „ატლეტ… კოს“ ყოფილი ფეხბურთელი მილ… ლებს აფრთხილებს: „დეპორტივოს“ … რიზელებისთვის შემთხვევით არ მო… გია, დღეს ესპანეთში ის „რეალზე“ … „ბარსელონაზე“ ძლიერია“.

…„დეპორტივო“, „მილანი“ და კი… ხუთი გუნდი დღეს ლიგაში სათამაშ… ემზადება, „გალათასარაის“ საწვრთნ… ბაზაზე კი არაფერი ხდება — ფეხბ… რთელებმა სამშაბათს ვარჯიშზე უა… თქვეს. მიზეზი ისაა, რომ სტამბოლ… კლუბში კარგა ხანია, პრემიები არ … რიგებულა, რასაც კლუბის პრეს-მდ… ვანი ფინანსური გაჭირვებით ხსნის…

**გიორგი დარჯან…**

# შიფოს დაამთავრებინე…

**გასულ** კვირაში 80-90-იანი წლების საუკეთესო ბელგიელი ფეხბურთელი ენცო შიფო „შარლერუას“ მოთამაშე-მწვრთნელად დაინიშნა. იგი ბოლო დროის ამ კლუბის ვიცე-პრეზიდენტი გახლდათ, მაგრამ გუნდის მთავარი მწვრთნელის მანუ ფერერას დათხოვნის შემდეგ მისი ადგილი დაუთმეს. „ბედნიერი ვარ, რომ ასეთი საპასუხისმგებლო საქმე ჩამაბარეს. თუ საჭირო იქნება, მზად ვარ, მინდორზეც შევიდე და ბიჭებს მაგალითი თავად მივცე“ — თქვა შიფომ „შარლერუას“ თავკაცად არჩევის შემდეგ და ვარჯიშს შეუდგა.

შეუდგა და ცუდი ამბავიც შეემთხვა: მინდორზე გასულმა მარცხენა ფეხში ტკივილი იგრძნო. მწვრთნელმაც ექიმებს მიაკითხა, რომლებმაც შიფოს კარიერის საბოლოოდ დასრულება ურჩიეს.

„20 წლის რომ ვიყო, ოპერაციას გავიკეთებდი და ყველაფერი ამით დასრულდებოდა, მაგრამ მედიკოსებმა მითხრეს, შენს ასაკში აზრი აღარა აქვს, გირჩობს, განზრახვაზე ხელი აიღოო. მეც რაღა დამრჩენია, მწვრთნელობას დავჯერდები“ — განუცხადა გუშინ შიფომ ჟურნალისტებს.

ასე რომ, სახელგანთქმულმა ბელგიელმა ნახევარმცველმა აქტიური საფეხბურთო კარიერა საბოლოოდ დაასრულა. „ლუვიე“, „ანდერლეხტი“, იტ… ლიური „ინტერი“ და „ტორინო“, ფრ… გული „ბორდო“, „ოსერი“ და „მონაკ… ბოლოს კი კვლავ ბელგიური „ანდ… ლეხტი“ — აი, ის კლუბები, რომ… ბშიც შიფო თამაშობდა. თავის 17-წლ… ნი პროფესიული კარიერის უდიდ… ნაწილი ბელგიელმა საზღვარგარეთ… კლუბებში გაატარა. „მონაკოში“ თამ… შისას საფრანგეთის ჩემპიონატი მო… გო, „ტორინოს“ მაისურით კი იტალ… ის თასის მფლობელი გახდა. რაც შე… ხება შინაურ ასპარეზს, შიფო „ანდ… ლეხტში“ ყოფნისას ოთხჯერ გა… ბელგიის ჩემპიონი. იგი თავისი ქვ… ყნის საუკეთესო ფეხბურთელადაც აღ… არეს. ბელგიის ნაკრებში 84 მატჩი … ატარა და 18 გოლი გაიტანა. ამასთან… ვე, მსოფლიოს ოთხ ჩემპიონატში მო… ნაწილეობდა.

რას მიაღწევს შიფო, როგორც მწ… რთნელი, ამას დრო გვიჩვენებს. „შარ… ლერუაში“ მას ამ მხრივ განსაკუთრ… ბული პერსპექტივა არ ელის, რადგან… კლუბს დიდი ამბიცია არა აქვს, თუმც… სახელოვან ფეხბურთელს თუ ვენდო… ბით, იგი აპირებს, მშობლიური მხა… რის გუნდს არნახული წარმატება… მოუტანოს.

**განო ოქრობირიძ…**

# ნოემბრის ანბანი

**ა**მ ეტაპზე იოლი ჯგუფები არ არსებობს. ოდნავ მოვადუნებთ ყურადღებას და ის შეგვემთხვევა, რაც „ბარსელონასა" და „იუვენტუსს" — ეს ჩემპიონთა ლიგის მეორე ჯგუფური ეტაპის წილისყრაზე „რეალის" წარგზავნილი ხორხე ვალდანოს სიტყვებია. და კიდევ, „ლიდსის" მწვრთნელმა დევიდ ოლირიმ წილისყრამდე თქვა: „ჩვენი ბედი რომ ვიცი, მომდევნო მეტოქეებად „რეალი" და „ლაციო" გვეყოლება." ლიდსელს წინათგრძნობა აუხდა.

**ბ**რაზილიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ვანდერლეი ლუქსემბურგო რამდენიმე საათის განმავლობაში გამომძიებლის კითხვებზე პასუხობდა. იგი 45 წლისაა, მაგრამ პროკურატურამ ძველ საბუთებში ამოუქექა, რომ 3 წელი დაუკლია. ლუქსემბურგომ ასაკის გადაკეთება აღიარა და განაცხადა, ეს ხრიკი ბავშვობაში დამჭირდა, როცა საფეხბურთო სკოლაში არ მიღებდნენო, თან ყველაფერი მამას გადააბრალა. ბრაზილიური კანონებით, დოკუმენტაციის გაყალბება ხუთ წლამდე პატიმრობით ისჯება.

**გ**ერმანული „შტუტგარტის" პრეზიდენტი გერჰარდ მაიერ-ფორფელდერი თანამდებობიდან გადადგა. ამ კაცმა გუნდში 25 წელიწადს ილვაწა. ამ ხნის განმავლობაში კლუბმა ორჯერ (1984 და 1992 წლებში) ბუნდესლიგა მოიგო, 1997 წელს ქვეყნის თასს დაეუფლა, ორჯერაც ევროტურნირების ფინალში გავიდა, თუმცა ორჯერვე დამარცხდა. ახალი ხელმძღვანელის არჩევნებში 60 წლის მანფრედ ჰაასმა გაიმარჯვა. ის მანამდე კლუბის დირექტორატში მუშაობდა.

**დ**იეგო არმანდო მარადონამ სიმღერა ჩაწერა, რომელიც ლათინური ამერიკის სადგურებმა აიტაცეს. შედევრს „ღმერთის ხელი" ჰქვია. ჯერჯერობით არგენტინელის ნამღერი არც ერთ ჰიტ-ალბუმში არ შესულა, თუმცა ინგლისელები ხუმრობენ, სიმღერას პირველობის შანსი მხოლოდ შოტლანდიაში აქვსო.

**ე**ქვსი წლის წინ ფაბიო კაპელოს „მილანმა" ჩემპიონთა თასი მოიგო, თუმცა საკონტინენტთაშორისო თასზე კარლოს ბიანკის „ველეზ სარსფილდთან" წააგო. წლეულს მადრიდის „რეალი" და „ბოკა ხუნიორსი" შეხვდნენ ერთმანეთს და სამხრეთამერიკელებმა 6 წლის მერე პირველად სძლიეს ევროპელებს. გამარჯვებულთა მწვრთნელი ისევ კარლოს ბიანკია.

**ვ**ერონიდან პარმაში მიმავალი ალბერტო მალესანი ავტოავარიაში მოჰყვა — „პარმას" მწვრთნელმა საჭე ვერ დაიმორჩილა და გზიდან გადავარდა. იგი ვერონაში ვერტმფრენით დააბრუნეს და საავადმყოფოში დააწვინეს. ექიმების ცნობით, მწვრთნელი იოლად გადარჩა: მან მხოლოდ მხარი და კისერი დაიზიანა.

**ზ**ოგიერთები შვედეთში ამბობენ, ფრედერიკ ლიუნგბერგი აქედან ნორმალურ კაცად გავუშვით და ლონდონში მამათმავლობას მიჰყო ხელიო. ამ ეჭვების საფუძველი ისაა, რომ არსენალელს ძალიან უყვარს კომპიუტერული საჭორაო პროგრამით (ჩატი) სარგებლობა და მამაკაცებთან სექსზე საუბარი. ლიუნგბერი ყველაფერს უარყოფს, ჩვეულებრივი, ნორმალური მამაკაცი ვარო.

**თ**ქვენ ვერ წარმოიდგენთ, როგორი იმედგაცრუებული და თავლაფდასხმული ვარ. ალბათ, ასევე არიან ბიჭები, ვისთან ერთადაც ოდესღაც მსოფლიოს ჩემპიონი გავხდი. მითხარით, ვინ არის ერიკსონი? ორ-სამ კლუბში რაღაცას მიაღწია და მორჩა. რა იცის ამ კაცმა ინგლისური თამაშისა? ნებისმიერი ინგლისელი მწვრთნელი მასზე უკეთ გაუძღვება ნაკრებს" — ბრაზობს 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონი ჯეკი ჩარლტონი ნაკრებში შვედი სვენ გორან ერიკსონის მიწვევის თაობაზე.

**ი**სეთ დღეშია ფერენც პუშკაში, თქვენს მტერსო. დიდ უნგრელს ბუდაპეშტის საავადმყოფოში ჯერ ალფრედო დი სტეფანომ ჩააკითხა, მერე ზეპ ბლატერმა, მაგრამ... 25 ნოემბერს ბუდაპეშტის ერთ-ერთ რესტორანში დიდი ქეიფი გაიმართა, ოთხმა კაცმა გვარიანად მოილხინა. ერთ-ერთი მათგანი სწორედ პუშკაში გახლდათ.

**კ**ოპენგაგენში ძალიან ცუდ ხასიათზე ჩავდივართ — თქვა ბუნდესნაკრების დამწუხრებულმა თავკაცმა რუდი ფიოლერმა, რომლის გუნდიც ამხანაგურ შეხვედრაში დანიელებს უნდა გაჯიბრებოდა: ნაკრების ფეხბურთელს ჰაიკო ჰერლიხს ტვინის სიმსივნე აღმოუჩინეს. „ჩვენ მას გვერდით ვართ, ყველგან და ყოველთვის" — ბუნდესნაკრების წევრთა აზრი კაპიტანმა ოლივერ ბირჰოფმა გამოხატა.

**ლ**ექსების წერა 1990 წელს დავიწყე, ვწერდი სიყვარულზე, ფილოსოფიასა და იუგოსლავიაში ომის საშინელებებზე. ახლა ფეხბურთის თამაშის გამო წერას ვერ ვახერხებ — განაცხადა ბოსნიაში დაბადებულმა და შემდეგ გათურქებულმა „ბეშიქთაშის" მოთამაშემ, სეად დოსტ ჰალილაჯიჩმა, რომლის კრებულსაც „მომწიფებული" ჰქვია. ავტორმა საზოგადოებას ერთი ლექსიც წაუკითხა სახელწოდებით „მე და ჩემი პალტო".

**მ**ოსალოდნელია, რომ ინგლისში ფეხბურთელებსა და მწვრთნელებს ოფიციალურად დართავენ ტოტალიზატორში თამაშის ნებას. საუბარია შეზღუდვებზეც: დაუშვებელია საკუთარ კლუბსა და იმავე დივიზიონის გუნდებზე ფულის დადება.

**ნ**აღდი ევროპელია — საქმე მადრიდის სასამართლოში გაირჩა და რუსმა ვალერი კარპინმა საწადელი აისრულა. „სელტას" ფეხბურთელმა იჩივლა, ევროკავშირული ლიმიტის გამო არაევროკავშირელი ფეხბურთელები დისკრიმინაციას განვიცდითო. ახლა კარპინი ევროკავშირელია. ისე კი, მოგეხსენებათ, რუსეთი ევროკავშირის წევრი არაა.

**ო**პერაციამ წარმატებით ჩაიარა და ბერტოლოტი სიკვდილს გადაურჩა, თუმცა ჯერჯერობით მხოლოდ რამდენიმე სიტყვის წარმოთქმა შეუძლია. „მოდენას" 33 წლის ნახევარმცველი ჰოსპიტალში იმიტომ მოხვდა, რომ სერია C-ს ტურის მატჩში მან და მასპინძელ „კომოს" კაპიტანმა მასიმილიანო ფერინიომ იჩხუბეს. მოდენელმა იატაკს თავი დაარტყა და გრძნობა დაკარგა.

**პ**ოლ მერსონმა სკანდალური განცხადება გააკეთა, ინგლისის ნაკრების ფეხბურთელები ევრო 2000-ზე მთელ ყურადღებას ბანქოს ფულზე თამაშს უთმობდნენო. „ახლანდელი ფეხბურთელები მდიდარი ხალხია, მათთვის თითო ხელზე 50 ათასის წაგება არაფერს ნიშნავს, თუმცა საქმე ფულში როდია, კარტმა ჩათრევა იცის და სხვაზე ვერაფერზე ფიქრობ" — განაცხადა „ასტონ ვილას" მოთამაშემ.

**ჟ**ამი იყო, ჯანლუიჯი ლენტინი მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებულ მოთამაშედ ითვლებოდა. „მილანმა" ფეხბურთელი „ტორინოსაგან" 1992 წელს 21,5 მილიონ დოლარად შეიძინა და ახლა რა? ლენტინი შესაძლოა ჩინურ „დალინ ვანდა შოდში" გადავიდეს. იგი ბოლოს „ტორინოში" თამაშობდა, ახლა კი თავისუფალი აგენტია.

**რ**ონალდო უმძიმესი ტრავმის შემდეგ ფეხბურთს 2001 წლის გაზაფხულზე დაუბრუნდება — იუწყებიან ფეხბურთელის მკურნალები და დასძენენ: „საფუძველი არ არსებობს იმისთვის, რომ რონალდო ფეხბურთიდან წავიდეს. პირიქით, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ იგი მინდორზე კვლავ გამოჩნდება".

**ს**ერია C-ს ბინადარი „პალერმოს" 30 წლის ქომაგი ტელევიზორთან იჯდა და საყვარელი გუნდის თამაშს უყურებდა, „პალერმო" მეტოქეს 1:0 უგებდა. ამ დროს კაცს საცოლე ესტუმრა, ის იყო კარი შეაღო, რომ „პალერმოს" გოლი გაუტანეს. ფანმა მთელი თავისი რისხვა სატრფოს დაატეხა თავს, რომელიც ქუჩაში ნაწყენი გავარდა, მერე დამშვიდდა და კვლავ გულის სწორთან დაბრუნდა. ის იყო, კვლავ ოთახში შევიდა, რომ „პალერმოს" მეორე გოლიც გაუტანეს. ამაზე ქომაგი სულ მთლად გადაირია. ეს ზოგისთვის სევდიანი, ზოგისთვის კი სასაცილო ისტორია იმით დასრულდა, რომ წყვილი ერთმანეთს დაშორდა.

**ტ**ვინში სისხლის ჩაქცევით გარდაიცვალა ყოფილი არსენალელი ჯორჯ არმსტრონგი. ბოლო ათი წელი იგი „არსენალის" სარეზერვო გუნდის მწვრთნელად მუშაობდა და 56 წლის იყო. ამ კლუბში არმსტრონგი 1961-77 წლებში თამაშობდა, მერე კი „ლესტერში" გადავიდა. „მეთოფეთა" რიგებში მან 621 მატჩი ჩაატარა, რაც იმ დროისთვის სარეკორდო იყო. დღემდე მხოლოდ ორმა არსენალელმა შეძლო რეკორდის გაუმჯობესება — „ლიდსის" ამჟამინდელმა მწვრთნელმა დევიდ ოლირიმ (722) და ტონი ადამსმა (624 მატჩი).

**უ**დიდესი პატივია მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალის მსაჯობა. მაქსიმუმს მივაღწიე, რაც კი მსაჯს შეუძლია — განაცხადა უნგრელმა შანდორ პულმა, რომელსაც 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატისა და 1997 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალები უმსაჯია. არბიტრს თბილისშიც განუსჯია საქართველოსა და ნორვეგიის ნაკრებების ჩვენთვის ავადმოსაგონარი შეხვედრა. შანდორ პული უნგრეთის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტია, მსაჯობას კი თავი დაანება.

**ფ**ირმა „ნაიკსა" და „მანჩესტერ იუნაიტედს" შორის გაფორმებულმა კონტრაქტმა „ბარსელონას" უკმაყოფილება გამოიწვია. საქმე ის გახლავთ, რომ ცოტა ხნის წინ კატალონიურმა კლუბმაც განაახლა „ნაიკთან" თანამშრომლობა და ამერიკულ ფირმასთან 13-წლიანი კონტრაქტი დადო, ისევე როგორც „იუნაიტედმა", თუმცა „ბარსელონა" ინგლისის ჩემპიონზე 150 მილიონი დოლარით ნაკლებს მიიღებს. „უსამართლობაა, რომ ბრიტანელებს 450 მილიონ დოლარს უხდიან, ჩვენ კი ისეთივე კონტრაქტში 300 მილიონს" — აცხადებენ კატალონიელები.

**ქ**იმიოთერაპიის კურსი ესაჭიროება. მას სიმსივნე აქვს — ასეთია „სელტიკის" 29 წლის მცველის ალან სტაბსის გამოკვლევის პასუხი. გლაზგოელთა კაპიტანმა წლინახევრის წინ იმკურნალა და თითქოს თავს უკეთ გრძნობდა, მაგრამ...

**ღ**მერთმა შექმნა ადამიანი, ეშმაკმა — ემერსონ ლეაო — ეს სიტყვები სოკრატესს ეკუთვნის, რომელმაც აგრეთვე თქვა: „როგორი მწვრთნელი იქნება ლეაო, არ ვიცი, მე მხოლოდ მის პიროვნულ თვისებებზე ვსაუბრობ: ის დესპოტია და ამასთანავე რატომღაც ჰგონია, რომ ყოველთვის მართალია. საწინააღმდეგო აზრს თუ გაიგებს, გიჟდება. თუ ბრაზილიის ნაკრები რაიმე წარმატებას მიაღწევს, მხოლოდ იმიტომ, რომ დიდებული ფეხბურთელები ჰყავს."



საკონტინენტთაშორისო თასის ბუენოს აირესში ჩამტან „ბოკა ხუნიორსს" მისი ერთგული გულშემატკივარი დიეგო მარადონაც დახვდა

**ყ**ველაფერი ისე დასრულდა, როგორც მოსალოდნელი იყო — რუდი ფიოლერი ამიერიდან მხოლოდ გერმანიის ნაკრებში იმუშავებს, „ლევერკუზენს" კი აქამდე უმუშევარი ბერტი ფოგტსი გაწვრთნის, კაცი, რომელსაც 8 წლის განმავლობაში (1990-98) თვით ბუნდესნაკრები ებარა და 1996 წელს მას ევროპის ჩემპიონის ტიტული მოაპოვებინა.

**შ**ვეიცარიაში, 1954 წლის 4 ივლისს, გერმანიის ნაკრებმა უნგრეთის „დიდი გუნდი" დაამარცხა და ისტორიაში პირველად მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. მაშინ გერმანელთა კაპიტანი ფრიც ვალტერი გახლდათ, თამაში კი თავსხმა წვიმაში ჩატარდა. მატჩი „ფრიც ვალტერის" მატჩად მონათლეს, რადგან მთავარი გმირი სწორედ ის იყო. ეს კაცი ახლახან 80 წლისა შესრულდა. მისი სახელი „კაიზერსლაუტერნის" სტადიონს ჰქვია.

**ჩ**ემპიონთა ლიგაში თამაშების რაოდენობის შემცირებას მოითხოვს მიუნხენის „ბაიერნის" კომერციული მენეჯერი ული ჰიონესი. „ფინალში მიღწევამდე გუნდმა 17 თამაში უნდა ჩაატაროს, როცა 14 სრულებით საკმარისია. თანახმა ვარ, ნაკლები ფული მივიღოთ, ოღონდ კი უფრო ცოტა ვითამაშოთ".

**ც**ნობილი იტალიური ტოტალიზატორი „სნაი" 20 აგვისტოს კალაბრიის, აბრუცოსა და ტრუსკანის ფილიალებში ფსონების მიღებას ვერ აუდიოდა. მოთამაშეთა უმრავლესობა „ატალანტასა" და „პისტოიეზეს" შეხვედრაზე დებდა ფულს, თანაც ისე, რომ პირველ ტაიმს ბერგამოელები მოიგებდნენ, თამაში კი ფრედ დასრულდებოდა. ასეც მოხდა. ბუქმეიკერმა რაღაც იეჭვა და ფეხბურთის ფედერაცია საქმის კურსში ჩააყენა. ძიებამ ორივე გუნდიდან რვა ფეხბურთელი ამხილა.

**ძ**ალიან ძლიერი მცველია და მისი დაკარგვა არ მსურს, მაგრამ შემოთავაზებული 18 მილიონიც უდიდესი თანხაა — განაცხადა „ვესტ ჰემის" თავკაცმა ჰარი რედნაპმა და რიო ფერდინანდის „ლიდსში" გაშვებაზე დათანხმდა. 22 წლის ფეხბურთელის სანაცვლოდ „ლიდსმა" მცველთა შორის მსოფლიოში სარეკორდო თანხა გადაიხადა.

**წ**არსულში განთქმული ფეხბურთელი და ამჟამად ჟურნალისტი ტოსტაო ბრაზილიის პარლამენტის სახელზე გაგზავნილ წერილში წერს: „ბრაზილიელ ფეხბურთელთა აგენტებმა მაფია შექმნეს, ისინი ყალბ პორტუგალიურ პასპორტებს ამზადებენ, რათა მოთამაშეთა ევროპაში გაყიდვის საქმე გაიიოლონ". ტოსტაო ხელს ფედერაციის პრეზიდენტ რიკარდო ტეიშერასკენაც იშვერს.

**ჭ**ორები დადიოდა, ფრანც ბეკენბაუერი 36 წლის ქერათმიან პირმშვენიერ ქალბატონთან დაიარებაო, მაგრამ ხელაღებით ამას ვერავინ ამტკიცებდა. ჰოდა, 17 აგვისტოს, მიუნხენის ერთ-ერთ სამშობიაროში ვაჟი დაიბადა. კაიზერ ფრანცმა გაუთავებელ მითქმა-მოთქმას მამის ვინაობის შესახებ წერტილი დაუსვა: „დიახ, ეს ბიჭუნა მართლაც ჩემია." ის ქერათმიანი ქალბატონი კი მიუნხენის „ბაიერნის" მდივანია. „მეუღლეს უკვე ვესაუბრე. მან გამიგო. ჩვენი ცოლ-ქმრობა ძალიან მტკიცეა, ბავშვზე კი, რა თქმა უნდა ვიზრუნებ. ეს ჩემი მოვალეობაა" — განაცხადა ბეკენბაუერმა.

**ხ**ელახალი ანალიზი ჩაიტარა კრისტოფ დაუმმა და ამერიკელმა ექიმებმა მის ორგანიზმში ნარკოტიკების კვალს ვერ მიაგნეს. გამოდის, რომ ამ კაცს ნარკომანობა ტყუილად დააბრალეს, რის შედეგადაც „ლევერკუზენის" მწვრთნელის პოსტიდანაც წავიდა და აღარც გერმანიის ნაკრებს უთავკაცებს. სწორედ ამიტომ დაუმი გერმანიის საფეხბურთო კავშირისგან ფულად კომპენსაციას ითხოვს.

**ჯ**ერ სამი კანდიდატი დატოვეს. მათ შორის არჩევანი კი 130 ქვეყნის მწვრთნელებმა უნდა გააკეთონ და ფიფაში წარადგინონ, საბოლოო შედეგი კი 11 დეკემბერს რომში გამოცხადდება. მსოფლიოს წლის საუკეთესო მოთამაშის კანდიდატები არიან ფიგუ, რივალდო და ზიდანი.

**ჰ**ოლანდიის ნაკრების ამჟამინდელ და „ბარსელონას" ყოფილ მწვრთნელ ლუის ვან გაალს გაზეთი „მარკა" შეეკითხა, რომელ უცხოელს ისურვებდით ჰოლანდიის ნაკრებშიო. ვან გაალი არც დაფიქრებულა: „უპირველესად ლუიშ ფიგუს. დღეს ევროპაში ძალიან ცოტაა ისეთი მოთამაშე, რომელიც გარკვეულ ჩარჩოებში არაა მოქცეული. ფიგუ სწორედ ერთ-ერთი მათგანია".

## ინგლისი

### XVI ტური

**სანდერლენდი 2:0 ევერტონი**

1:0 რაე (45), 2:0 ფილიფსი (64)

სანდერლენდი: სორენსენი, უილიამსი, გრეი, მაკკენი, ტომე, კრადოკი, კილბეინი, ფილიფსი (ოსტერი 89), ნ. ქუინი (ვარგა 81), რაე (შვარცი 86), არკა

მწვრთნელი: პიტერ რიდი

ევერტონი: ჟერარი, უოტსონი, ვეირი, ს. ჰიუზი, ჰემბრიჯი, ბოლი, ნეისმიტი, ჯემილი (ნიარკო 70), კადამარტერი (მური 70), ტალი (გრაველეინი 46), ჯ. კემპბელი

მწვრთნელი: უოლტერ სმიტი

გაფრთხილება: ჰიუზი, კემპბელი, ნიარკო

46 372 მაყურებელი

## იტალია

### სერია B. XIV ტური

**კოზენცა 1:2 კიევო**

1:0 პიზანო (14), 1:1 კორინი (53პ), 1:2 ფრანჩესკინი (83)

### სერია C1/A. XIII ტური

**ჩეზენა 2:3 ლუმეცანე**

## გერმანია

### II ბუნდესლიგა. XV ტური

**მიონხენგლადბახი 2:0 ჰანოვერი**

1:0 დერმეხი (30), 2:0 ვან ლენტი (89)

### თასის მეოთხედფინალის წილისყრა

შტუტგარტი — ფრაიბურგი; დუისბურგი (II) — მიონხენგლადბახი (II); მაგდებურგი (III) — შალკე; უნიონი (III) — ბოხუმი

*მატჩები გაიმართება 19-20 დეკემბერს*

## იუგოსლავია

მე-16 ტური: პარტიზანი — ჰაიდუკი 4:0; ცრვენა ზვეზდა — ჟელეზნიკი 5:1; ჩუკარიჩკი — მილიციონარი 1:0; ზეტა — ნაპრედაკი 0:0; ზემუნი — რადნიჩკი (ნიში) 3:0; რადი — რადნიჩკი (კრაგუევაჩი) 1:1; სუტიესკა — ბუდუჩნოსტი 1:1; ვოივოდინა — სარტიდი 2:1; ოფკ — ობილიჩი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პარტიზანი | 15 | 13 | 0 | 2 | 47:12 | 39 |
| ცრვენა ზვეზდა | 15 | 12 | 3 | 0 | 39:7 | 39 |
| ობილიჩი | 16 | 9 | 3 | 4 | 24:18 | 30 |
| ოფკ | 16 | 9 | 2 | 5 | 25:16 | 29 |
| სარტიდი | 16 | 7 | 2 | 7 | 23:25 | 23 |
| ჰაიდუკი | 16 | 6 | 4 | 6 | 24:17 | 22 |
| ვოივოდინა | 16 | 6 | 3 | 7 | 18:16 | 21 |
| ჟელეზნიკი | 16 | 6 | 3 | 7 | 22:29 | 21 |
| სუტიესკა | 16 | 6 | 3 | 7 | 18:29 | 21 |
| ჩუკარიჩკი | 16 | 6 | 2 | 8 | 21:22 | 20 |
| მილიციონარი | 16 | 6 | 2 | 8 | 14:17 | 20 |
| კრაგუევაჩი | 16 | 6 | 2 | 8 | 17:27 | 20 |
| ზეტა | 16 | 4 | 7 | 5 | 19:23 | 19 |
| ზემუნი | 16 | 4 | 6 | 6 | 17:21 | 18 |
| რადი | 16 | 5 | 3 | 8 | 19:27 | 18 |
| ბუდუჩნოსტი | 16 | 5 | 2 | 9 | 14:21 | 17 |
| ნაპრედაკი | 16 | 3 | 4 | 9 | 12:29 | 13 |
| ნიში | 16 | 3 | 3 | 10 | 13:30 | 9 |

*ნიშის „რადნიჩკის" დაკლებული აქვს 3 ქულა*

## არგენტინა

მე-17 ტური: არგენტინოს ხუნიორსი — ლოს ანდესი 5:2; ალმაგრო — რივერ პლეიტი 4:5; ბოკა ხუნიორსი — სან ლორენსო 1:0; ჩაკარიტა ხუნიორსი — ესტუდიანტესი 0:3; ურაკანი — ლანუსი 0:0; ნიუელს ოლდ ბოიზი — როსარიო სენტრალი 0:0; რასინგი — კოლონი 0:4; უნიონი — ტალერესი 3:1; ხიმნასია (ლა პლატა) — ინდეპენდიენტე 3:2; ბელგრანო — ველეზ სარსფილდი 0:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოკა ხუნიორსი | 16 | 11 | 5 | 0 | 33:14 | 38 |
| ხიმნასია | 17 | 10 | 4 | 3 | 34:27 | 34 |
| ტალერესი | 17 | 10 | 3 | 4 | 29:20 | 33 |
| რივერ პლეიტი | 16 | 9 | 6 | 1 | 36:20 | 33 |
| სან ლორენსო | 16 | 9 | 3 | 5 | 31:17 | 30 |
| ველეზი | 17 | 7 | 7 | 3 | 22:15 | 28 |
| ესტუდიანტესი | 17 | 7 | 7 | 3 | 22:16 | 28 |
| კოლონი | 17 | 7 | 5 | 5 | 27:18 | 26 |
| ურაკანი | 16 | 5 | 7 | 4 | 21:17 | 22 |
| უნიონი | 17 | 5 | 7 | 5 | 19:18 | 22 |
| ჩაკარიტა | 17 | 6 | 3 | 8 | 14:23 | 21 |
| ოლდ ბოიზი | 16 | 4 | 8 | 4 | 15:19 | 20 |
| როსარიო | 17 | 4 | 6 | 7 | 23:30 | 18 |
| ინდეპენდიენტე | 16 | 4 | 4 | 8 | 17:21 | 16 |
| ლანუსი | 16 | 3 | 5 | 8 | 17:22 | 14 |
| ბელგრანო | 16 | 2 | 8 | 6 | 18:24 | 14 |
| არგ. ხუნიორსი | 17 | 2 | 8 | 7 | 17:24 | 14 |
| ლოს ანდესი | 17 | 3 | 3 | 11 | 18:40 | 12 |
| რასინგი | 16 | 1 | 8 | 7 | 10:23 | 11 |
| ალმაგრო | 17 | 0 | 7 | 10 | 13:28 | 7 |

## ბრაზილია

### ჩემპიონატის მეოთხედფინალი

ვასკუ და გამა — პარანა 3:1; პალმეირასი — სან კაეტანო 3:4; კრუზეირო — ინტერნასიონალი 3:2 (1:1); სპორტ რესიფე — გრემიო 1:1 (1:2)

## სლოვენია

# ტრავმიანობამ სლოვანს ქართველები მოაკლო



VECER

როგლა — სავინსკი. სტუმარი ბლაჟ რუჩიგაი პრიმოჟ ტემნიკს (№15) და ველკო პეტრანოვიჩს შორის

X ტური

**როგლა — სავინსკი 94:72, კრკა — ტრიგლავი 83:58, ლოკა კავა — ჰელიოსი 80:79, პივოვარნა — კემოპლასტი 98:89, ოლიმპია — კრაშკი ზიდარი 90:51**

**ზაგორიე 69:78 სლოვანი**

**ზაგორიე: კანჯიჩი (7), კლეპო (2), იაპიჩი, ლებანი (19), ჩოპი (2), სკრინიარი, კორენი, პრიმორაცი (15), ბუკვა (17), კნაფსი (7)**

**სლოვანი: ნოვაკი (10), ლაკოვიჩი (8), ჟაკელი (6), გრბეშიჩი (9), უგრეხელიძე (11), ჯურკოვიჩი (6), კოვაჩი (2), პავიჩი (11), მარავიჩი (5), კოკალი (2), ცქიტიშვილი (8)**

სლოვენიის ჩემპიონატი ორკვირიანი შესვენების შემდეგ განახლდა და ლიუბლიანის „სლოვანი“ „ზაგორიეს“ ეწვია. ამჯერად გუნდს მხოლოდ ერთი ტრავმირებული მოთამაშე ჰყავდა, ჩვენდა სამწუხაროდ, ვლადიმერ ბოისა. ქართველ ფორვარდს კვლავ აწუხებს მუხლი და გუშინ ლიუბლიანაში რომ შევეხმიანეთ, საავადმყოფოში იყო და მორიგი გამოკვლევის პასუხს ელოდა.

„ზაგორიე“ ბოლო ადგილზე კი არის, მაგრამ „სლოვანისთვის“ ყოველთვის უხერხულ მეტოქედ ითვლება. იქაური დარბაზი პირთამდე გაივსო და მაყურებელიც მეტად აგრესიულად ქომაგობდა თავისიანებს. მსაჯებმა ხისტი თამაშის საშუალება მისცეს გუნდებს, რაც, დროდადრო, უხეშობაშიც გადადიოდა. ერთი სიტყვით, მატჩი ნერვულ და დაძაბულ ატმოსფეროში მიმდინარეობდა.

პირველი მეოთხედი „ზაგორიემ“ მოიგო (24:18), მერე „სლოვანი“ დაწინაურდა, მაგრამ ქულათა მცირე მარაგით. ლიუბლიანელებმა საგრძნობ უპირატესობას მესამე მეოთხედის ბოლოს და მეოთხის დასაწყისში მიაღწიეს, როცა ჯერ შვიდი ქულით გაიჭრნენ წინ, მერე კი — ათით. ზაგორიელებმა არ აპატიეს სტუმრებს წამიერი მოდუნება და ორ წუთში ანგარიში გაათანაბრეს. „სლოვანს“ ერთი შანსი რჩებოდა — თამაშის აჩქარება და პირველი შეტევა, რაც კარგად გამოიყენა კიდეც — ერნესტ ნოვაკმა, იაკა ლაკოვიჩმა, დავიდ გრებეშიჩმა და დავით უგრეხელიძემ გარღვევებზე ზედიზედ ჩააგდეს და გამარჯვებაც მოიპოვეს.

დავით უგრეხელიძეს ხეირიანად არც მოერჩინა კოჭის ტრავმა, რომ ახლიდან დაიმტვრა: დამთავრებამდე 15 წამით ადრე იგივე კოჭი ამოუტრიალდა და ახლა ერთხანს დასვენება მოუწევს. დავითმა 19 წუთი ითამაშა, ექვსიდან ოთხი ორქულიანი და ოთხიდან სამი საჯარიმო ჩააგდო. ამასთან, სამი მოხსნა და ოთხი პერსონალურიც მიითვალა.

ამ მატჩამდე ნიკა ცქიტიშვილი ერთი კვირა უვარჯიშებელი იყო. მან ერთ-ერთი ამხანაგური მატჩისას მუხლი იტკინა და მოედანს საერთოდ არ გაკარებია. მიუხედავად ამისა, „სლოვანის“ მწვრთნელმა ტომო მაჰორიჩმა ნიკა მაინც ათამაშა. ქართველმა ფორვარდმაც გაუმართლა მწვრთნელს, დაცვაშიც კარგად გაისარჯა და შეტევაშიც — თითოჯერ ნასროლი სამქულიანი და საჯარიმო ზუსტად გამოიყენა, ხოლო სამი ორქულიანიდან ორს მიუჩინა კალათში ადგილი. ცქიტიშვილმა სამი ბურთი მოხსნა, ერთი ჩაჭრა და ერთი პერსონალური მიიღო.

შაბათს, პირველი წრის დასკვნით ტურში „სლოვანი“ ზრეჩეს „როგლას“ უმასპინძლებს. ზრეჩელები კარგ ფორმაში არიან, ბოლო ტურში ექვსეულში მოხვედრისთვის უმთავრესი კონკურენტი „სავინსკი“ 22 ქულით დაამარცხეს. ბოისა „როგლას“ წინააღმდეგ ნაღდად ვერ ითამაშებს, უგრეხელიძე კი იმ დროისთვის შეიძლება განიკურნოს.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| კრკა | 10 | 10 | 0 | 892:727 | 20 |
| ოლიმპია | 10 | 9 | 1 | 915:641 | 19 |
| სლოვანი | 10 | 7 | 3 | 810:750 | 17 |
| პივოვარნა | 10 | 6 | 4 | 886:803 | 16 |
| კრაშკი ზიდარი | 10 | 6 | 4 | 751:801 | 16 |
| როგლა | 10 | 4 | 6 | 782:844 | 14 |
| სავინსკი | 10 | 4 | 6 | 798:890 | 14 |
| კემოპლასტი | 10 | 3 | 7 | 873:855 | 13 |
| ჰელიოსი | 10 | 3 | 7 | 802:864 | 13 |
| ტრიგლავი | 10 | 3 | 7 | 747:809 | 13 |
| ლოკა კავა | 10 | 3 | 7 | 753:887 | 13 |
| ზაგორიე | 10 | 2 | 8 | 733:871 | 12 |

## იტალია

VII ტური

**იმოლა — ადეკო 88:83, ვარეზე — მიულერი 90:106, კინდერი — მონტეკატინი 85:64, რეჯანა — ტრიესტი 80:82, სიენა — ფორტიტუდო 65:70, სკავოლინი — ბენეტონი 91:77, აეროპორტი — რიმინი 89:88, კანტუ — აველინო 77:86, სნაიდერო — კორდივარი 93:72**

VIII ტური

**მიულერი — იმოლა 101:99, ფორტიტუდო — სკავოლინი 73:68, ბენეტონი — აეროპორტი 84:76, ტრიესტი — კინდერი 68:82, ვარეზე — სნაიდერო 103:94, რიმინი — კანტუ 73:80, აველინო — ადეკო 87:78, კორდივარი — სიენა 80:69, მონტეკატინი — რეჯანა 77:75**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ფორტიტუდო | 8 | 8 | 0 | 651:521 | 16 |
| კინდერი | 8 | 7 | 1 | 695:587 | 15 |
| კორდივარი | 8 | 6 | 2 | 658:631 | 14 |
| ბენეტონი | 8 | 5 | 3 | 659:615 | 13 |
| მიულერი | 8 | 5 | 3 | 764:739 | 13 |
| მონტეკატინი | 8 | 5 | 3 | 651:658 | 13 |
| სკავოლინი | 8 | 4 | 4 | 693:633 | 12 |
| აველინო | 8 | 4 | 4 | 675:658 | 12 |
| აეროპორტი | 8 | 4 | 4 | 663:682 | 12 |
| რიმინი | 8 | 4 | 4 | 662:686 | 12 |
| სიენა | 8 | 4 | 4 | 599:633 | 12 |
| სნაიდერო | 8 | 3 | 5 | 690:690 | 11 |
| რეჯანა | 8 | 3 | 5 | 669:690 | 11 |
| ტრიესტი | 8 | 3 | 5 | 626:659 | 11 |
| იმოლა | 8 | 3 | 5 | 670:749 | 11 |
| ვარეზე | 8 | 2 | 6 | 707:746 | 10 |
| კანტუ | 8 | 1 | 7 | 634:690 | 9 |
| ადეკო | 8 | 1 | 7 | 602:701 | 9 |

## ესპანეთი

VIII ტური

**ხირონა — ხიხონი 98:79, ხუვენტუდი — კახა სან ფერნანდო 85:79, კასერესი — რეალი 59:76, ორენსე — კანტაბრია 83:69, ბარსელონა — უნიკახა 94:87, ფორუმი — ფუენლაბრადა 80:77, ესტუდიანტესი — კანარიასი 98:91, ბრეოგანი — ტაუ 83:89, კოსტაბლანკა — პამესა 92:80**

IX ტური

**პამესა — ხირონა 91:66, ტაუ — კოსტაბლანკა 109:58, კანარიასი — ბრეოგანი 78:70, ფუენლაბრადა — ესტუდიანტესი 83:68, უნიკახა — ფორუმი 88:93, კანტაბრია — ბარსელონა 71:88, რეალი — ორენსე 101:74, კახა სან ფერნანდო — კასერესი 75:59, ხიხონი — ხუვენტუდი 89:82**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ტაუ | 9 | 7 | 2 | 808:702 | 16 |
| პამესა | 9 | 7 | 2 | 756:686 | 16 |
| ბარსელონა | 8 | 7 | 1 | 746:641 | 15 |
| უნიკახა | 9 | 6 | 3 | 817:707 | 15 |
| რეალი | 8 | 6 | 2 | 663:594 | 14 |
| ფორუმი | 9 | 5 | 4 | 759:749 | 14 |
| ფუენლაბრადა | 8 | 5 | 3 | 671:610 | 13 |
| ესტუდიანტესი | 8 | 5 | 3 | 673:664 | 13 |
| ბრეოგანი | 9 | 4 | 5 | 730:742 | 13 |
| სან ფერნანდო | 9 | 4 | 5 | 694:710 | 13 |
| ხუვენტუდი | 9 | 4 | 5 | 723:741 | 13 |
| ხირონა | 9 | 3 | 6 | 700:730 | 12 |
| ორენსე | 9 | 6 | 3 | 685:743 | 12 |
| კანარიასი | 9 | 3 | 6 | 676:759 | 12 |
| კანტაბრია | 9 | 3 | 6 | 661:749 | 12 |
| კოსტაბლანკა | 9 | 3 | 6 | 671:762 | 12 |
| ხიხონი | 9 | 2 | 7 | 697:765 | 11 |
| კასერესი | 9 | 2 | 7 | 633:709 | 11 |

## საბერძნეთი

# დამარცხებული დაუმარცხებელზე წინ

VI ტური

**მაკედონიკოსი — არისი 73:79, ნიარ ისტი — ირაკლიონი 82:71, მილონი — პანიონიოსი 66:84, მარუსი — პანათინაიკოსი 85:92, ირაკლისი — პერისტერი 73:74, დაფნი — პაოკ 68:70**

**აეკ 56:75 ოლიმპიაკოსი**

**აეკ: სტეფანოვი (10), ჰანსელი, კიკილიასი (5), ჰამინკი (4), ხაძისი, ზისისი (3), დიკუდისი (10), მოსხუ (2), მიუურსეპი (4), ბეტსი (12), კაკიუზისი (6)**

**ოლიმპიაკოსი: ბუდურისი, ვუჩევიჩი (7), პაპანიკოლაუ (13), ეკონომუ (11), რიზაშე (2), ტომიჩი (20), დე მიგელი (2), ფემერლინგი (5), რაჯა (15), რივერსი**

მეექვსე ტურის მთავარი მატჩი ათენის „ოლიმპიურ სტადიონზე“ გაიმართა: დაუმარცხებელი აეკი ასევე დაუმარცხებელ პირეოსის „ოლიმპიაკოსს“ დაუხვდა. ეს არ ჰგავდა ლიდერების შეხვედრას, რადგან „ოლიმპიაკოსი“ ისე მოექცა მეტოქეს, როგორც აუტსაიდერს და პირწმინდად გაანადგურა.

პირეოსელები ერთხანს 26 ქულითაც იგებდნენ და ბოლოსღა მისცეს აეკ-ს ანგარიშის ოდნავ შემცირების საშუალება. „ოლიმპიაკოსს“ დაუბრუნდა ტრავმირებული ამერიკელი გამთამაშებელი დევიდ რივერსი, რომელმაც მოედანზე რვა წუთი დაჰყო.

წაგების მიუხედავად, აეკ-მა შეინარჩუნა ცხრილში პირველი ადგილი, თუმცა ეს ამბავი პირობითი და დროებითია. „ოლიმპიაკოსს“ ერთი მატჩით ნაკლები აქვს გამართული და რომც წააგოს, პირველ საფეხურზე მაინც გადაინაცვლებს. იგივე დღეშია ათენის „პერისტერიც“. მან ყველა შეხვედრა მოიგო, თუმცა ერთი გამოტოვა და ამის გამო ჯერჯერობით მეხუთეა. ბოლო ტურში „პერისტერიმ“ სტუმრად, სალონიკში დაამარცხა „ირაკლისი“ მეტად დაძაბულ ბრძოლაში. ათენელთა შორის საუკეთესო იყო 19 წლის მიხაელ პელეკანოსი (20 ქულა). ამდენივე გააკეთა „პერისტერის“ ამერიკელმა ალფონსო ფორდმა.

ათენის „პანათინაიკოსმა“ დეიან ბოდიროგას 25 და ანტონის ფოცისის 17 ქულის წყალობით სტუმრად მოუგო „მარუსის“. სალონიკის „არისმა“ ახალი მწვრთნელის მოსვლა „მაკედონიკოსის“ ძლევის აღნიშნა — სტივ იაჯოლლუს დებიუტი იღბლიანი გამოდგა.

სალონიკის პაოკი დიდ წინააღმდეგობას წააწყდა ჯერაც მოუგებელი „დაფნის“ მხრიდან. პაოკელმა პანაიოტის ლიადელისმა (24 ქულა) დამთავრებამდე 2,7 წამით ადრე ორი საჯარიმო ჩააგდო და თავისიანებს 72:70 მოაგებინა. მატჩის საუკეთესო მოთამაშედ სალონიკელი იორგოს სიგალასი აღიარეს (13 ქულა, 8 მოხსნა). პაოკის რიგებში პირველად ითამაშა ბელარუსმა ვალერი დაინეკომ და დებიუტი შვიდი ქულით აღნიშნა.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აეკ | 6 | 5 | 1 | 504:441 | 11 |
| პანათინაიკოსი | 6 | 5 | 1 | 508:446 | 11 |
| ოლიმპიაკოსი | 5 | 5 | 0 | 432:364 | 10 |
| პანიონიოსი | 6 | 4 | 2 | 523:483 | 10 |
| პერისტერი | 5 | 5 | 0 | 398:369 | 10 |
| პაოკ | 6 | 3 | 3 | 420:433 | 9 |
| არისი | 5 | 3 | 2 | 418:428 | 8 |
| მილონი | 6 | 2 | 4 | 519:578 | 8 |
| ნიარ ისტი | 6 | 1 | 5 | 461:495 | 7 |
| ირაკლისი | 5 | 2 | 3 | 419:402 | 7 |
| ირაკლიონი | 5 | 2 | 3 | 418:432 | 7 |
| მარუსი | 5 | 1 | 4 | 425:453 | 6 |
| დაფნი | 5 | 0 | 5 | 374:422 | 5 |
| მაკედონიკოსი | 5 | 0 | 5 | 409:482 | 5 |

## თურქეთი

# თურქული კალათბურთის კლასიკა და მოდერნი

## გალა-ფენერიდან ულქერ-ეფესამდე

VII ტური

**დარუშაფაკა — ბუიუქ კოლეჯი 90:72, ეფესი — ანტბირლიკი 117:87, ქომბასანი — ბეშიქთაში 79:93, ტროი — ქარშიაქა 93:89, ტელეკომი — მაიდენოსი 85:74, ფენერბაჩე — გალათასარაი 83:64**

**ალთაი 66:82 ულქერი**

**ალთაი: სმოლი (14), პერი (13), ქარამანი (11), ულუბეი (10), აქაინი (9), ქარაქოჩი (7), კურაშოვი (2), დემირჯი**

**ულქერი: შენდლოგტენი (14), ერდოგანი (13), სარიჯა (11), გოლიოვიჩი (9), ილდირიმი (8), გიულერი (8), ლოლისი (8), ერდენაი (8), აჩიკი (3), გონლუმი**

თურქეთის ჩემპიონატის მეექვსე ტურში კლასიკური სტამბოლური დერბი გაიმართა, მაგრამ იგი დაძაბული არ აღმოჩნდა — ლიდერმა „ფენერბაჰჩემ“ იოლად მოუგო აუტსაიდერ „გალათასარაის“. გამარჯვებულთა შორის ამერიკელი ცენტრი ტანოკა ბერდი გამოირჩა, რომელმაც 20 ქულა გააკეთა. „ფენერბაჰჩეს“ ექვსი მოგება და ერთი წაგება დაუგროვდა, ისევე როგორც სხვა სტამბოლელებს — „დარუშაფაკას“, „ეფესს“ და „ულქერს“. „გალათასარაის“ კი ერთადერთი მოგება აქვს და მხოლოდ ჯერაც გაუხარელ ანკარის „ბუიუქ კოლეჯს“ უსწრებს.

„ეფესი“ თავის ფარმ-კლუბს, „ანტბირლიკს“ ეთამაშა და შავი დღე აყარა. აღსანიშნავია, რომ „ანტბირლიკის“ ყველა კალათბურთელი „ეფესის“ კუთვნილებაა, ხოლო მათი საშუალო ასაკი 17,8 წელია. მიუხედავად ამისა, არ ღირს ეფესელთა ფორვარდის მირსად თურქჯანის ღვაწლის დაკნინება: იუგოსლავიაში დაბადებულ-გაზრდილმა (იქ მირსად იაჰოვიჩი ერქვა), შემდეგ გათურქებულმა და ნბა-მოვლილმა კალათბურთელმა 43 ქულა, 19 მოხსნა, 9 პასი და 5 ჩაჭრა გააკეთა.

ზაზა ფაჩულიას „ულქერმა“ სტუმრად იოლად მოუგო „ალთაის“, თუმცა ქართველი ფორვარდ-ცენტრი სამატჩო განაცხადში არ ყოფილა. ასევე უპრობლემოდ დაამარცხა „ბუიუქ კოლეჯი“ „დარუშაფაკამ“ და ცხრილში პირველობა შეინარჩუნა.

იზმირში ერთმანეთს ადგილობრივი გუნდები, „ტროი“ და „ქარშიაქა“ შეხვდნენ. მატჩის ბედი ტროელთა ბოსნიელმა დამირ მრშიჩმა გადაწყვიტა, რომელმაც 39 ქულა გააკეთა. ანკარაშიც დერბი იყო, რომელშიაც „ტელეკომმა“ ბოლოსკენ გატეხა „მაიდენოსი“. ამ შეხვედრის ყველაზე შედეგიანი მოთამაშეები სლოვენიელები იყვნენ — ტელეკომელი რომან ჰორვატი (21 ქულა) და მაიდენოსელი გორან იაგოდნიკი (25 ქულა).

მომდევნო ტურში დიდი, იქნებ ჩემპიონატის უმთავრესი ჯახია — ერთმანეთს დაუპირისპირდებიან ახალი დროების თურქული კალათბურთის ფლაგმანები, „ულქერი“ და „ეფესი“.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| დარუშაფაკა | 7 | 6 | 1 | 593:515 | 13 |
| ფენერბაჰჩე | 7 | 6 | 1 | 591:527 | 13 |
| ეფესი | 7 | 6 | 1 | 595:532 | 13 |
| ულქერი | 7 | 6 | 1 | 580:490 | 13 |
| ბეშიქთაში | 7 | 5 | 2 | 603:536 | 12 |
| ტელეკომი | 7 | 4 | 3 | 586:526 | 11 |
| ტროი | 7 | 4 | 3 | 590:580 | 11 |
| ქომბასანი | 7 | 3 | 4 | 529:592 | 10 |
| ანტბირლიკი | 7 | 2 | 5 | 530:666 | 9 |
| ქარშიაქა | 7 | 2 | 5 | 598:620 | 9 |
| ალთაი | 7 | 2 | 5 | 531:590 | 9 |
| მაიდენოსი | 7 | 2 | 5 | 544:579 | 9 |
| გალათასარაი | 7 | 1 | 6 | 509:578 | 8 |
| ბუიუქ კოლეჯი | 7 | 0 | 7 | 537:585 | 7 |


იყიდება ან ქირავდება

შეღავათიან ფასში, ერთოთახიანი
იზოლირებული ბინა
სარაჯიშვილის მეტროსთან, ბუნებრივი
აირით და ტელეფონით
ტელ: 60-21-23



იყიდება
ბილიარდის მაგიდა
(1.50×2.80)
კარგ მდგომარეობაში
☎ 95 00 66 (16 საათის შემდეგ)



რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

ეროვნული ბიბლიოთეკა

FF BB საფრანგეთი

# უფრთხილდით პოელ გიგანტს!

VIII ტური

**პო ორტეზი — გრაველინი 85:70, დიჟონი — ლე ავრი 85:54, ანტიბი — შოლე 86:75, რასინგი — მონპელიე 85:79, ვილერბანი — ევრე 96:70, სტრასბური — ბურგი 92:89, ბეზანსონი — ნანსი 65:86, ლე მანი — შალონი 55:59**

წააგო „ლე მანმა“ და „ვილერბანი“ ერთადერთი დაუმარცხებელი გუნდი დარჩა საფრანგეთის ჩემპიონატში.

„ლე მანმა“ 61 სროლიდან მხოლოდ 20 ჩააგდო. ამისთანა სტატისტიკით თითქმის შეუძლებელია გამარჯვების მოპოვება. შედეგიანობით ვერც შალონელებმა გაიბრწყინეს, მაგრამ მასპინძლებზე უფრო უკეთ მაინც ისროდნენ. ფილიპ ერვეს გაწვრთნილები თავიდანვე დაწინაურდნენ და უპირატესობა ხელიდან აღარც გაუშვეს. სტუმრებს ძირითადი გამთამაშებელი ჯექსონი არ ჰყავდათ ზურგის ტრავმის გამო, თუმცა იგი ეიმ კარგად შეცვალა. ლემანელები კი ვერაფრით აჩერხებდნენ მეტოქის დაცვის გარღვევას და მე-10 წუთისთვის მხოლოდ 6 ქულა ჰქონდათ მოგროვებული (6:13). ვერც ამის შემდეგააწყვეს თამაში მასპინძლებმა, სტუმრები კი კონტრიერიშების იმედად იყვნენ.

„შალონს“ ქულებს ძირითადად ლი (21) და ჟიფა (13) მატებდნენ. მოწინააღმდეგე ბანაკიდან მხოლოდ როჯერსი გამოირჩეოდა და თუ შესვენებისას სტუმრები მხოლოდ 3 ქულას იგებდნენ (42:39), სწორედ მისი დამსახურებაა. ოღონდ „ლე მანი“ მეტოქის გასწრებას ვერაფრით ახერხებდა. ბოლო წუთზე მისმა ამერიკელმა ლეგიონერმა ჯონგმა ანგარიშში სხვაობა ერთ ქულამდეც შეამცირა (55:56), მაგრამ „ლე მანი“ სეზონის პირველ წაგებას მაინც ვერ გადაურჩა.

მისგან განსხვავებით, კვლავ დაუმარცხებელია „ვილერბანი“, რომელიც კვირას თავის „ასტრობალში“ „ევრეს“ იოლად გაუსწორდა. არადა, თავიდან საქმე სულ სხვაგვარად წარიმართა. „ევრემ“ ორ წუთში ექვსი უპასუხო ქულა ჩაუგდო მასპინძლებს. შემდეგ გრეგორ ბენიოს გაწვრთნილები გაცილებით უკეთ გაისარჯნენ და მეტოქეს, ფაქტობრივად, პირველივე ტაიმში მოუღეს ბოლო — 58:25. მეორე ნახევარში ვილერბანელები მშვიდად ინარჩუნებდნენ თავიანთ უპირატესობას და „ევრეს“ სხვაობის ოდნავ შემცირებაღა დაანებეს.

ტურის მთავარი მოვლენა კი პოში მოხდა. რამდენიმე წლის შემდეგ დედამიწის უმაღლესმა კალათბურთელმა, რუმინელმა გეორგე მურეშანმა ისევ „პო ორტეზის“ მაისურით ითამაშა. ეს მისი 50-ე მატჩი იყო პოელთა შემადგენლობაში. მურეშანი კლოდ ბერჟერომ პირველად მე-13 წუთზე ჩართო თამაშში ამერიკელი ცენტრის, ლოუსონის ნაცვლად. რუმინელმა სამიდან სამი სროლა ჩააგდო, დაცვაშიც კარგად გაისარჯა და ცოტა ხანში სათადარიგოთა სკამსაც დაუბრუნდა. იგი ერთხელაც გამოჩნდა მოედანზე — მესამე მეოთხედის დამთავრებამდე ცოტა ხნით ადრე. მურეშანმა ამ მონაკვეთშიც 6 ქულა გააკეთა, „პო ორტეზი“ კი 24 ქულით დაწინაურდა (70:46) და გამარჯვებაც გაინაღდა, რადგან „გრაველინი“ ამ ჩამორჩენის გამბათილებელი არ იყო.

„რა თქმა უნდა, ბედნიერი ვარ აქ ყოფნით. დღესდღეობით საუკეთესო ფორმაში არ ვარ, მაგრამ ცოტა ხანში მაყურებელს ვაჩვენებ, თუ რა შემიძლია“ — დააიმედა პოელი ქომაგები მურეშანმა.

**გაიოზ თალაკვაძე**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ვილერბანი | 8 | 8 | 0 | 643:524 | 16 |
| ლე მანი | 8 | 7 | 1 | 680:626 | 15 |
| რასინგი | 8 | 6 | 2 | 635:594 | 14 |
| დიჟონი | 8 | 5 | 3 | 660:564 | 13 |
| ნანსი | 8 | 5 | 3 | 658:597 | 13 |
| პო ორტეზი | 8 | 5 | 3 | 659:639 | 13 |
| ანტიბი | 8 | 5 | 3 | 651:641 | 13 |
| შალონი | 8 | 5 | 3 | 577:580 | 13 |
| შოლე | 8 | 4 | 4 | 620:609 | 12 |
| სტრასბური | 8 | 3 | 5 | 632:603 | 11 |
| გრაველინი | 8 | 3 | 5 | 640:668 | 11 |
| ევრე | 8 | 2 | 6 | 658:714 | 10 |
| ბეზანსონი | 8 | 2 | 6 | 610:678 | 10 |
| მონპელიე | 8 | 2 | 6 | 637:711 | 10 |
| ლე ავრი | 8 | 2 | 6 | 537:650 | 10 |
| ბურგი | 8 | 0 | 8 | 610:709 | 8 |



ლე მანი — შალონი. ამერიკული დუელი: ლემანელი შონტე როჯერსი (ზურგით) კრეიგ რობინსონის წინააღმდეგ

NBA. რეგულარული ჩემპიონატი



AP ნიუ იორკიდან

ნიუ იორკი — კლიპერსი. კურტ ტომასი (თეთრ ფორმაში) და კლიპერსელი ბრაიან სკინერი

# არა მხოლოდ მაკდაიესით...

4 დეკემბერი

**დენვერი 105:98 ფილადელფია**

**დენვერი:** ლაფრენცი (25 ქულა, 14 მოხსნა), მაკდაიესი (24 ქულა, 11 მოხსნა), ლენარდი (19 ქულა, 12 მოხსნა), ვან ექსელი (17 ქულა, 10 პასი)

**ფილადელფია:** აივერსონი (37 ქულა, 9 მოხსნა)

**ნიუ იორკი 106:78 კლიპერსი**

**ნიუ იორკი:** რაისი (21), სპრიუელი (19), ჰიუსტონი (19)

**კლიპერსი:** მაილზი (13)

„ფილადელფია სიქსერზმა“ სეზონი დაიწყო და საწყის ათ თამაშში გამარჯვება არავის დაანება, თუმც დაუმარცხებელი არავინაა და ლარი ბრაუნის შეგირდებმა სტუმრად წაგებას უხშირეს. 4 დეკემბერს ისინი კარგ ფორმაში მყოფ „დენვერ ნაგითსს“ ვერ მოერივნენ, მიუხედავად იმისა, რომ ალენ აივერსონმა ზედიზედ მეორე მატჩში მეტოქის დასამარცხებლად 37 ქულა გაიღო.

ვერ ვიტყვით, ტაირონ ჰილი რომ ჰყოლოდა, „ფილადელფია“ უცილობლად დაამარცხებდა „დენვერს“, თუმც ამ მძლავრი თავდამსხმელის ტრავმამ ერთობ არია „სიქსერზის“ რიგები. ჰილი წლების განმავლობაში „ჩიკაგოს“ ერთ-ერთმა წამყვანმა მოთამაშემ, კარიერის დასასრულს კი ფილადელფიური მექანიზმის ჭანჭიკად ქცეულმა ტონი კუკოჩმა შეცვალა სასტარტო ხუთეულში. ხორვატი ვეტერანი შეტევაში ურიგოდ არ გარჯილა, თავისიანებს 18 ქულა შეაწია, თუმც დაცვაში მოიკოჭლებდა და ამან „სიქსერზის“ დაცვა, ცოტა არ იყოს, შეარყია, რამაც მასპინძლებს მეტოქის კალათისკენ გაუკვალა გზა.

შეხვედრის დაწყებამდეც ცხადი იყო, მასპინძლები აქცენტს თავიანთ მაღლებზე, უფრო კი თავდამსხმელ ანტონიო მაკდაიესზე გააკეთებდნენ და ასეც მოხდა. სიდნეის ოლიმპიადის ჩემპიონმა მაკდაიესმა ბოლო ორ თამაშში 77 ქულა მოაგროვა და წინა კვირის საუკეთესო მოთამაშეც გახდა. ანტონიომ ეს მატჩიც რიგიანად დაიწყო და იქამდე იბოგინა, სანამ მეურვეებად კუკოჩი და ჯორჯ ლინჩი ჰყავდა. სტუმართა დამრიგებელი ლარი ბრაუნი იძულებული გახდა, მისი თამაშის ალკვეთა დაცვის ოსტატ, ამპლუით ცენტრ თეო რეთლიფისთვის (14 ქულა, 5 დაფარება) დაევალებინა. ამ ცვლილებამ შედეგი მოიტანა, მაკდაიესს ახალმა მეურვემ ზედიზედ ორჯერ დაუფარა და კალათის აკლების წყურვილიც გაუნელა, მაგრამ აქ მეორე პრობლემამ იჩინა თავი. გაილაღა კოლორადოელთა ცენტრმა რიფ ლაფრენცმა, რომელსაც მანამდე რეთლიფი იჭერდა. მეურვის გამოცვლამ ლაფრენცს მეტოქის კალათისკენ გზა გაუთავისუფლა და მესამე მეოთხედში „დენვერი“ ცხრა ქულით დაწინაურდა. ამას ისიც დაერთო, რომ ამპლუით მსროლელი ვოშონ ლენარდი ლაფრენცს და მაკდაიესს ფარქვეშ რიგიანად შეეშველა და მასპინძლებმა ამ ადგილიდან საბოლოოდ გააძევეს სტუმრები. „ფილადელფია“ აშკარად აგებდა ფარს და გამარჯვების რწმენაც თანდათან უქრებოდა. ისევ პატარა აივერსონმა გაიბრწყინა სწრაფი გარღვევებით. ამან შედეგად ის მოიტანა, რომ შეხვედრის დამთავრებამდე წუთნახევრით ადრე სტუმრებმა სხვაობა ერთ ქულამდე დაიყვანეს — 98:99. იმედის მიმქრალი ნაპერწკალი ისევ გაღვივდა, მაგრამ... მასპინძელთა გამთამაშებელმა ნიკ ვან ექსელმა ბოლო ათ წამში ორქულიანს ოთხი საჯარიმოც დაუმატა და თავისიანები ბოლო ათ შეხვედრაში მეშვიდედ აზეიმა.

„ძალიან მნიშვნელოვანი გამარჯვებაა, თუმც ვერ ვიტყვი, რომ ჩვენი საუკეთესო თამაში ვაჩვენეთ. ასეთ შეხვედრებში წარმატება ნებისმიერ გუნდისთვის სასახელოა. „ფილადელფიას“ ყოველთვის ვერ მოუგებ, თუმც ამის სურვილი ყოველთვის გაქვს“ — ამბობდა ნამატჩევს მასპინძელთა თავკაცი დან პირელი. მან იქვე დასძინა, ვიცოდი, ანტონიოს (მაკდაიესი) დიდი ჯაფა დაადგებოდა და სხვების იმედი მქონდა, ბედად, ბიჭებმა არ გამაწბილესო.

„ფილადელფიამ“ კი ბოლო ოთხ შეხვედრაში პირველად წააგო. ამასთან, მიმდინარე სეზონში, საკუთარ კალათში პირველად მიიღო 100 ქულაზე მეტი.

მაშინ, როდესაც „ფილადელფია“ „ნაგითსს“ ამაოდ ეჯაჯგურებოდა, მისი მეზობელი და მეორე აღმოსავლელი ბობოლა „ნიუ იორკი“ მშობლიურ „მედისონ სკვერ გარდენში“ ყველაზე უხეირო დასავლელს, „ლოს ანჯელეს კლიპერსს“ მორიგ გაკვეთილს უტარებდა.

„კლიპერსის“ მონაწილეობა ბევრ შეხვედრაში სიმბოლური ხასიათისაა. ნიუ იორკშიც ბევრი არ ელოდა სენსაციას. ლოსანჯელესელები წინასწარ განწირულნი იყვნენ და ისე წააგეს, მეტოქისთვის ხეირიანი არაფერი შეუთავაზებიათ. „ნიუ იორკმა“ სეზონის ერთბაშად ორ რეკორდს გამოჰკრა ხელი. „ნიქსს“ მანამდე არც ერთხელ არ მოეგროვებინა თამაშში 106 ქულა და ამხელა სხვაობით მეტოქე არ დაემარცხებინა.

„ნიუ იორკში“ პატრიკ იუინგის ნაცვლად მისულმა გლენ რაისმა, როგორც იქნა, დაიმკვიდრა ადგილი „ნიქსის“ სასტარტო ხუთეულში, თუმც მხოლოდ მას შემდეგ, რაც გამთამაშებელი ჩარლი ვორდი დაშავდა. რაისი თამაშის ყველაზე შედეგიანი მოთამაშეც გახდა.

**ირაკლი ფირაშვილი**

## ნოემბრის საუკეთესო

## კარლ მელოუნი

**• იუტა •**





ერთი თვე მიილია და ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ნოემბრის რჩეულთა დასახელების ჯერიც დადგა.

ნოემბრის საუკეთესო მოთამაშედ „იუტა ჯაზის“ 36 წლის კარლ მელოუნი დასახელდა. „ფოსტალიონი“ ასაკს არ იტყობს და ძველებურად ბომბავს მეტოქეთა კალათს. მაშინ, როდესაც მისი თაობის დიდი ვარსკვლავები თითქმის წავიდნენ კალათბურთიდან, მელოუნი, როგორც ყოველთვის, ახლაც რჩეულთა შორის საპატიო ადგილს იკავებს და აგერ თვის საუკეთესო მოთამაშის ტიტულიც ვინ იცის, მერამდენედ ირგუნა თავის ხანგრძლივ კარიერაში.

მელოუნმა ნოემბერში „იუტას“ 15 შეხვედრიდან 12 მოაგებინა, რაც ლიგაში მეორე შედეგია „ფილადელფია სიქსერზის“ შემდეგ. ამასთან, „ჯაზი“ განსაკუთრებით გასვლებზე ირჯებოდა სანაქებოდ და შვიდი მეტოქიდან ექვსი მისსავე მოედანზე იმსხვერპლა, მათ შორის ჩემპიონი „ლოს ანჯელეს ლეიკერსიც“. ასეთი შედეგით კი ლიგაში, „ჯაზის“ გარდა, ვერავინ იწონებს თავს. თავად მელოუნის შედეგიანობა ამ 15 მატჩში 23,6 ქულა, 10,6 მოხსნა და 4,7 პასია.

ისიც აღვნიშნოთ, რომ ნოემბრის საუკეთესო მოთამაშის ტიტულს ვინც ებღაუჭებოდა, ყველა ბევრად ახალგაზრდაა კარლ მელოუნზე. მოცილე კი მრავლად ჰყავდა „ფოსტალიონს“: ანტუან უოლკერი (ბოსტონი), ჯამალ მაშბურნი (შარლოტი), კობი ბრაიანტი (ლეიკერსი), სტივენ მარბერი (ნიუ ჯერსი), თეო რეთლიფი (ფილადელფია), ჯეისონ კიდი, შონ მარიონი (ორივე ფინიქსი), რაშიდ ვოლესი (პორტლენდი), კრის ვებერი (საკრამენტო), გერი პეიტონი (სიეტლი) და შარიფ აბდურ-რაჰიმი (ვანკუვერი).

ნოემბრის საუკეთესო მწვრთნელი სხვა ვინ გახდებოდა, თუ არა „ფილადელფიას“ დამრიგებელი ლარი ბრაუნი. მან შეგირდებს ნოემბრის 14 თამაშიდან 12 მოაგებინა. ამასთან, „ფილადელფიას“ ისტორიაში ეს პერიოდი განსაკუთრებულად გამორჩეული იქნება, რადგან „სიქსერზმა“ სეზონის პირველი ათი მატჩი დაუმარცხებლად გაწვლო და ძველი რეკორდი ერთბაშად სამი თამაშით გააუმჯობესა. შინაურ შეხვედრებში „ფილადელფია“ ჯერაც დაუმარცხებელია და ამაყად ლიდერობს ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციას. ბრაუნს აქტივში ისიც ჩაეწერა, რომ შეძლო თავგასული სუპერვარსკვლავის მორჯულება და იგი გუნდის ინტერესებს დაუქვემდებარა: აივერსონი ვარჯიშებს აღარ აცდენს, მწვრთნელსა და მის მიერ ნაქადაგევ გუნდურ თამაშს წინანდელზე მეტ პატივს სცემს და შედეგიც სახეზეა. „ფილადელფიამ“ გამარჯვებებს უხშირა და ახლა ლამის აღმოსავლეთის ერთადერთ მძლავრ გუნდადაც მოიხსენიება.

ბრაუნს თვის საუკეთესო მწვრთნელის ტიტულში ეცილებოდნენ რენდი ვიტმენი (კლივლენდი), დონ ნელსონი (დალასი), რუდი ტომიანოვიჩი (ჰიუსტონი), ბაირონ სკოტი (ნიუ ჯერსი), სკოტ სკაილზი (ფინიქსი), რიკ ადელმანი (საკრამენტო) და ჯერი სლოუნი (იუტა).

თუ ვინ გახდებოდა თვის საუკეთესო ახალბედა, ეს წინდაწინვე იყო ცნობილი. ყველა აღიარებს, რომ ნბა-ს ახალწვეულთა ლეგიონი ნიჭიერი კალათბურთელებით ერთობ ღარიბია. ძნელი სათქმელია, ასეთი უხეირო ნაკადი ბოლოს როდის მოაწყდა პლანეტის უძლიერეს საკალათბურთო ლიგას. ყოველ შემთხვევაში, ახალბედები ჯერ დუმან და თავი ვერაფრით წარმოუჩენიათ. ყველას ისევ 2000 წლის დრაფტის პირველი ნომერი კენიონ მარტინი სჯობს, რომელიც „ნიუ ჯერსის“ მაისურით მეტოქეებს მატჩში საშუალოდ 11,2 ქულას უგდებს და თავის გუნდს, გარდა ამისა, 7,5 მოხსნას და 2,53 დაფარებას აშველებს.

მარტინი ამ სამივე მაჩვენებლით ლიგის ყველა ახალბედისგან გამოირჩევა, მიუხედავად იმისა, რომ მატჩში საშუალოდ მოგროვებული 11,2 ქულა და 7,5 მოხსნა თავისთავად დიდი ვერაფერი შედეგია. აი, დაფარება კი კარგად ეხერხება კენიონს, სრულიად ლიგის დამფარებელთა სიაში მას საპატიო მეექვსე ადგილი უკავია.

კენიონ მარტინთან ბრძოლის თითქმის არანაირი შანსი არ ჰქონდათ სხვა ასე თუ ისე გამორჩეულ ახალბედებს — შარლოტელ ჯამალ მალუას და ორლანდოელ მაიკ მილერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სპორტული ლატარია "CROCO"

**ჰოლანდია. მე-2 დივიზიონი**

**7 დეკემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 002 | დენ ჰააგი-ზვოლე | 3,6 | 3,1 | 1,8 |

**ბელგია. თასის 1/8 ფინალი**

**6 დეკემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 004 | ანტვერპენი-სენტ ტრუიდენი | 1,85 | 3,2 | 3,5 |

**ჩემპიონთა ლიგა**

**6 დეკემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 505 | პანათინაიკოსი-ვალენსია | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 23.45 | 506 | შტურმი-მანჩესტერი | 4,4 | 3,2 | 1,7 |
| 23.45 | 507 | დეპორტივო-მილანი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 23.45 | 508 | გალათასარაი-პსჟ | 1,9 | 3,0 | 3,8 |

**უეფას თასი**

**7 დეკემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 511 | აეკ-ლევერკუზენი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 512 | კაიზერსლაუტერნი-რეინჯერსი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 21.00 | 513 | ვერდერი-ბორდო | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 22.00 | 514 | რუსენბორგი-ალავესი | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 22.00 | 515 | სლავია-ოსიეკი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 23.00 | 516 | ჰამბურგი-რომა | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 23.15 | 517 | პაოკ-ეინდჰოვენი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 23.15 | 518 | ლოზანა-ნანტი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 23.45 | 519 | რაიო ვალეკანო-ლოკომოტივი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 23.45 | 520 | ბარსელონა-ბრიუგე | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 23.45 | 521 | სელტა-შახტარი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 23.45 | 522 | ინტერი-ჰერტა | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| 00.05 | 523 | ლივერპული-ოლიმპიაკოსი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 01.30 | 524 | პორტუ-ესპანიოლი | 1,75 | 3,0 | 4,2 |

**უეფას თასი. შემდეგ წრეში გასვლა**

**7 დეკემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 703 | აეკ | -1,5 | ლევერკუზენი | -1,9 |
| 19.00 | 704 | კაიზერსლაუტ. | -2,0 | რეინჯერსი | -1,5 |
| 21.00 | 705 | ვერდერი | -6,0 | ბორდო | -1,03 |
| 22.00 | 706 | რუსენბორგი | -1,25 | ალავესი | -3,0 |
| 22.00 | 707 | სლავია | -3,1 | ოსიეკი | -1,2 |
| 23.00 | 708 | ჰამბურგი | -3,5 | რომა | -1,15 |
| 23.15 | 709 | პაოკ | -7,5 | ეინდჰოვენი | -1,02 |
| 23.15 | 710 | ლოზანა | -2,0 | ნანტი | -1,4 |
| 23.45 | 711 | რ.ვალეკანო | -1,15 | ლოკომოტივი | -3,5 |
| 23.45 | 712 | ბარსელონა | —— | ბრიუგე | -25,0 |
| 23.45 | 713 | სელტა | -1,1 | შახტარი | -4,0 |
| 23.45 | 714 | ინტერი | -1,25 | ჰერტა | -2,8 |
| 00.05 | 715 | ლივერპული | -1,05 | ოლიმპიაკოსი | -5,0 |
| 01.30 | 716 | პორტუ | -1,01 | ესპანიოლი | -10,0 |

**კალათბურთი. სუპროლიგა**

**6 დეკემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 801 | ირაკლისი-ეფესი | 1,55 | 12,0 | 1,9 |
| 21.00 | 802 | რაანანა-ვილერბანი | 1,7 | 12,0 | 1,7 |

**7 დეკემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 803 | ულქერი-პანათინაიკოსი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 21.00 | 804 | ლიეტუვოს რიტასი-ცეპტერი | 1,25 | 12,0 | 2,8 |
| 23.30 | 805 | სპლიტი-სიენა | 1,1 | 12,0 | 4,0 |
| 23.30 | 806 | კრკა-მაკაბი | 2,3 | 12,0 | 1,35 |
| 23.30 | 807 | პო ორტეზი-ბაიერი | 1,1 | 12,0 | 4,0 |
| 23.30 | 808 | ალბა-ცსკა | 1,9 | 12,0 | 1,55 |
| 23.30 | 809 | პარტიზანი-ოსტენდე | 1,2 | 12,0 | 3,1 |
| 23.30 | 810 | სკავოლინი-პლანია | 1,05 | 12,0 | 6,0 |

**კალათბურთი. ევროლიგა**

**6 დეკემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 812 | ოლიმპიაკოსი-რეალი | 1,2 | 12,0 | 2,8 |
| 20.00 | 813 | პეტერბურგი-შარლერუა | 1,35 | 12,0 | 2,2 |
| 23.30 | 814 | კინდერი-აეკ | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 23.30 | 815 | ტაუ-ციბონა | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 23.30 | 816 | მიულერი-პაოკ | 1,45 | 12,0 | 2,1 |
| 23.35 | 817 | ბარსელონა-ბუდუჩნოსტი | 1,25 | 12,0 | 2,8 |
| 21.30 | 818 | ჟალგირისი-ფორტიტუდო | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 22.10 | 819 | ჰაპოელი-ოვარენსე | 1,05 | 12,0 | 6,0 |
| 23.00 | 820 | პრისტერი-ესტუდიანტესი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 23.30 | 821 | ზადარი-ლუგანო | 1,4 | 12,0 | 2,0 |
| 23.30 | 822 | ოლიმპია-ბენეტონი | 1,45 | 12,0 | 2,1 |

**კალათბურთი**

**6 დეკემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 833 | ვაშინგტონი-კლიპერსი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 04.30 | 834 | შარლოტი-ინდიანა | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 04.30 | 835 | მაიამი-დენვერი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 04.30 | 836 | ნიუ ჯერსი-მილუოკი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 05.00 | 837 | ჩიკაგო-კლივლენდი | 2,1 | 12,0 | 1,4 |
| 05.00 | 838 | დალასი-ნიუ იორკი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 07.00 | 839 | პორტლენდი-ტორონტო | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 07.00 | 840 | სიეტლი-დეტროიტი | 1,25 | 12,0 | 2,8 |
| 07.30 | 841 | გოლდენ სტეიტი-ლეიკერსი | 3,5 | 12,0 | 1,2 |

**7 დეკემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.30 | 842 | ორლანდო-დენვერი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 05.00 | 843 | მილუოკი-ფინიქსი | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| 05.00 | 844 | მინესოტა-ვაშინგტონი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 05.00 | 845 | სან ანტონიო-ნიუ იორკი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 06.00 | 846 | იუტა-ვანკუვერი | 1,1 | 12,0 | 5,0 |

**ჰოკეი**

**6 დეკემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 905 | ბუფალო-ნიუ ჯერსი | 2,0 | 4,0 | 2,2 |
| 04.00 | 906 | რეინჯერსი-ვაშინგტონი | 1,6 | 4,0 | 2,9 |
| 04.00 | 907 | ფილადელფია-ტამპა ბეი | 1,35 | 4,0 | 5,0 |
| 04.00 | 908 | კოლუმბუსი-ანაჰაიმი | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 04.30 | 909 | პიტსბურგი-ბოსტონი | 1,45 | 4,0 | 3,6 |
| 04.30 | 910 | ატლანტა-კაროლინა | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 04.30 | 911 | ფლორიდა-აილენდერსი | 1,9 | 4,0 | 2,3 |
| 04.30 | 912 | დეტროიტი-ტორონტო | 1,7 | 4,0 | 2,6 |
| 06.00 | 913 | ედმონტონი-ნეშვილი | 1,65 | 4,0 | 2,7 |
| 06.00 | 914 | ფინიქსი-ვანკუვერი | 1,8 | 4,0 | 2,4 |
| 07.30 | 915 | სან ხოსე-დალასი | 2,0 | 4,0 | 2,2 |

**7 დეკემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 05.00 | 916 | სენტ ლუისი-ტორონტო | 1,7 | 4,0 | 2,6 |
| 05.30 | 917 | ჩიკაგო-მინესოტა | 1,7 | 4,0 | 2,6 |
| 06.00 | 918 | კალგარი-ნეშვილი | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 06.30 | 919 | ლოს ანჯელესი-დალასი | 2,0 | 4,0 | 2,2 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

## კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე;
გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;
ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან);
ნინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)
გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან")

ქუთაისი — პუშკინის ქუჩა№16 (ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში)

გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი; სტალინის ქუჩა№30

თელავში — კოსტავას ქუჩა №23. რუსთავში — შარტავას ქუჩა №7

ბათუმში — მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) ქუჩა №21;
ერას (ყოფილი გორკის) ქუჩა №61

# ჩემი შენსას სჯობს



REUTERS ბარსელონა

ალბერტ კოსტა და ალექს კორეჩა დევისის თასის დათმობას არ აპირებენ

**დევისის თასის** ფინალის მოახლოებასთან ერთად სულ უფრო იზრდება დაძაბულობა და წვრილ-მსხვილ შეხლა-შემოხლათა რაოდენობა გუნდებს შორის. თუ ასე გაგრძელდა, შესაძლოა, ბარსელონის „პალაუ სანტ ხორდის" დარბაზში ავსტრალიელებსა და ესპანელებს შორის საქმის გარჩევა კორტის ფარგლებსაც გასცდეს.

„დაძაბულობა და ნერვიულობა წინა წრეებზე არ იგრძნობა, თუმცა ჩოგბურთელებს ერთი სული აქვთ, როდის დაიწყებენ თამაშს" — ამბობს ესპანელთა კაპიტანი ხავიერ დუარტე, ოღონდ ფაქტები სულ სხვა რამეზე მეტყველებს.

პირველმა წყალი როგორი მოულოდნელიც უნდა იყოს, ATP ტურის ერთ-ერთმა ყველაზე „კარგმა ბიჭმა", ალექს კორეჩამ აამღვრია. წინა კვირაში „მასტერსის თასზე" ლეიტონ ჰიუიტთან შეხვედრის შემდეგ, მეტოქის ხშირ-ხშირი წამოყვირებებითა და მჯიღების მოღერებით გაშმაგებულმა ესპანელმა მის საქციელს „არანორმალური და უცნაური" უწოდა.

როდესაც ორიოდ დღის წინ გუნდების ლიდერები ბარსელონაში კორტზე შეიყარნენ, ერთმანეთს არც მისალმებიან. „ჰიუიტს იმიტომ არ მივესალმე, რომ როდესაც ავსტრალიელებს გამარჯობა ვუთხარი, არც მობრუნებულა" — თავი იმართლა კორეჩამ.

კიდევ ერთი უთანხმოების მიზეზი ფინალისთვის შერჩეული ბურთები გახდა. წინა კვირაში ავსტრალიელები ფირმა „PENN"-ის ბურთებით ვარჯიშობდნენ, რომელსაც მოწოდების პროცესში მყოფი ჩოგბურთელი ეხატა. ჩამოვიდნენ ბარსელონაში და ჩოგბურთელის ნახატი სადღაც გაქრა.

ავსტრალიელთა კაპიტანმა ჯონ ნიუკომბმა მასპინძლებს მაშინვე თაღლითობაში დასდო ბრალი, ხეირიანად მომზადებაში ხელს გვიშლიან, ეს ბურთები განსხვავებული წონისააო. საპასუხოდ ესპანელებმა თავად ფირმა „PENN"-ის წერილი წარმოადგინეს, რომელიც ირწმუნება, ერთადერთი განსხვავება ის არის, რომ ბურთზე ჩოგბურთელის გამოსახულება წავშალეთო.

ესპანურ პრესაში გაქილიკებულმა ნიუკომბმა უკან მაინც არ დაიხია: „ბოლოს და ბოლოს, მაინც იმ ბურთებით ვითამაშებთ, რომლითაც წინა კვირაში ვვარჯიშობდით, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მართლები ვიყავით".

ასეა თუ ისე, ავსტრალიელებს შესანიშნავად მოეხსნებათ, უდიდესი გამოცდა, რომ ელით. 16 ათასი ბარსელონელი მაყურებელი ხმის ჩახლეჩამდე უქომაგებს თავისიანებს და ლევისის თასის პირველად მოგებაში დაეხმარება.

# რაო, რაო, ბარბარა ბორისს ეყრებაო?!

**თანაცხოვრების** 7 წლის შემდეგ უიმბლდონის სამგზის ჩემპიონი ბორის ბეკერი მეუღლე ბარბარა ფელტუსს ეყრება. ერთი ეგ არის, სიტყვა „ეყრება" ამ შემთხვევაში ოდნავ განსხვავებული მნიშვნელობით უნდა გავიგოთ — თავად ლეგენდარული გერმანელის თქმით, წყვილი განქორწინებას არ აპირებს.

„უნდა ვაღიარო, რომ ჩვენი ურთიერთობის პრიორიტეტები ბოლო ხანებში მეტად განსხვავებული გახდა — არანაკლებ უცნაურად გამოიყურება ბეკერის მიერ გავრცელებული ოფიციალური განცხადება — ჩვენ მივხვდით, რომ ასე გაგრძელებ არ შეიძლება, ამიტომ ცალ-ცალკე ვიცხოვრებთ, ოღონდ განქორწინებაზე საუბარიც კი არ იქნება."

რას ნიშნავს ყველაფერი ეს ადამიანურ ენაზე, ძნელი სათქმელია, გერმანიაში, სადაც ბეკერების ერთი შეხედვით მტკიცე ოჯახი უსაზღვრო პოპულარობით სარგებლობს, ბორისის განცხადებამ დიდი გაოცება გამოიწვია. ჯერ კიდევ სამი დღის წინ, კვირას, გამოქვეყნებულ ბარბარას ინტერვიუში დაშორებაზე სიტყვაც არ თქმულა.

„ბოლო 9 წელია, მომღერლისა და მსახიობის კარიერაზე, ფაქტობრივად, უარი ვთქვი. ახლა, როცა ბორისმა ჩოგბურთის თამაშს თავი დაანება, ვაპირებ, დავუბრუნდე საყვარელ საქმიანობას და ისიც მხარს მიჭერს" — განუცხადა ბარბარამ გაზეთ „ბილდ ამ ზონტაგს".

მოკლედ, ამ ჩახლართულ ამბავში თავისა და ბოლოს გაგება საკმაოდ ძნელია. ცოლ-ქმარს არაფერი უთქვამს მათი ორი ვაჟიშვილის, 6 წლის ნოა გაბრიელისა და 1 წლის ელიას ბალთაზარის შესახებ.



ბარბარა და ბორისი: უცნაური კავშირი — ერთად და ცალკე

33 წლის შავკანიანმა ბარბარამ სულ ახლახან „კოკა კოლასთან" სარფიან სარეკლამო კონტრაქტს მოაწერა ხელი, მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა ბეკერმა კი სპორტული სამარკეტინგო სააგენტო დააარსა და მის კლიენტებს შორის უკრაინელი ფეხბურთელი ანდრეი შევჩენკოცაა.

**ავთანდილ სვანიძე**

# ვეტერანებს ადგილი დერეფანში მიუჩინეს

**საქართველოში** ველოსპორტი არ არსებობს — ეს, ალბათ, ყველას აზრია. მაგრამ თურმე არსებობს, გვქონია ტრეკი, რომელიც შერემონტების მიუხედავად, ტურნირების სამასპინძლოდ უვარგისია დ ხუთიოდე ქალაქში სპორტსმენებიც გვყოლია. ისინი თურმე მეცენატების (მათ შორის უცხოელების) დახმარებით აჭარის ჩემპიონატშიც გამოდიან და საქართველოს, მსოფლიოსა და ევროპის პირველობებშიც მონაწილეობენ (შედეგი, უმჯობესია არ ვიკითხოთ). საქართველოს ველოსპორტის ფედერაციას სახელმწიფოსგან ათი წელიწადია, არ მიუღია ინვენტარი, ფორმა, მარაგ-ნაწილები და ტექნიკური საშუალებები... ეს ყველაფერი გუშინ ამ ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობაზე შევიტყვეთ პრეზიდენტ ბესიკ ნადირაძისგან სპორტის დეპარტამენტის გაყინულ სააქტო დარბაზში, სადაც გულმოდგინედ შეფუთნილი 60-მდე დელეგატი ორი საათი მოთმინებით ელოდა არჩევნების შედეგებს. იგივე მიზნით 30-მდე კაცი (ძირითადად ცნობილი ვეტერანები) დერეფანში იდგა. ისინი იქ ყრილობის დელეგატთა პირველივე გადაწყვეტილების გამო აღმოჩნდნენ. თურმე მათთვის მანდატები არ მიუციათ. (ნადირაძის თქმით, არ მოუთხოვიათ და იმიტომ). 15-კაციანმა ჯგუფმა ნადირაძე საარჩევნო კვოტების არასწორად განაწილებაში დაადანაშაულა და ხმის უფლების მოთხოვნით ყრილობას მიმართა. ამას დელეგატთა უმრავლესობა არ დაეთანხმა და ამით განაწყენებულებმა დარბაზი დატოვეს. მათ ბევრი მანდატიანიც მიჰყვა. მათ შორის არჩევნებში ნადირაძის ერთადერთი კონკურენტი ოთარ ქვილითაიაც. ამის მერე ყრილობამ დღის წესრიგის ყველა საკითხი იოლად ამოწურა — ფედერაციის მუშაობაც დამაკმაყოფილებლად შეაფასა და ბესიკ ნადირაძეც პრეზიდენტად ერთხმად აირჩია. ვიცე-პრეზიდენტები ომარ ფხაკაძე და მერაბ სურმავა გახდნენ, გენერალურ მდივნად ისევ რუსლან ჯაოშვილი დარჩა.

საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა ჩატარდა საქართველოს ცხენოსნობისა და თანამედროვე ხუთჭიდის ფედერაციაშიც. აქაც ყველაფერი ტრადიციულად წარიმართა — საანგარიშო მოხსენება და ფედერაციის მუშაობის დამაკმაყოფილებლად შეფასება, საუბარი გაჭირვებაზე, დაბოლოს არჩევნები, რამაც ცხადყო, რომ პრეზიდენტობა ისევ თენგიზ აბულაძემ შეინარჩუნა (კონკურენტი არც ჰყოლია). გენერალურ მდივნად ვანო ყურუა აირჩიეს, ვიცე-პრეზიდენტებად — რევაზ მანჯავიძე, ბაქარ გაჩეჩილაძე და ლადო კვარაცხელია.

**ირაკლი თამაძე**



# მელუდეებმა ქულები მოქაფეს

**ვაჟ ხელბურთელთა** ჩემპიონთა ლიგის მეორე წრე სენსაციურად დაიწყო. ამდენი მოულოდნელი შედეგი ერთ ტურს კი არა, ლამის მთელ ჯგუფურ ტურნირს ეყოფოდა. უფრო ზუსტად, რვიდან ხუთ შეხვედრაში ფავორიტები შერცხვნენ და საკმაოდ გაირთულეს სატურნირო მდგომარეობა.

ყველაზე უცნაური ანგარიში მონპელიეში დაფიქსირდა. საფრანგეთის ჩემპიონმა საკუთარ მოედანზე 3000 მაყურებლის თვალწინ ჯგუფის ფავორიტი „დუნაფერი" გაანადგურა და პირველ წრეში ორბურთიანი მარცხისთვის დამაჯერებელზე უფრო შთამბეჭდავი რევანში აიღო. „მონპელიემ" ამ მოგებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა მეოთხედფინალისკენ და მიზნის მიღწევა არ უნდა გაუჭირდეს. გამარჯვებულთაგან ამჯერადაც ფერნანდესი გამოირჩა — ფრანგების უმთავრესი გოლეადორის ცხრა ტყორცნა შედეგიანი აღმოჩნდა, სტუმართა შორის კი 6 ბურთით ლეგიონერი კუზნეცოვი იყო საუკეთესო. „ბარსელონამ" უმწვავეს ბრძოლაში ძლივს დაძლია გდანსკში პოლონეთის ჩემპიონის წინააღმდეგობა და ლიდერობაც შეინარჩუნა.

გართულების გარეშე ჩაიარა პირველი ჯგუფის მატჩებმა. იქ მოვლენები გეგმის მიხედვით ვითარდება. სლოვენიის „პივოვარნა" ერთადერთია ლიგის 16 ბინადართაგან, ვისაც ჯერ ქულაც კი არ დაუკარგავს. რა გასაკვირია, რომ მელუდეებმა ვადამდე ორი ტურით ადრე პირველებმა გაინაღდეს მომდევნო ეტაპის საგზური. „ბადელი" მათ ალბათ მომდევნო თამაშის შემდეგ შეუერთდება.

ყველასათვის მოულოდნელად მესამე ჯგუფს სათავეში განუთესავი „ბრაგა" მოექცა. ტაიმი სტუმრებმა, გერმანიის ჩემპიონებმა ორი ბურთი მოიგეს — 11:9, მაგრამ პორტუგალიელებმა შესვენების შემდეგ მაქსიმალურად გამოიყენეს საკუთარი კედლების უპირატესობა და მსაჯების დახმარებით თუ უამისოდ მინიმალურსხვაობიანი გამარჯვებით თითქმის უკვე მეოთხედფინალში არიან. „ბრაგას" საამისოდ ერთი ქულაღა აკლია. მეორე სენსაცია „გოგ გუდმეს" წარუმატებლობაა. დანიის ჩემპიონმა მორიგი მარცხი იწვნია, ამჯერად აუტსაიდერ „პალამანოსთან" და ახლა თავად აღმოჩნდა ბოლო ადგილზე.

მეოთხე ჯგუფში ყველაზე ჩახლართული ვითარებაა — წარმატების შანსი ჯერ არავის დაუკარგავს. ევროპის საკლუბო ჩემპიონმა „პორტლენდ სან ანტონიომ" ზედიზედ მეორე წაგებით უძლეველის რეპუტაცია ქარს კი გაატანა, მაგრამ მეოთხედფინალში მაინც უეჭველად გააღწევს, რადგან დასკვნითი ორივე მატჩი საკუთარ მოედანზე ექნება.

**გია ახალაძე**

A ჯგუფი: „რედბერგსლიდსი" (შვედეთი) — „პივოვარნა" (სლოვენია) 24:29; „ანკარა" (თურქეთი) — „ბადელი" (ხორვატია) 19:25

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პივოვარნა | 4 | 0 | 0 | 127:92 | 8 |
| ბადელი | 3 | 0 | 1 | 103:97 | 6 |
| რედბერგსლიდსი | 1 | 0 | 3 | 89:112 | 2 |
| ანკარა | 0 | 0 | 4 | 91:109 | 0 |

B ჯგუფი: „მონპელიე" (საფრანგეთი) — „დუნაფერი" (უნგრეთი) 30:22; „გდანსკი" (პოლონეთი) — „ბარსელონა" (ესპანეთი) 21:23

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 2 | 2 | 0 | 101:90 | 6 |
| მონპელიე | 2 | 1 | 1 | 105:97 | 5 |
| დუნაფერი | 2 | 1 | 1 | 96:98 | 5 |
| გდანსკი | 0 | 0 | 4 | 87:104 | 0 |

C ჯგუფი: „პალამანო" (იტალია) — „გოგ გუდმე" (დანია) 32:30; „ბრაგა" (პორტუგალია) — „კილი" (გერმანია) 22:21

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბრაგა | 3 | 0 | 1 | 93:103 | 6 |
| კილი | 2 | 1 | 1 | 102:89 | 5 |
| პალამანო | 1 | 1 | 2 | 111:114 | 3 |
| გოგ გუდმე | 1 | 0 | 3 | 105:105 | 2 |

D ჯგუფი: „ლოვჩენი" (იუგოსლავია) — „პორტლენდ სან-ანტონიო" (ესპანეთი) 25:24; „ბანიკი" (ჩეხეთი) — „სანდფიორდი" (ნორვეგია) 34:26

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ლოვჩენი | 2 | 1 | 1 | 101:100 | 5 |
| პორტლენდი | 2 | 0 | 2 | 102:102 | 4 |
| სანდფიორდი | 2 | 0 | 2 | 100:104 | 4 |
| ბანიკი | 1 | 1 | 2 | 118:115 | 3 |



# მზის ძალა

**იზოლდე კოსტნერს** სეზონის პირველი სწრაფდაშვებისას საწყენი ამბავი შეემთხვა: ფავორიტებს უკლებლივ მოერია და უცნობმა მოთხილამურემ, გერმანელმა პეტრა ჰელტმაიერმა წაჰგვარა პირველი ადგილი. პარასკევს კოსტნერი მტკიცედ შედგა კანადური ალბერტას პროვინციაში, ლეიკ ლუისის სამთო სარბიელის სტარტზე, გადაწყვეტილი ჰქონდა, მომკვდარიყო და მსგავსი ლაფსუსი მეორედ აღარ დაეშვა. სწრაფდაშვების მეორე ეტაპი კარგ პირობებში წარიმართა, ოციოდე მოთხილამურემ როგორც კი თავისი საქმე შეასრულა, მზემ გამოანათა და კოსტნერის რიგითი ნომერი 22-ე გახლდათ. სამთოთხილამუროში მზის ეფექტურობა ცნობილია, მოთხილამურეს ხედვის არე უფართოვდება და სარიალო ტაქტიკასაც უფრო მოქნილად ირჩევს. კოსტნერმა უნაკლოდ დაფარა 2 კილომეტრი და 660 მეტრი, ხოლო როცა მოთხილამურეთა სია ამოიწურა, დამაჯერებლად მოკალათდა პირველ ადგილზე — ფრანგი კაროლ მონტილესთვის თითქმის ნახევარი წამი მოეგო. მონტილე არ იყო ფავორიტი, წინა სწრაფდაშვებაში მხოლოდ მე-15 გახლდათ, მაგრამ ჟურნალისტებს მანაც მზის სარგებლიანობაზე დაუწყო თხრობა, აგრესიული სრიალის ხასიათზე დამაყენაო.

არც მეორე დღეს მდგარა ზედმეტი ჯანღი ლეიკ ლუისში, როცა ბოლოს და ბოლოს მსოფლიოს თასის ახლანდელმა პატრონმა, ავსტრიელმა რენატე გოეჩლმა თავისი პირველი ეტაპი მოიგო მიმდინარე სეზონში. სუპერგიგანტში გოეჩლმა ჩვეული კლასი უჩვენა და საერთო ჯამში მე-17 სათასო გამარჯვება ხომ მიითვალა, ერთიან ჩათვლაშიც მისი გვარი იქ გამოჩნდა, სადაც ჯერ არს, თუმცა მოწინავე ხუთეულში ამჟამად იგია ერთადერთი ავსტრიელი და ამას რაღაც ახალი ტენდენციის სუნი უდის. წლეულს ვერა ჩანს ავსტრიელთა დიქტატი ისეთი ერთპიროვნული, შარშან რომ იყო. ჯერ რა დროს მაგაზე ლაპარაკიაო, იტყვის ზოგი და მართალი იქნება, მაგრამ ახლა კაცებსაც გადავწვდეთ — იქაც იგივე სურათია. პირველ ხუთეულში ორია მხოლოდ ავსტრიელი და ორიც ნორვეგიელი. ეგეც არაფერი: კვირას, ბივერ კრიკის სუპერგიგანტის ეტაპზე ავსტრალიელ მთიელებს სულაც უპოდიუმოდ დარჩენა ემუქრებოდათ და უიშვიათესი ამბის მოხდენას კრისტოფერ გრუბერმაღა შეუშალა ხელი. იგი მეორე იყო. პირველი კი შვედი ფრედერიკ ნიბერგი გახდა, რომელმაც ძველებური სათხილამურო ალკაზმულობით ისრიალა და მესლალომის სიზუსტით გაიარა მთელი ტრასა.

## მსოფლიოს თასი

### ქალები

მეხუთე ეტაპი. სწრაფდაშვება. ლეიკ ლუისი. 1 დეკემბერი

1. იზოლდე კოსტნერი (იტალია) 1:33,76 2. კაროლ მონტილე (საფრანგეთი) 1:34,24 3. კორინე რეი ბელეტი (შვეიცარია) 1:34,40

მეექვსე ეტაპი. სუპერგიგანტი. ლეიკ ლუისი3 დეკემბერი

1. რენატე გოეჩლი (ავსტრია) 1:11,28 2. რეგინა კავანიუ (საფრანგეთი) 1:11,41 3. მარტინა ერტლი (გერმანია) 1:11,61

**საერთო ჩათვლა**

1. ერტლი — 420 2. კავანიუ 324 3. იანიკა კოსტელიჩი (ხორვატია) 239 4. კოსტნერი 235 5. გოეჩლი 234

### კაცები

მეხუთე ეტაპი. სუპერგიგანტი. ბივერ კრიკი 3 დეკემბერი

1. ფრედერიკ ნიბერგი (შვედეთი) 1:21,18 2. კრისტოფერ გრუბერი (ავსტრია) 1:21,21 3. კენეტ სივერტსენი (ნორვეგია) 1:21,65

**საერთო ჩათვლა**

1. ჰერმან მაიერი (ავსტრია) 416 2. ლასე კიუსი (ნორვეგია) 371 3. შტეფან ებერჰარტერი (ავსტრია) 329 4. ნიბერგი 261 5. კეტილ ანდრე ამოდტი (ნორვეგია) 195

ჭადრაკი

# ო, დელი, დელი... უჩვენოდ

**მესამე** რაუნდმა დელის მსოფლიოს პირველობაზე ქართული კვალი საბოლოოდ მოსპო. უკრაინელი ბაკლანის დამარცხების შემდეგ ზურაბ აზმაიფარაშვილი მხცოვან ბორის გულკოს შეხვდა და პირველივე პარტია თეთრებით დაუთმო. მეორეში გაამერიკელებულმა ექსსაბჭოელმა მოახერხა სასურველი ნახევარი ქულის გამომუშავება და მეოთხე წრეში გავიდა.

ქართველ ქალთა რისხვად იქცა ახალგაზრდა რუმინელი, კორინა პეპტანი. მეორე რაუნდში მან მსოფლიოს ექსჩემპიონი, მაია ჩიბურდანიძე დაამარცხა, მესამეში კი ნანა იოსელიანს მოერია. ამ წყვილში ჩვეულებრივი ჭადრაკის ორმა პარტიამ იკმარა, რომელთაგან ერთი პეპტანმა მოიგო და მეორეში ყაიმს გამორჩა მსოფლიოს პირველობის ბოლო ქართველ მოჰიკანს, ვისი თამაშიც სტარტზე ფრიად რიგიანი ჩანდა.

სხვამხრივ დელიში ცხოვრება გრძელდება. ქართველებს არ გაუმართლათ, თორემ სხვა ფავორიტები გზას თითქმის უკლებლივ მიიკაფავენ. გავარდა მხოლოდ ვასილ ივანჩუკი, რომელსაც იან ელვესტმა მოუგო. ესტონელი გვარიანი დიდოსტატია, მაგრამ ივანჩუკი ბევრად უფრო და ამის მიუხედავად, მისი წაგება დიდად არავის შეუცხადებია — უკრაინელს იცნობენ კაცად, რომლისგან არც ვილაცასთან წაგებაა გასაკვირი და არც მსოფლიოს ჩემპიონად გახდომა.

მესამე რაუნდში ჩვეული სტილით გაიმარჯვა „პირველმა კაცმა", ვიში ანანდმა. სმბატ ლპუტიანი ამაოდ ეცადა, ინდოელისთვის თეთრებით რამე დაეკლო, ხოლო მეორე პარტიაში სომეხს შანსი არ ჰქონდა, ვიშიმ მეტოქე დაანგრია.

მართლდება პროგნოზი, რომ დელიში შემთხვევითი ხალხი ვერ იგრიალებს. უკვე გავარდნენ ლას ვეგასის გმირები, სომეხი ვლადიმერ აკოფიანი და რუმინელი ლივიუ დიტერ ნისიპეანუ. პირველს ბელარუსმა ალექსანდრ ალექსანდროვმა მოუგო, მეორეს — ბულგარელმა კირილ გეორგიევმა. მეორე რაუნდის ამბავს მოგახსენებთ, შემდგომ ეტაპზე კი გეორგიევი ბულგარულ დერბიში ჩაერთო ვესელინ ტოპალოვთან და რანგით ალმატებულ თვისტომთან წააგო. ფავორიტებიდან პრობლემები ჰქონდა პიოტრ სვიდლერს. მან ჩინელ პენ სიაომინთან პირველად წააგო, მაგრამ მეორედ მოგება შეძლო და სწრაფ ჭადრაკში გადასვლა მოახერხა. ჩინელები, ოლიმპიადის არ იყოს, ჩემპიონატზეც სოლიდურნი ჩანან, ქალები უფრო, ცხადია... სიე ჟუნი უკვე მეოთხედფინალშია, კანინგ ქინიც, რომელმაც გზა ქეთევან კახიანი-გერშინსკას ძლევით გაიკვალა. მხოლოდ მსოფლიოს თასის მფლობელ სიე იუჰუას უჭირს; მესამე რაუნდში ევროპის ჩემპიონი, ნატალია ჟუკოვა ტოლ-სწორად ებრძვის. ძირითად პარტიებში ვერაფერი გაირკვა, მეტოქეები ბლიცებზე გადავიდნენ.

მესამე რაუნდის ცენტრალური პუნქტი უეჭველად პეტერ ლეკოსა და ალექსანდრ ხალიფმანის დაფა გახლავთ. უნგრელ „კაც-მანქანასა" და რუს ფიდეს ჩემპიონს ერთმანეთში პრინციპული მეტოქეობა აქვთ. მალე წლისთავი იქნება, რაც ლეკომ ხალიფმანს ლას ვეგასის ტრიუმფი ჩაამწარა და ექვსი პარტიისგან შემდგარი კომერციული მატჩი 4,5:1,5 მოუგო. მერე ისინი ლინარესშიც შეხვდნენ და ზავით დაშორდნენ... დელიში ორივე ძირითადი პარტია დაძაბულად ჩატარდა. პირველში ხალიფმანს თეთრები ჰყავდა და სცადა ეაქტიურა, მაგრამ უნგრელი ფხიზლად იყო: დაფა ისე დაიცალა ფიგურებისგან, ფიდეს ჩემპიონმა ერთხელაც ვერ შეაცდინა მეტოქე. ზავი 49-ე სვლაზე გაფორმდა. მეორე დღეს ახლა ლეკო თამაშობდა თეთრი ფიგურებით და შეტევა მართებდა, მაგრამ პირიქით მოხდა, ხალიფმანმა დაცვაში ჯდომა არ ისურვა. შავებმა ლაზიერის ფრთას შეუტიეს (თეთრი მეფე იქ იყო) და პოზიცია თითქმის ოცი სვლის მანძილზე დინამიური დარჩა ორმხრივი შანსებით. მეფის ფრთაზე უნგრელის კონტრშეტევა უწყნარი ჩანდა, თუმცა მისი პაიკი ძლიერ წინ გაიჭრა. თეთრების 44-ე სვლის შემდეგ არსებული სიტუაცია დიაგრამაზე ჩანს.

თეთრი მეფე სივიწროვეს უჩიოდა და მალე განთავისუფლდა: ფორსირებული გაცვლების შემდეგ დაფა უდაბნოსავით მოშიშვლდა. მეფეთა გარდა ზედ დარჩნენ თითო შავ-თეთრი ეტლი და გაორებული პაიკთა წყვილები, რომელთაც რაღაცის შეცვლა კიდევ დააპირეს და მოუხეშავად, ერთმანეთის ფეხების მტვრევით გაიქცნენ — თეთრები მე-8 და შავები პირველი ჰორიზონტალებისკენ. ხალიფმანმა უფრო ადრე მოისაზრა ერთი პაიკის გაწირვა მეორის დასაჩქარებლად, მაგრამ არაფერი, 64-ე სვლაზე დაფიქსირებული ყაიმი ლოგიკური იყო. სწრაფი ჭადრაკის (25-წუთიანი) ორივე პარტიაც მშვიდობით დასრულდა და მეტოქეებმა ბლიცებში გადაინაცვლეს. წერილზე მუშაობისას ამის იქით არაფერი ვიცოდით.

კასპაროვი დელიში ნათამაშევ პარტიებს ინტერნეტში არჩევს, მისი გუნდის წევრები კი კვლავაც აქილიკებენ მოქიშპე ორგანიზაციას. ამჯერად მსჯელობის საგანი თეირანში გასამართი ვაჟთა ფინალია, რომლის შესახებაც „კასპაროვის კლუბის" (ინტერნეტშია) წევრი, ბრიტანელი მიკ გრინგარდი ასე ლაპარაკობს: „ჭადრაკი ირანში — საინტერესო თემაა... იქ ჩემპიონატის ფინალის გამართვა ერთგვარად სვლაა რელიგიური ფანატიკოსების წინააღმდეგ, რომლებიც ჭადრაკს ხან კრძალავდნენ, ხან აღორძინებდნენ. ამგვარი სვლა ცუდი არ გახლავთ, მაგრამ ზოგადად ფინალის გამართვა ქვეყანაში, რომელიც ისრაელის სახელმწიფოს არ ცნობს, უბრალოდ აბსურდია (სხვათა შორის, 99-ში ფიდემ ჩემპიონატი კინაღამ ერაყში გამართა)... ფიდეს სამხიარულოდ ექნება საქმე, თუ გელფანდი ან რომელიმე ისრაელელი მოჭადრაკე (თუნდაც ნებისმიერი ებრაელი სხვა ქვეყნიდან) ფინალში გავა და თეირანში თამაშზე უარს იტყვის... ახლა ფიდეს ყველა საბაბი აქვს საიმისოდ, რომ ბარე ოთხი მოჭადრაკის ფინალამდე გავარდნა გაუხარდეს".

მაგრამ იქამდე ჯერ სამი კვირაა.

**დავით გულუა**



რაგბი



ინგლისელთაგან ერთადერთი ლელო გრინვუდმა გაიტანა

# ყველაფერში დამნაშავე შენა ხარ

**ტესტი**

თვიქენემი, 2 დეკემბერი

| | |
|---|---|
| **ინგლისი** | **25 (19)** |
| **სამხრეთ აფრიკა** | **17 (9)** |

**ინგლისი:** პერი, კოენი, ტინდელი, გრინვუდი (ჰილი 80), ლაჯერი (ბოლშოუ 40), უილკინსონი, დოუსონი, ბეკი, დალალიო, ჰილი, გრივკოკი, ჯონსონი (კაპ.), ვაიტი (ვიკერი 41), გრინინგი, ლეონარდი

**დროებითი შეცვლები:** ბეკი — კორი (17-21), ბეკი — რიგენი (21-27), ჰილი — კორი (21-40), გრინინგი — რიგენი (41-61)

1 ლ — გრინვუდი (34), 1 გ. და 6 ს — უილკინსონი (7, 12, 27, 40, 66, 75)

**სამხრეთ აფრიკა:** მონტგომერი, პოლსე, ფლეკი, მალდერი, ტერბლანში, ფან დერ ვესტჰოიზენი (ფან ზილი 75), ა. ფენტერი, ფოსი (კაპ.), კრიხე, ენდრიუსი, ფან დერ ბერხი (ე. ფენტერი 60, ბროსნიჰანი 80), მეიერი (ლე რუ 62), სმიტი, კემპსონი

**დროებითი შეცვლა:** მალდერი — ვესტერჰოიზენი (27-43)

1 ლ — ფან სტრააცენი (44), 4 ს — ფან სტრააცენი (9, 21, 36, 71)

**მსაჯი:** მაკჰიუგი (ირლანდია)

ინგლისმა წლეულს ბოლო მატჩი გამართა და კვლავ გაიმარჯვა . ალბიონელებმა სამხრეთ აფრიკას უმასპინძლეს და ისტორიაში მესამედ მოხდა, რომ „ქურციკებს" მიყოლებით ორჯერ ან სამჯერ აჯობეს. შეგახსენებთ, რომ ამ ზაფხულში ინგლისმა სამხრეთ აფრიკაში ორი ტესტი გამართა, პირველი დათმო, მეორე კი მოიგო.

21 წლის, 23 კეპი, 327 ქულა — ეს ჯონი უილკინსონის მაჩვენებლებია, რომელმაც ამჯერად თავისიანებს 20 ქულა მოუტანა და რობ ენდრიუს შემდეგ ყველაზე შედეგიანი ინგლისელი გახდა. სწორედ უილკინსონი იყო მასპინძელთა წარმატების მთავარი შემოქმედი, რადგან ლელოც მის პასს მოჰყვა. „მან დიდებულად ითამაშა" — მოკლედ შეაფასა შეგირდის გარჯა ინგლისის მენეჯერმა კლაივ ვუდვორდმა

„თუ დღევანდელ მარცხში ვინმეა დამნაშავე, ეს უპირველესად უილკინსონია, რადგან იგი მთელ მატჩს აკონტროლებდა" — ეს კი სტუმართა მთავარი მწვრთნელის ჰარი ფილიოენის სიტყვებია. ასე, რომ მატჩის გმირად ყველამ ჯონი უილკინსონი შერაცხა.

უილკინსონმა ანგარიში მე-7 წუთზე საჯარიმო დარტყმით გახსნა. „ქურციკებმა" მალევე გაათანაბრეს , მაგრამ ენდრიუსის დაჯარიმების შემდეგ „უილკომ" ისევ თავისიანები გაიყვანა წინ. რამდენიმე წუთში პერსი მონტგომერი გაიჭრა მარცხენა ფლანგზე და ლელოსაც გაიტანდა, რომ არა ჰილი და კოენი, რომლებმაც იგი უკანასკნელ წამს შებოჭეს. სამ წუთში ბრაამ ფან სტრაატენმა ისევ გაათანაბრა ანგარიში.

ამას ინგლისელთა ბატონობის პერიოდი მოჰყვა. ბრიტანელებმა ორი საჯარიმო ხელითაც გაითამაშეს, მაგრამ ლელო მაინც ვერ გაიტანეს და როცა სამხრეთელები მესამედაც დაჯარიმდნენ, ისევ უილკინსონმა ივარგა. ლელო კი 34-ე წუთზე გავიდა. დერეფანი გრივკოკმა მოიგო და ბურთი დოუსონს მიაწოდა, რომელმაც უილკინსონი მოძებნა. ამ უკანასკნელმა კი გრინვუდს მისცა მშვენიერი პასი და მისი შეჩერებაც ვეღარავინ შეძლო.

მეორე ტაიმი „ქურციკებმა" უკეთ დაიწყეს და ფან სტრააცენმაც მარცხენა ფლანგიდან შეძლო მეტოქის დალეწვა, თუმცა გარდასახვა გააცუდა — 19:14. მერე კი ისევ უილკინსონი გაისარჯა დიდებულად და ზუსტი დარტყმებით გამარჯვება ინგლისს დაუბევა.

**გაიოზ თალაკვაძე**

ჰოკეი

# ალის ჩაქრობა მარლომ დაიწყო



კალგარელმა დენის გოტიემ (თეთრ ფორმაში) სანხოსელი სკოტ ტორნტონი „კისრულით" წამოიღო

4 დეკემბერი

**ტორონტო — ფლორიდა 4:4**

1:1 1:2 2:1 0:0

0:1 კოზლოვი 5'29 (1); 1:1 დომი 12'39 (9); 2:1 პერო 29'28 (6); 2:2 ბურე 26'49 (16); 2:3 შვეჩლა 31'4 (8); 3:3 ტაკერი 44'58 (8); 3:4 ლარიონოვი 47'33 (4); 4:4 იუშკევიჩი 59'11 (2)

**ატლანტა — ბოსტონი 5:4**

2:0 0:1 3:3

1:0 გუოლა 1'56 (8); 2:0 ფერარო 5'12 (8); 2:1 ელისონი 21'34 (13); 3:1 ფერარო 41'57 (9); 3:2 ელისონი 56'58 (14); 4:2 ფერარო 52'57 (10); 4:3 სამსონოვი 53'47 (8); 4:4 სამსონოვი 56'12 (9); 5:4 ტეიმერი 58'59 (1)

**კალგარი — სან ხოსე 0:8**

0:4 0:2 0:2

0:1 მარლო 1'48 (11); 0:2 მარლო 4'51 (12); 0:3 ფრიზენი 10'16 (7); 0:4 სუნდსტრიომი 13'43 (2); გრენატო 32'28 (3); 0:6 სუტერი 34'51 (2); 0:7 კოროლიუკი 45'54 (2); 0:8 შტურმი 56'23 (7)

**ვანკუვერი — ნეშვილი 6:3**

2:1 1:2 3:0

1:0 შეფერი 2'42 (7); 2:0 ნესლუნდი 4'41 (17); 2:1 გ. ჯონსონი 8'36 (4); 2:2 რონინგი 31'08 (11); 3:2 დრაკენი 36'56 (1); 3:3 ლეგვანდი 38'25 (5); 4:3 ნესლუნდი 45'07 (18); 5:3 კუკი 50'02 (8); 6:3 კლეტი 59'44 (7)

**როგორც** ჩანს, ლიგაში კიდევ ერთი ძლიერი გუნდი გამოჩნდა. სან ხოსეს გულშემატკივრები უკვე რა ხანია, ხარობენ, ოპონენტები კი გულმოსულნი ადევნებენ თვალს კალიფორნიელთა წინსვლას. „ზვიგენები" ჯიქურ მიიწევენ წინ და ოდესღაც მათთვის რთულ მეტოქეებს აბუჩად იგდებენ. სწორედ ასე გაუსწორდა „შარქსი" კალგარს. „ალების" განცვიფრებული მაყურებლის თვალწინ სტუმრებმა ყველაფერი შეხვედრის დასაწყისის 14 წუთში გადაწყვიტეს. მერე კი მეთოდურად გაზარდეს უპირატესობა და ისტორიაში სტუმრად ყველაზე დიდი სხვაობით გაიმარჯვეს. და ეს მაშინ, როდესაც მათ ლიდერებს — ოუენ ნოლანს და ვენსან დამფუსს თამაში არ წაუვიდათ, ხოლო მეტოქის კარში მათი ყოფილი პარტნიორი მაიკ ვერნონი იდგა. პატრიკ მარლომ (2+1) და ნიკლას სუნდსტრიომმა სახელოვანი მეკარე პირველივე პერიოდში სათადარიგოთა სკამზე მიაბრძანეს. „ზვიგენები" კიდევ უფრო განმტკიცდნენ დივიზიონის სათავეში.

ატლანტა სულ მეორე სეზონია, ლიგაში ასპარეზობს, მაგრამ აუტსაიდერის როლს სულაც არ ეგუება. მათ ხელი იმანაც შეუწყო, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთში ვერც ერთმა გუნდმა ვერ შეძლო სტარტის ხეირიანად აღება. წუხელ ატლანტამ ბოსტონი იმსხვერპლა, რომლის მოთამაშეებიც, გარდა გერინი—ელისონი (2+2) — სამსონოვის წამყვანი ტრიოსი, ჩხუბს გა- დაჰყვნენ. თუმცა ამ სამეულის წყალო- ბით თამაში მაინც საინტერესო გამოდგ- და მხოლოდ ბოლოსწინა წუთზე მცველ- კრის ტეიმერის მიერ გატანილი გო- ლის წყალობით გადაწყვიტეს მასპინ- ძლებმა მატჩის ბედი და ზედიზედ მ- სამე მოგებით საკლუბო რეკორდი და- ამყარეს. მათმა ლიდერმა რეი ფერა- რომ კი, რომელმაც მხოლოდ პარტნი- ორთა დაჟინებული თხოვნით გადაწყ- ვიტა, კარიერა კიდევ ერთი სეზონით გაეგრძელებინა, მე-9 ჰეთ თრიქი მ- ითვალა.

არანაკლებ ცოცხალი და დრამატუ- ლი გამოდგა ტორონტოსა და ფლო- რიდას შეხვედრა. ვიქტორ კოზლოვი- სა (1+1) და იგორ ლარიონოვის (1+2) დაბრუნებამ ერთობ გამოაცოცხლა პა- ველ ბურე და სტუმრებმა დიდი წინა- აღმდეგობა გაუწიეს მეტოქეს, თუმც მასპინძლებმა ქულა მაინც გამოჰგლი- ჯეს, ოვერტაიმში კი, რომელიც ძირი- თად დროზე უფრო საინტერესო გამო- დგა, ფლორიდელთა მეკარემ, ტრევორ კიდიმ ითამაშა დიდებულად.

ვანკუვერმა თავისი კაპიტნისა და ლი- დერის, მარკუს ნესლუნდის მეთაური- ბით ბოლო პერიოდში გატეხა ნეშვი- ლის წინააღმდეგობა, თავად ფორვა- რდი კი მორიგი ორი გოლის შემდეგ საუკეთესო სნაიპერ, ლოსანჯელესელ ზიგმუნდ პალფის გაუტოლდა 18 გო- ბით.

**სამველ ღარიბიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფინალი
თბილისი. ეროვნული
5 დეკემბერი

**ლოკომოტივი 1 — სტუ-ყოჩები**
**28:28 დ.დ. (25:25) (10:9)**

ლოკომოტივი 1: მაჭუტაძე, ხინჩაგიშვილი (ჯაველიძე, თოფურიძე), ჩადუნელი, სორდია, მოგელაძე, ა. კობახიძე (გიორგაძე), ვართანიანი, ბ. უდესიანი, სარიშვილი, კვინიხიძე, ბუგიანიშვილი, ანდღულაძე (ძნელაძე), ალანია, ბესელია, ასათიანი
3ლ — ბუგიანიშვილი (2), სორდია; 3ს — კვინიხიძე; 2გ — კვინიხიძე
სტუ-ყოჩები: კიკუაშვილი, ჩიქავა, ფირიაშვილი, ხურცილავა (გუშარაშვილი), ურუშაძე, ჭელიძე, ცხვედიანი, კ. კობახიძე, გიორხელიძე, კაჭარავა, კ. მხეიძე, ჯანელიძე, ბარძიმიშვილი (საკანდელიძე), იმნაძე, ლიპარტელიანი (ტრაპაიძე)
1ლ — საკანდელიძე; 6ს — კ. კობახიძე (5), ურუშაძე; 1გ — კ. კობახიძე; 1ა — კ. კობახიძე
დროებითი გაძევება: კ. კობახიძე (ყოჩები)
მსაჯი: ნ. რობიტაშვილი
მეთვალყურე: გ. მიქაბერიძე

# თასი ბზისა, ყველაფერი რკინიგზისა

## ქართულ რაგბის ლოკომოტივი ჩაუდგა





ბობა კვინიხიძის ამ საჯარიმომ „ლოკომოტივს" ჩემპიონობა და დიდი სიხარული, „ყოჩებს" კი იმედგაცრუება და გულისტკივილი მოუტანა



**დასაწყისი პირველ გვერდზე**

ვიდრე ამ მართლაც ორიგინალურ და ლამაზ თასს „ლოკომოტივი 1"-ის კაპიტანი კახა ალანია ჰაერში ამაყად შეათამაშებდა, მანამდე იყო ნამდვილი ბრძოლა, რომელშიც ვერცერთმა იმარჯვა. მატჩის ძირითადი და დამატებითი დრო ფრედ დასრულდა, ჩემპიონი კი მაინც გამოვლინდა. პირველად ქართული რაგბის ისტორიაში ჩემპიონობის ბედი გატანილი ლელოების რაოდენობამ გადაწყვიტა. მეტი, ანუ სამი ლელო „ლოკომოტივმა" გაიტანა და საქართველოს ჩემპიონიც გახდა. „დაძაბული შეხვედრა იყო, ყოჩებისგან ამდენს არ ველოდი, ამიტომ ძალიან მიხარია, რომ გამარჯვება ჩვენ დაგვრჩა. ამას ნამდვილად ვიმსახურებდით" — განაცხადა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე რკინიგზელთა მთავარმა მწვრთნელმა თემურ ბენდიაშვილმა.

„ვულოცავ „ლოკომოტივს" ჩემპიონობას, ეს ტიტული მან მართლაც დაიმსახურა, ყველანაირად ვეცადეთ, მეტოქისთვის ჩვენი ტაქტიკა მოგვეხვია თავს, რაც ძირითადად ბურთის ხელით სწრაფად გათამაშებასა და აგრესიულ დაცვაზე იყო გათვლილი, მაგრამ მოწინააღმდეგეს მაინც ვერ ვაჯობეთ. ჩვენებიდან მინდა, კახა კობახიძე გამოვარჩიო. მასზე, როგორც გუნდის ლიდერზე, ბევრი რამ იყო დამოკიდებული, კახაც ბრწყინვალედ გაისარჯა, მაგრამ... კიდევ ერთხელ ვულოცავ წარმატებას თემურ ბენდიაშვილს. საქართველოს ჩემპიონობა სწორედ „ლოკომოტივს" ეკუთვნოდა. ერთსაც დავამატებ, ჩვენი ბიჭები გულგატეხილნი არიან, გვისაყვედურეს კიდეც, რატომ არ ვიცოდით, ფინალური მატჩის ბედი ლელოთა რაოდენობით თუ წყდებოდაო. ეს ალბათ ისევ ჩვენი, ხელმძღვანელობის ბრალია. დროულად უნდა აგვეხსნა ყველაფერი და იქნებ საქმე აქამდე არც მისულიყო" — ეს სტუ-„ყოჩების" დამფუძნებლის, გუგა გეგენავას სიტყვებია. ამაზე საქართველოს რაგბის კავშირის წარმომადგენელმა განაცხადა: „ჩვენ რაგბის საერთაშორისო საბჭოს დებულებით ვხელმძღვანელობთ. ასეთი პრაქტიკა ზე-12-შიც არსებობს, თავიდან იყო ლაპარაკი, თუ ძირითადი და დამატებითი დრო ფრედ დასრულდებოდა, მაშინ მორაგბეები არეკნებს შეასრულებდნენ, მაგრამ საბოლოოდ IRB-ის მიერ შემოთავაზებული წესებით ვიხელმძღვანელეთ".

საქართველოს შვიდკაცა და ეროვნული ნაკრებების ფრანგი თავკაცის კლოდ სორელის კომენტარი ასეთია: „ასეთი დაძაბული მატჩები საქართველოში რაგბის დონის განვითარებას უწყობს ხელს. ორივე გუნდი ბოლომდე დაიხარჯა, განსაკუთრებით სტუ-„ყოჩებმა" გამაკვირა. შეხვედრის წინ უპირატესობას „ლოკომოტივი 1"-ს ვანიჭებდი, მაგრამ „ყოჩებმა" მეტოქეს ტოლი არაფერში დაუდო და ცოტა იღბალიც რომ ჰქონოდა, გაიმარჯვებდა კიდეც... მსაჯობა უმაღლესი დონისა იყო". მატჩის შემდეგ ორივე გუნდის ხელმძღვანელობამ არბიტრ ნოდარ რობიტაშვილს ობიექტური და რიგიანი მსაჯობისთვის მადლობა გადაუხადა. ეს მატჩი თავისი დაძაბულობით გაჯანჯლებული ჩემპიონატის ნამდვილი მშვენება გამოდგა. პირველ ნახევარში გუნდები ფრთხილობდნენ. ფსიქოლოგიურმა ფაქტორმა მაინც თავისი გაიტანა, მაგრამ ხისტ თამაშსა და ორთაბრძოლებს თავი არც ერთმა აარიდა. ჯერ ყოჩები დაწინაურდნენ, ამ მატჩის უდავოდ ერთ-ერთმა საუკეთესო მოთამაშემ კახა კობახიძემ ჯარიმა გოლად აქცია. საპასუხო შეტევისას რკინიგზელმა ბობა კვინიხიძემ იგივე გაიმეორა და წონასწორობა აღადგინა, რამდენიმე წუთში კი ლელოც გავიდა. ლოკომოტიველმა გიორგი ასათიანმა მოწინააღმდეგის დაცვის ხაზი გაარღვია და მერაბ ბესელიას ბურთი მიაწოდა. რკინიგზელთა გარემარბი მეტოქის სალელოე მოედნისკენ დაიძრა, რამდენიმე მეტრის გარბენის შემდეგ ბურთი ფეხით გაიგდო, შეტევაც უნდა გაეგრძელებინა, მაგრამ კახა კობახიძემ წესების დარღვევით შეაჩერა. სალელოეში კი ყველას გიორგი ბუგიანიშვილმა აჯობა და სტუ-„ყოჩები" დაალელოვა. ბობა კვინიხიძემ გარდასახა, კახა კობახიძე კი მოედნიდან ათი წუთით გააძევეს. უმცირესობაში დარჩენილმა ვიცე-ჩემპიონებმა ყველასთვის მოულოდნელად შეტევებს უხშირეს და მალე მიზანსაც მიაღწიეს. კახა კობახიძის არყოფნაში საჯარიმოდან რატი ურუშაძემ იმარჯვა და სხვაობა შეამცირა. რატის კიდევ შეეძლო, მეტოქე უხეშობისთვის დაესაჯა, მაგრამ ამის შანსი ორჯერ დაკარგა. სამაგიეროდ, ტაიმის მიწურულს ამ საქმის ოსტატი, სასჯელმოხდილი კახა კობახიძე გამოჩნდა და თავისიც გაიტანა — 10:9. ასე დასრულდა პირველი ნახევარი. შეხვედრის მეორე ორმოცწუთეული უფრო ფიცხელი გამოდგა. ჯერ ბუგიანიშვილმა მეორედ დაალელოვა მეტოქე, ხოლო შემდეგ სორდიამ დაასრულა თავისიანების შეტევა ლელოთი. კვინიხიძემ ორიდან ერთი გარდასახა და სხვაობა ათი ქულა გახდა, რადგან ლელოებს შორის კახა კობახიძემ არეკნით სამი ქულა მიითვალა. ამას მოჰყვა ყოჩ საკანდელიძის ლელო და იმავე კობახიძის ზუსტი გარდასახვა — საჯარიმო. ანგარიში გათანაბრდა — 22:22. მატჩის დრო თითქმის ამოიწურა. ბობა კვინიხიძემ მეტოქეს უხეშობა არ აპატია — 25:22. რკინიგზელები უკვე გამარჯვებას ზეიმობდნენ, მაგრამ კახა კობახიძემ ისევ გაათანაბრა — 25:25 — დამატებითი დრო. გუნდები ფრთხილობენ, ერთი შეცდომა ჩემპიონობის დაკარგვის ტოლფასი იყო. დაძაბულობამ პიკს მიაღწია, იმატა უხეშობამ და მსაჯთან გაუთავებელმა კამათმა. ყოჩ კობახიძეს თავისი გუნდი წინ გაჰყავს, რა თქმა უნდა, საჯარიმოთი — 28:25, კვინიხიძე ანგარიშის გათანაბრებას ცდილობს, მაგრამ ბურთი ძელმა აისხლიტა, თუმცა მალევე მანვე საჩემპიონოდ გაისროლა 28:28.

დანარჩენი და მთავარი იცით: მეტმა ლელომ „ლოკომოტივი 1" გააჩემპიონა.

**ბაჩო სვანიძე**

**ბადრი ძეთილაძის ფოტოები**



გამარჯვებულთა გამწვრთნელი თემურ ბენდიაშვილი



საჩემპიონო მატჩს ბრძოლის ქინი არ დაეწუნებოდა

# ბზის თასი

„ბზის თასი" დამზადებულია საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტის ბიძინა გეგიძის დაკვეთით. მისი ავტორები არიან მოქანდაკეები, ყოფილი მორაგბეები პაატა ნარიმანაშვილი და დავით ტაბატაძე.

„ბზის თასის" ბურთი დამზადებულია 50 წლიანი ბზის ხისგან, რომელიც რაგბის კავშირს გადასცა ნოქალაქევის მკვიდრმა, უდროოდ დაღუპული მორაგბის ლევან სანიკიძის მამამ, ბატონმა მოგელი სანიკიძემ.

„ბზის თასი" ბრინჯაოში ჩასმული ბზის ბურთია, თავზე ბორჯღალის გამოსახულებიანი გვირგვინით.

„ბზის თასი" გადაეცემა საქართველოს ჩემპიონს ფინალური თამაშის დამთავრებისთანავე. ჩემპიონს ეძლევა უფლება, თასის სადგარზე ამოტვიფროს გუნდის სახელი და გამარჯვების თარიღი.

„ბზის თასი" გარდამავალია, მისი მფლობელია საქართველოს რაგბის კავშირი.

გამარჯვებული გუნდი ვალდებულია, დააბრუნოს „ბზის თასი" რაგბის კავშირის ოფისში ყოველი მომდევნო წლის ნათლისღების დღეს, 19 იანვარს.

თასის ღირებულებაა 3 000 ლარი.

*საქართველოს რაგბის კავშირი*


REUTERS ბანგკოკიდან

# გაიხადეს



ძირითადად, სახალხო სიშიშვლე უსირცხვილობას ნიშნავს ხოლმე, მაგრამ როცა ხალხსა და შიშველ კაცს შუა ფოტოგრაფი ჩადგება, უსირცხვილობაზე აღარავინ ფიქრობს. თვით ისეთი სიმპატიური ბიჭი, როგორიც „ბაიერნის" თავდამსხმელი ჯოვანი ელბერია, ძნელად დაფიქრდება ხოლმე, რომ იმგვარი ჩვეულებრივი ქალის სიშიშვლეც კი, წყალში მხტომელი გოგო ანიკა ვალტერი რომ გახლავს, მის ყველა გოლს და ყველა სვირინგს დაჩრდილავს ხოლმე.


REUTERS ბანგკოკიდან

# კიდევ ერთხელ

ტაილანდელმა როჭოსწონოსანმა ჩემპიონმა ვერაფოლ ნახონლუანმა მორიგჯერ დაიცვა თავისი ქამარი და მექსიკელ ოსკარ არვინევას სრულ ხუთ რაუნდში სანოკაუტო რეცეპტი გამოუწერა. საჩემპიონო ბრძოლა ბანგკოკში გაიმართა და ჩხუბისშემდგომი ზეიმი და სადღეგრძელოებიც ხმაურიანი იყო. ვერაფოლმა კიდევ ერთხელ შემოირტყა ოქროთი გაწყობილი ქამარი.



# ბუშმა მოიგო

ფლორიდაში დიდი ჩოგბურთელი ქალის კრის ევერტის პატივსაცემი ლაღი შეჯიბრებანი გაიმართა. დელრეი ბიჩის კორტებზე თვალსასეირო რამ ის იყო, რომ ქალბატონ ევერტს ამერიკის ყოფილი პრეზიდენტი და ეგებ ახალი პრეზიდენტის მამა, ჯორჯ ბუში შეუწყვილდა და ამ ორმა მძიმე ბრძოლაში სძლია რეჯის ფილბანისა და ჯიმ კურიეს წყვილს. ფლორიდაში დენის გრაფიკის სიმკაცრის გამო შეჯიბრი დღისით ჩატარდა, გასახდელებში კი „ტურბოები" გააჩურეს, რათა ეს დროული ხალხი ოფლიანზე არ გაციებულიყო.

# ახალ გზაზე

ერთ დროს კარტის განთქმული მრბოლი, კოლუმბიელი კარლოს მონტოია ახლა ფორმულა 1-ის კაცია და ახალი სეზონისთვის მანქანის გამოცდაშია ჩართული. იგი ხერესის ტრასაზე აბლუილებს „ბმვიუილიამსის" ახალ მოდელს და ვინ იცის, ეგებ ჩემპიონობაზეც ოცნებობს, კარტის რბოლებში ხომ კოლუმბიელის დარი მრბოლი ცოტა იყო.


REUTERS ხერესიდან



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ზურაბ მეძველია
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია ვახტანგ ბზიკაძე, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის რედაქცია გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge